

*ს. ყ. შიშ*

# ივერია

*მ. შიშ*

1883

№ II, თებერვალი.

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1883

85  
47

## შინაარსი:

I	ბანდელი (ლეკენდა) ზოქა იღ. ჭავჭავაძისა.	1
II	მრ-ენა და ძუჩე მოთხრობა ეგ. გაბაშვილისა.	26
III	რა არის «ზემსტო» ანუ ერობა? გ. თუმანი- შვილისა.	42
IV	წერილები ლორეს (ვახუშტისა) (შემდეგი) თარგმანი იღ. მამულაშვილისა.	59
V	შენიშვნის ბარძიკი ეგ. იასელიანისა.	88
VI	ჩენის პედაგოგის ნაყოფი ქუთათურის ბარძასი.	113
VII	პოლიტიკის მიმოხილვა: საფრანგეთი გამბეჯას სიკ- ვილის შემდეგ.—ალზას-ლორენი და მისი მთავარ-მმარ- თებელი.—ეროვნული მოძრაობა ევროპაში და ევროპის გა- რეთ: ირლანდია და ავსტრო-ვენგრია; ეგვიპტე და ინდოეთი.	128
VIII	შინაური მიმოხილვა: შორიდან თითქო ვართ რანიმე —მცირე ნუგეში—ორი ნაკლი—ჩვენი გულ-გრილობა— საიღამ დაგვიმდა—უწინდელი ძალ-ღონე—ახალი სენია— ადგილი შიანდოშია—ორ-პირი მაგალითი—ჩვენი უღონობა —რად ვიქვავებით—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო- გადოება—მისი ყოფა—გარეული და შინაური—საგუბერნიო კრება—ახალი ლერბი.	138
IX	ბანცხალბანი.	145
X	«ივერიის» ფოსტა (ყდაზედ).	

ქ. რეკ. ნ. 1893.

# ივერია

საოლითიკო და სალიტერატურო  
ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

№ II

1893



თბილისი  
ვეფთიყე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე  
1883



Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 Февраля 1883 г.

# განცხადება

ყურნალის

«ი ვ მ რ ი ი ს»

გამოცემაზედ 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

1883 წელს საღმრთოეკლესიო და საზოლიტიკო ყურნალში «ინტრიდა» გამოვა იმავე სივრცით და პრინციპით, როგორც აქამოდვე გაძიარდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო უკუელივე დონისძიება, რომ ყურნალში მინაარსით უფრო სრული იყოს და უკუელივე დონის შესახებ მოვლენა, რომელიც იგი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ყურნალმა უფრადღებოდ არ დასტავოს.

ყურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდან უფრო მეტი ადგილი ეჭირათ ყურნალში, ვიდრე აქამოდვე ეჭირათ. ესაა რედაქციის ხელში რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდან, რომელნიც მომავალს წელს ყურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი უფრადღება ყურნალში მიქცეული იქნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვისა-და-თავის თავს ყურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო

ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერხად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი კრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ყურნაღს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თავალ-ყური აღეკონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა ალგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, რომ წარსულში ყურნაღი ხშირად თავ-თავის დროსედ ვერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი, რომ ამ დაგვიანების მიზეზები მოსპოს, ჩამოდენდაც კი რედაქციაზედ არის დამოკიდებული, და ყოველი წიგნი თავისა-და-თავის თავს გამოსცეს.

«ივერიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, მკ. ბაბაშვილისა, ბ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. მრისთავი, ბ. თუმანიშვილი, მკ. იოსელიანი, ნ. ლომაური, ი. მეუნარგია, პ. მოხუბარაძე (შაზბეგი), პ. ნანეიშვილი, თ. ჭორდანი. ნ. მანანოვი, ბ. შიფიანი, ბ. შიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ.

ხელის-მოწერა ყურნაღს «ივერიაში» მიიღება მხალღოდ მთელას წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ვეროთხი მანათი შემოატანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მასამდე 1883 წლისა.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაეთმობათ წელიწად-ში ხუთ მანათად, ან პირველში სამი მანათი და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქუთაისში, ჭილაძის ძალაზიასში.

ბათუმში, წერა-კითხვის სასწავლოების სკოლის მასწავლებელ ა. ნათაძესთან.

თბილისში: შავერდოვის სააკენტოში, ბუღვარზე, ალექსანდროვის ბაღთან და ნანუკოვის სააკენტოში, აწწრუნის ქარვასლაში; აგრეთვე რედაქციაში, უოკელ-დღე, დილის რვა საათიდან ათ საათამდე. რედაქცია იმუშავებს, გოლოვინის პრესპექტზედ (ბუღვარზედ), ონანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შექმდეს ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІА.»*

რედაქტორები ილია ჰაპუაშაძე და  
ი. მაჩაბელი.

# განდებელი

(ლეგენდა)

(ოლგა ჭავჭავაძისას)

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ოწბნი, არწიენი ვერ შეჭხებიას,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან არადეს არა ჭდნებიას;  
სად უღაბურსა მას შეუდროებს  
კაცთ ყლრიაძელი ვერ შეჭსწვდენია,  
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,  
ყინულს და ქართა მხოლად შთენია,—  
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა  
გამოუქვავათ მუნ მონასტერი  
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.  
ფრიალფოსებრ ჩამოთლილი აქვს  
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე  
და ზედ კარია გამოკეტილი  
ვით კლდის ნახრალზედ არწივის ზუდე.

ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი  
 ზედა ჰქვიდა თურმე იმ კარსა  
 ზე თუ არ ჯაჭვით, სხვათერივ ვერა გზით,  
 ვერ ძაღუმს ასკლავ ვერარა კაცსა.

## II

აქა ყოფილა უწინ კრებული  
 ღვთისთვის ქვეყნიდამ განდგილ ძმათა  
 და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე  
 ისმოდა ქება წმიდა წმიდათა.  
 აქა გამდგარან, განშორებიან  
 ამ წუთის-სოფლის სამაცდუროსა,  
 აქ ჭღირსებიან მართალთა თანა  
 სავანესა მას საუკუნოსა.  
 გასულან ამა ქვეყნით მამანი  
 და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...  
 იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი  
 მთიულთა შორის ყველგან გათქმულა,  
 და ის ადგილი, ის არე-მარე  
 ესოდენ წმიდად ჰსწამს დღესაც ერსა,  
 რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს  
 მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.  
 თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერ ვინ თურმე  
 აწ წმინდა ადგილთ ვერ შეესება  
 ზე თუ შეჭბდავს, მსწრაფელ რისხვა ღვთისა  
 ჭეჭა-ქუხილით მოკვლინება.

## III

ოდესღაც ტაძარს, იმ გაუქმებულს  
 ბეუდაზნოე შეჭკედლებია;  
 საიჭიოსთვის ეს სააქაო  
 დაუთმია და განშორებია.  
 განშორებია ვით ცოდვის სადგურს,  
 ვით სამეუფოს ბოროტისასა,  
 სადაც მართალი გზას ვერ აუჭტავს  
 განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
 სად ცოდვა კაცსა ჭსდენის დღე-და-ღამ  
 ვითა მჰაჩავი და მტაცებელი,  
 სად რასაც ჭსადის მართალი მართლად,  
 მას უმართლობად ჭქმნის ცოდვის სელი;  
 სად რყვნა, წაწყდება და ლაღატი,  
 სადაც ძმა სარბობს სისხლსა ძმისასა,  
 სად ცილი, ზაკვა ძულებდა ჭსდის  
 წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.  
 განშორებია ამ წუთის-სოფელს,  
 სად ყოვლი ნიჭი მაცდურებას,  
 სად თვით სიტუროფე და სათნოება  
 ეშმაკის მახე და ცდუნება.

## IV

განდევილა და ამ ყინულებში  
 სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა

და გვაძი მისი ცოდვილთ ფიქროთაგან  
 იმ დღიდგან აღარ შემწუნებულა.  
 განუდგენია გულიდამ ყველა  
 მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,  
 რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა  
 სულით განწმედილ და განზანთილი.  
 დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, კვემით  
 ხორცი სულისთვის უწამებია  
 და ვით ჭურჭელი იგი წუშედული  
 ცრემლით უჩუცხავს, უსოლებია.  
 დღე-და-ღამ სულთქმა და ლაღაღება  
 მოჭიკენია კლდეს უინულისასა.  
 და არ შემწყდაწა მუნ ლოცვის ცრემლი  
 ვითა ლელეს მას გლოვისასა.  
 განუენებული წუთის-სოფლისგან  
 აქ სული მისი აღუვაკებულა,  
 და ხორცული გულის-თქმა ყველა  
 დამარხულა და განსვენებულა.

## V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს  
 სულის სიმაღლე ზედ დასხნეკოდა,  
 ზედ ეტეობოდა, რომ სული მისი  
 სულ სხვა მსოფლიოს შეჭხინებოდა.  
 სანუ გამსდარი, კუშტი და მწყრალი  
 სიწმინდის მადლით დაჭმკენებოდა,

და მადალს შუბლსა, ნაოჭათ შეკრულს,  
 შანკანდელი გაქდაჭვივროდა.  
 მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
 ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
 თითქო მათშიგან ჩასახებულა  
 თვით სათნოება კდემით მოსილი;  
 თითქო ხელისა სინაწულთა  
 სამოთხის ღია კარს შეჭხარინ  
 და სულთან ერთად უფლისა მიძარტ  
 სასოებითა მისწრაფიან,  
 ლოცვით და მარხვით ხორც უძღურ-ქმნილი  
 ჭკვანდა წმინდასა იგი წამებულს,  
 მრავალ-გზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა.  
 ძლეებით მოსილსა და განდიდებულს.

## VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,  
 კედლება მისი ღმერთს უსმენია  
 და სასწაული ნიშნად მადლისა  
 ძლადღებულზედ მოუფლენია.  
 ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,  
 ჭქონია მზის მხრივ ერთი საჩქმელი  
 და მუნით თურმე გადმოდენილა  
 შუქი მზისა და მთვარის ნათელი.  
 ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის-წვერზედ  
 მზე სხივ-გაფენით ამოვიდოდა,

იმ საჩუქრით სხვი მისი სენაკში  
 სვეტად ბრწყინვალედ ჩაუშვებოდა.  
 რას ლოცულობდა, იმ სხვისა თურმე  
 თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,  
 და ხორცთ-უსხმელი მზის სხვი იგი  
 უფლის ბძანებით ზედ შეიჩხენდა.  
 კვრე ვიდოდენ დღენი და წელნი,  
 კვრე უბიწოდ იგი ჭსცხოვრებდა...  
 და თვის სიწმიდეს უოკელ-დღე თურმე  
 ამ სასწაულთ შეიმოწმებდა.

## VII

ურთხელ საღამოს ლოცვით დაღლილი  
 გადმოდგარიყო ზღუდის კარებსა  
 და დაფიქრებით გადმოჭყურებდა  
 მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.  
 მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად  
 მთისა გადაღმა არ დასულიყო,  
 და მთის წვერზედ კით ცეცხლის ბორბალი  
 იმგვარგვლივ სხვი-გაშლით ანთებულიყო.  
 ცისა ლაყვარდი, კით ნაკვერცხალი,  
 წითლად და ყვითლად მზისგან ღუვოდა  
 და განმსჭვალული მისით ღრუბელი  
 შორს ათას-ფერად სხივებში თრთოდა.  
 ამა უბიწო დიადის ხილვით  
 წარტეკვინილ იქმნა განუებული

და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას  
 შექსტქერდა მზესა განცვიფრებული.  
 უცრად ასტყდა რამ ნიაკ-ქარი,  
 დაჭბურა კლდეთა, ნაპრალთ და ძღვიმეთ  
 და შეინკარიდამ ვითა ვეშაპი,  
 შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

## VIII

დაიძრა მძლავრი, უსარმაზარი  
 ცაზედ განერთხო და გაიძალა  
 და იქ თითქო მტერს შეეჯახა  
 ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.  
 შეირყა მთელი ცა და ქვეყნა  
 იმა ჭექით და იმა ქუხილით,  
 ცა აირია, დაბნელდა უცა  
 და წამოვიდა სეტყვა მხუვილით.  
 ქუსვა და ჭექა, ელვა და სეტყვა  
 არეგ-დარეგით ღრუბლების სრბოლა,  
 ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,  
 ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —  
 ესე ყოველნი, ერთად რეულნი,  
 ჭკვანდენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,  
 თითქო ღმერთი ჭსჯის ქვეყნას ცოდვილს  
 დღეს მას საშინელს განკითხვისასა.  
 ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,  
 ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა

და ხელ-აღპყრობით ეკედრებოდა  
წაწყებდისაგან ჭკუენისა სსნასა.

## IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...  
 ეოცა ეს ხმა უჩვეულო მწიროსა...  
 უური ათხოვა და თითქო ვიღაც  
 ჭკვიის, იძისის ზღუდისა ძირსა.  
 ეცა მსწრაფელ კარებს და გადისედა...  
 ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,  
 და ვით ყრმა ვინმე ლაღაღების სმით  
 შესაფარებულს ბინას ითხოვდა.  
 თუ ძეა კაცის, რამე მოიყვანა  
 ამ დროს, ამ ღამეს ჭკუენისა რღუნისა?  
 მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ძრწის,  
 მოწიღებული ამ რისხვას ღვთისას!  
 ჭკითხა: — «ვინა ხარ? კაცი, თუ მაგნი  
 აქ მოგზავნილი უშაკისაგან?»  
 — «კაცი ვარ, კაცი!... მომეცი ბინა,  
 მისსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.  
 ვერ ჭხედავ ლამის ცა ჩამოიქცეს  
 და ზედ დაეცეს დედა-მიწასა,  
 რა დროს ვითხვას?... შეძიბრალე მე  
 და სუ დამიჭერ ჭყნსა, ბინასა.»

X

— «მართალი ჰსთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,  
 ცოდვას გარედ დაგტოვო ამ დროს;  
 თუ მაცდური ხარ, ჰსჩანს, ღმერთს სწადიან  
 მწირი ცოდვილი დღეს გამომტადოს.  
 ამოკედ ვინც ხარ!... იყავნ ნება ღვთის!...  
 ხელი ჩაუღე ემაგ რკინის ჯაჭვს,  
 ნუ შეშინდები... ვიბეა იგი  
 და ზედ რგოლები სათესურად აქვს.»  
 და იმ ბნელაში იგი წვალებით  
 ავიდა ძალა იმა ჯაჭვითა.  
 მუნ დასვდა მწირი... რაა? ვინ არის?  
 ვერ გაარჩია სიწუგდიადითა.  
 — «გამომეკ ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,  
 გაგიზიარებ ჩემსა სენასა...  
 სახლი ღვთისაა: შენც შეგვირდომებს  
 შენებრ მასვეწარს მრავალსაც სსვასა.  
 წაუძლვა წინ და შევიდნენ სენასა...  
 იქ უფრო ვიდრე გარედ ბნელდა,  
 მსოფლოდ კი ერთგან ღველფათ ქცეული  
 ტეცხლი ჩამქრალი ფერფელ ქვეშე ჩნდოდა.

XI

რა დედამ-ღვთისამ სენას შეუშვა  
 და არ შერიხა იგი მოსული,

გულში ჰსთქვა მწირმა: ძე კაცისა  
 და არა მანუ, ბოროტი სული.  
 სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა  
 ფიცხლავ მიკარდა დამზრალი, სველი,  
 ღვეფი გაქეჭა, ჩაჯდა ცეცხლსა-პირს  
 და გაიწოდა სათბუნად ხელი.  
 — «უჭ, უჭ, რა ცივა!... ჰსთქვა მან სტუმარმან:  
 ლამის გაკშეშდე სიცვიისაგან!...»  
 მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...  
 შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.  
 ნუ თუ აწ ბედმა ქალის სახითა  
 განსაცდელი რამ მას მოუვლინა?  
 და ვითა ელვამ ამისმა ფიქრმა  
 გულში ზარ-ცემით მწირს გაურბინა.  
 მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა  
 მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!...  
 და ვისრად იღო ვით ნება ღვთისა  
 სასოებით და გულ-დამშვიდებით.

## XII

— «შეშა არა გაქვს? ჰვითხა სტუმარმა:  
 მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი,  
 ხვალ თუნდა მთელს ზურგს მე ამოგიტან,  
 აღონდ დღეს გაკობე, შენ შენი ღმერთი.»  
 მეუდაზნოემ იქავ კუთხიდამ  
 მოზიდა შეშა, ცეცხლი ავანთო.

რა გაძლიერდა, ცუცხლისა შუქმა იმ ცნება  
 ბნელად სენაკი სინათლით მოერთა. მისი  
 ხოლო რა შუქი იმა ცუცხლისა  
 სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიუფინა,  
 გასაოცარი რაღაც შვენება  
 განდევილს თვალ-წინ წარმოედგინა. მან  
 უმაწვილი ქალი საესე სიცოცხლით,  
 საესე შვენების ჯადოთი, გრძნებით,  
 ნახად, ამაყად ცუცხლა-პირს იჯდა. მ  
 ვით მინდვრის მშველს უელ-მოღერებით,  
 გუშითა მიფრქვევსა მის შავსა თვალებს  
 თვით ცუცხლი სითბოს ეცილებოდა,  
 მის ელფერთაგან თვით ცუცხლის შუქი,  
 ვითა ძლეული, უკუ-კრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
 ხორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,  
 უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
 თავის სიცხოვლის გამოძახებულად.  
 მაშინაც ვინ ჭსთქვას, ვინ ვის აშვენებს  
 მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...  
 თვით შური, მტრობა ვერ უშოვიდა  
 ქალს მშვენიერსა ვერაიერს ნაკლსა,  
 მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით,  
 გულ-მკერდის რხევით ვინ არ აბრთოლდეს!...

დასუ მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფობას-  
 თვის ნახი გოცნა ზედ დარჩენოდეს უკნ  
 ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს  
 უფლად ძლიერი მშვენებებს...  
 თქმულა, მსეტიც კი გაათურებულა  
 მის წინ დატებება და დაწუნარდება  
 და დაწუნარდა ძალს შვენებისას  
 იგი მწიროცა მწურალი, გულ-მშრალი  
 და უცოდველის გულის-ტვიკილით  
 ქაღს, შეხეკა ტუჩეჭმინილი თვალი. «

## XIV

ბოლოს ჭკითხა მან: — «ვინა ხარ, შვილო?  
 ამ უდაბნოში რამ მოგიუყანა?  
 მეც ამ დროსა, რას ავდრისაგან  
 ლამის წაირღვენს მთელი ქვეყანა?»  
 — «მწეემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ  
 ცხვარს ვამოუბლო მამი-ჩემისას;  
 ხალხმა ცხვარი ამოიტყუა  
 და მეც ამოვეყეფა თანა ცხვრისას.  
 ლამაზი იყო ამ დღის საღამო,  
 რა რიგ შვენოდა მზე დამავალი!  
 შეგხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა  
 გაკშტეოდო, ვეღარ მოვსხდითე თვალი-  
 ღვთის სახესავით გარს შუქ-მოსხმული  
 მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეობა

და საკვირველი ის სანასავი  
 თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.  
 სულ დამავეწედა მამის ნათქვამი,  
 ნუ ენდობიო, შვილო, ამ მუინვასს,  
 ნასამ მზე ადვას, უცებ გაწერება  
 და წამოხეთქავს ციღამ ნიაღვარს.

XV

«მაგრამ რას იზამ? მოდი გულს უთხარ,  
 კარგს სანასავსედ ნუ ხართქო, ხარბო!...  
 მე იქ გავერთვი... მუინვარმა თურმე  
 უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი,  
 ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,  
 მთიღამა ცივი ავარდა ქარი,  
 მოკინდომე ცხვრის გამობრუნება,  
 ვკიანლა იყო ვერ მოვასწარი  
 უცებ შემემთხვა იქავ ავღარი,  
 სეტყვა ტყვიასებ წამოუშინა,  
 ცხვარა გამიფთხო, ვერ მივეშველა,  
 ბნელაში იეხიც ვერ წავდგი წინა.  
 მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!  
 უცებ ჭსტოდნია ჩამობნელება,  
 უცებ სამოთსეს ჯოჯოხეთად ჭქმნის,  
 უცებ გიტებობს და უცებ აფთრდება.  
 კიშ რად გავტეხე მამის ნათქვამი!...  
 ახია ჩემზედ რაც დამემართა!

მამის ურჩსაჲ, გაბიგონია,  
გზა თუგრძე არსად ჯერ წარემართა.

## XVI

«დავლუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,  
მე გავტემ ვასუხს, ჩემი ზრალია!...  
მაგრამ შენვე ჭსოქვი? განა წაუსვალ,  
რაც ფათერაკად მოსავალია?  
თვითონ ცხვარს მამის როდი ვხიოდი,  
მე მამა-ჩემი მებრალეობდა,  
მამისკრთა ვარ, მამას ვუყვარვარ,  
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა,  
ცხვარი დავლუპე—ეგ ერთად-ერთი  
მამის სარჩო და საბრალეული,  
მაგრამ წარბსად ვთარ შეიხრდდა,  
ოღონდ ვენახე მე უკნებელი.  
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერბედ,  
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ლამოდა,  
ჭსტქდა და ჭქუსდა... და ჩემთა თევს-ქვეშ  
თვითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.  
რა მეჭნა ბეჩავს!... საბრალა თავი  
სად შემეფარა, გადამეჩინა?  
კჭსთქვი, აქვე დავრჩე და ბედს მივენდო,  
თუ გაკბელო და წავიდე შინა?»

## XVII

«დავრხენილვიყავ, მე რე ვინ იცის,  
 გავასწეკდი-ღა ამ ღამეს ბედ-შავს?...  
 წავსუღვიყავ და იმ ბნელაშია.  
 ვლდე-ღრეში სადმე ჩავიხედდი თავს...  
 მაინც გაგბედე შინისკენ წასვლა,  
 კვსთქვი, რაც მომივას, დე მომივიდეს!  
 თურმე ნუ იტყვი, გზა ამრეკია  
 და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.  
 ჯაჭვს ზედ წავაწეღა... და მაშინ მივხვდი,  
 რომ აქ მუინვარის მონასტრია,  
 ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,  
 რომ მონასტრში ვიღაც ბერია,  
 განარეული გეძახდი დიდ-ხანს,  
 შენც კი ვარგა ხანს მე ხმა არ ვამე...  
 ვსთქვი, ვაიმე თუ ვერ გავაგონო  
 და აქ მომიხდეს ვათილ ღამე!...  
 მაგრამ მიხრალა ჩემმა გამჩენმა  
 და შენამდი ხმა ამოვაწვდინე...  
 სხვა ხომ შენც იცი... დმერთმა გარჩინოს  
 როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე.»

## XVIII

— «მე ნუ მიმადლი, შეილო, შენს დასხნას,  
 დმერთია ყველას მშველელი, მსხნელი.»

- ღვთით არ განწირულს. ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენე შემწუნარბელი.“
- „შენ ვთქმავი, მეონი, გეგონე.“
- „ნუ მიწეხ, შვილო, ღნურცა გიკვირს!...  
შენვე ჭსთქვი, სხვა ვინ მოხდავს ქვეყნით  
ერთს დავიწეებულს ღ განდეგილს მწირს!...“
- „განა ქვეყნათა შენ არავინ გყავს,  
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“
- „მეკანდნენ... ღ ყველას გამოკეთსოვეს  
აქ მოკელ და ღმერთს შეეწირე თავი.“
- „მას აქედ ბერი წელიწადია?“
- „არ ვიცი.“ — «როგორ?» — «არ ვთვლი წელთა სკლას,  
მოკმორდი, შვილო, წუთის-სოფელსა  
და რაღას ვაქნე იმის უამთა-ცვლას!...»
- «მოკმორდი ღ აქ სულ მარტოკა სარ?»
- «ეკეთი არის, ჭსნანს, ნუბა ღვთისა...»
- «როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა  
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?»

## XIX

«ღმერთო ნუ მიწეხ, ნურც შენ გამკიცხავ  
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...  
როცა აქ ცხვარი მიძოვია  
და შემისედავს მყინვარისთვისა,  
მომგონებია მამის ნათქვამი,  
იქ, ყინულებში კაცი სცსოვრებსო,

სულისთვის ხეობი გაუწირდა  
 უწუთი-სოფლოდ მარტოკა ჭსძლებსო,  
 გამკვირვებია მე ეს ამბავი...  
 მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?  
 განა ჭსწუნს დმერთს, რომ კაცი შეჭხარის  
 ქვეყანას, ღვთითვე დაზადებულსა?  
 ვფიქრობდი: ნეტა მამ რისთვის მართო  
 ესე ღამაზად წუთის-სოფელი?  
 განა მისთვის, რომ ადამიანმა  
 შესხვენოს და აიღოს ხელი?  
 ყველაფერს უნდა გამოკეთსო  
 ჩემს ტოლს და სწორსა, ღვინს და სინარულს?!..  
 დმერთო ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!  
 ადრე და მალე ვერ მოვიკლამ გულს!...

XX

«ან შენ როგორ ჭსძლებ უწუთი-სოფლოდ!  
 მეც იცი ვი რა რიგ ტკბილია!  
 აქ სიკვდილია, იქ ვი სიცოცხლე,  
 აქ ჭირია და იქ ვი ღვინია.  
 ნუ თუ თვის-ტომი, ტოლი და სწორი  
 ყველა გულიდამ ამოვიღია,  
 ნუ თუ ნადგული, დაწდი და ჯაკრი  
 თან არავისი წამოვიღია,  
 არ გაგონდება არც მამა, დედა,  
 ან ძმა, ანუ და, ან სახლი-კარი?»

ნუ თუ მის დღეში არა გყოლია  
 მოკეთე გულის შემატევიანი?!  
 როგორ მოშორდი?!... — «რა გითხრა, შეილა,  
 ყველასკად უფრო სულე ტებილია,  
 იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა  
 და ეგ უბეული მის ბარჯილია.»  
 — «მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაჴყუდებით,  
 კვლარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?»  
 — «ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა  
 ესეთი მერგო მე... უბედურსა...»

## XXI

«უბედურსა»?!... და ძწირსა უცხო  
 გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმასკად...  
 ესეთი სიტყვა სომ ჩვილია  
 და ვით მოადგა იგი ენასკად?  
 «უბედურსა»?!... ეგ სომ სიტყვა  
 გულის ტკენის და სამდურაგისა!  
 ეგ სომ სულთქმას, აღმოგენსს  
 ბედნიერების დაძვარვისა!...  
 მან რა დაჭკარვა?... ნუ თუ არ ჴყოფნის,  
 რომ მან დასძლია საწუთროება,  
 განდგა მისგან და აქ მოიბრუნა  
 სულის მშვიდობა და მუდროება?  
 ნუ თუ დაჭარვას აწ მიიჩნია  
 დამარსვა სფრცის გულთქმის, ვნებისა

და არა ჭკმაწის, რომ სუელს დაუდგა  
 წმინდა საყდარი უკუდაბისა?  
 რა დაემართა? რა მოუვიდა?  
 ნუ თუ უჩივის აწ იგი ბედსა?  
 ნუ თუ აწ ნანობს ქვეყნის დათმობას  
 და მუნათს რასმეს ჭსდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეკადრებს ღმერთს იგი სამღურავს!  
 არ გასწირავს სუელს შეკედრებულსა! მით  
 ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,  
 მასზედ გულ-უხვად მომადლებულსა!...  
 არა და არა!... მაშ რამან სძლია  
 და ეს სიტყვა რამ ამოაკუნესა?  
 მიძიბებდა თვის გარს საბრალდებელს  
 თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა,  
 არავინ იყო... ხოლო ცეცხლ-პირს  
 ქალს დასაღულსა მიჰსძინებოდა  
 და ცეცხლის შუქს მის ტურთა დასეს  
 ვით საყვარელსა ზედ დაჭნაროდა.  
 საოცარ იყო მიძინებელი,  
 იგი სიტურთა იგი შეკნება!  
 თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო  
 თვით სიყვარული და ნეტარება  
 თითქო თვით მადლსა შეკნებისა  
 თვისი საუნჯე აქ დაჭნებია

და უმხსა, ვითა ხადონს ვარდზედ  
სული მის ღაწვზედ დაუღეკია.

## XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა  
დაუცხრა სული აქოთებული  
და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დაჭრის  
თვალი ტყვე-ქმნილი, გასტერებული.  
რად შეემსგავლა თვალი იმ სახეს?  
ის სახე ატეობს, თუ ეოცება?  
მორიდება სურს და ნეტა თვალი  
რად ეუჩრება და არ ნებდება?!  
დიდ-ხანს დასტყუდა... ნეტა რა სსივი  
გულს ჩაეფინა ხელი და თბილი!...  
ძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის  
ესოდენ ამო, ესოდენ ტებილი!  
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...  
ეხლა სულ სხვაა მის გულის-ძგერა!...  
ეხლა მის გული თითქო ებნის ჭსტემს  
და ისმის ჩემი ებნის სიმთ ყლურა.  
როგორ იწამოს და რა დაარქვას  
ამ ჯერ არ ცნობილს სიტუბოებასა?  
თუ ცოდვა არის, კერე რადა ჭგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებას?

## XXIV

თქვნი წინ წადგა... არ იცის ჭი რად?  
 ჭაღს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,  
 ძილში ჩაყოლილს თეძრის, თუ ოცნებას  
 ბაგე გაეშო ლაღის დიმილით...  
 იმა დიმილის გრძნეულთ ჭაღო...  
 ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა  
 და იმა წვევის მაცდურებასა  
 ზე-აწსთა ძაღბც ვერ გაუძლებდა,  
 და ვერ გაუძლო საწყალობა მწირმაც...  
 და დაინახა თავი თუ არა,  
 უცებ გაშეშდა... ეჭა, წაწედა,  
 ეს რა სურვილი გულს გაიტარა!...  
 ნუ თუ იძლია? არა და არა!...  
 მის სასიკეთა არ დაუძლურდეს  
 და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,  
 იგივე უნდა ბოლომდის წაწყურდეს!  
 არა და არა!... არ აიყრის მადლს,  
 და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,  
 არ ანაცვალებს და არ დაუთმობს  
 ხორცს ესდენ ღვაწლით ღ ტანჯვით ძლეულს!

## XXV

მაგრამ ეს რაა?... «წაწედი თუ არა»!...  
 ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!

«დაგძლიე თუ არ!...» ეს კინ გაჭკვივის  
 განსარბული იმის მკედარ გულში!  
 ეს რა ხარხარებს! ეს რა დაჭსტინის!  
 ეს რა სმა ისმის, მის გარს ლხენისა!  
 მტრთლხა ეგრეთ, თუ უველს ესუ  
 მხოლოდ ცდომია ყუერთა-სმენისა!  
 და შიშით, შარით გარს მოიხუდა...  
 კვლავ არ ვინ იყო... ქალს კვლავ ქმინა  
 იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით  
 შირ-ქვე დაემსო ღვთის-მშობლის წინა  
 შით რა ეშველს?... იგივე ქენჯნას,  
 იგივე ძრწოლას, შიშით და შარით!  
 რად არ დადგება, რად არა ჭსტსრება  
 იგი ნიშნ-გების წყუელთ ხარხარი!...  
 სული გულს იწვევს ღვთისა კედრებად  
 გული სხვას ამბობს, არა ნუბდება...  
 ნუ თუ ღვთის-მშობლის საფარველ ქვეშ  
 წყუელი სოწცი არ დაწუნარდება!...

## XXVI

ზე აისება... დედა-ღვთის ხატსა  
 მაკედრებელი შეჭმართა თვალი...  
 ჭკაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,  
 თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი.  
 ეს რა ეწვია? სმას რას ხედავს?  
 ცხადია იგი, თუ აჩრდილია?

ნუ თუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატო  
 ამ ცოდვილ სახელ ჯანდაქმნილთა? ძველ  
 ნუ თუ აწ დმერთი დიხსად არ ჰხადის,  
 რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულას  
 და მის შეწევნით მისვე წინაშე  
 ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულას?!...  
 შირ-ფვართ უნდა, ხელი არ ერჩის,  
 ლოცვის თქმა უნდა, ენა ებძება  
 ხატის ხელსა სწუფის ღ იგივე... იგივე...  
 ქალი წყუელი თვალთ კლანდებს  
 «აბა ჰსძლიეთ!...» და კვლავ ვიღაცამ  
 გაინახნარა იმის სენაკში...  
 აწ იმა ხარხარს შეღარ გაუძლო  
 და როგორც გიჟი გაკარდა კარში.

XXVII

...მეტიერაჲ იყო და ბუნებოდან, მისი  
 ჯანდაყრილ იყო ციღამ ღრუბელი  
 და დაწინარებულს წუთის-სლოფულსა  
 დიღის ნიაკი დაჰქროდა ხელი.  
 ეს ვინ ჰქრის, დაწინის? ეს ვინ ტანტალებს  
 ამ კლდეებშია თმა-ბურბუნულად?  
 ნუ თუ მწირია? ... იგივე ფუნისა ითხე  
 ვითა სიკვდილი გაფითრებულა.  
 აჭა მოკარდა, ზღუდის პირს დადგა  
 და მწუერვალებით უცქერს მთის-წვერსა,

თითქო იქიდანამ გამოელისო  
 თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა  
 მზის ამოსვლასა ელოდებოდა...  
 რად არ ამოდის? რად გვიანდება? სა  
 დღემდე თვით უამი არა რა იყო  
 და ესლა წუთიც რად უძნელდება?  
 ამოვიდა მსუცხ... მსწრაფელ უკუიქცა  
 შევარდა სენაკს განარებული  
 და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად  
 ნახს სარკმელადამ გადმოშვებული

## XXVIII

გულზედ მოეშო... კვლავ სასრუბით  
 დედა-ღვთისასა მიაპურა თვალი,  
 კვლავ ნახს იგივე ცხრეული ხატი  
 მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.  
 არ შერისხულა, ჭსჩანს, კიდევ ღვთისგან!..  
 ჯ ღმერთს მადლობა ცრემლით შეჭსწირა...  
 მივარდა ლოცვანს, დააურდო სხივზედ  
 და, ეჭა, სხივმა არ დაიჭირა!..  
 დაესხა რეტი, ხვალთ დაუბნელდა  
 გაშრა, გაშუშდა ზარ-დაცემული,  
 ერთი საშინლად შეჭბდავლან ღმერთსა  
 და იქავ სხივ-ჭეშ უტევა სული...

და იქ, სად წმინდათ უდიდებით  
 ღმერთი ძვანის და ჭეშმარიტების,  
 იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ  
 სხვერპლი ქებისა და ღაღადების,—  
 აწ შორის ნანგრევთ და ნანატრმაღთა  
 მარტო ქაჩილა დადის და ქშუის  
 და გამოძეთხალი ჭექა-ქუხილით  
 მუნ შესვეწილი ნადირი ღმუის...

ილია ჭავჭავაძე.

ნ. ბებრეკალს 1883 წ.

მ. რ. მ. და მ. რ.

პირველი, რომელიც უნდა იყოს

დიდიმეტრული I

...პირველი დიდიმეტრული

უკუდასრულდა გვიან ვარდის-უბანში ნოზაძემ გაათავა კალა-  
დღეს, შაბათს, უკანასკნელად შეხვეტა ბზე და ამისათვის ამის  
კალა ისე კრიალებს, როგორც ახლად პირ-მოპარსულის ვაჟ-  
გაცის სახე და ფეხს ისე იცურებს, როგორც ძალზე გაყინუ-  
ლი ფრინის პირი იანვარში. ამიტომაც მთელის სოფლის ახალ-  
გაზდობამ ამ კვირა-ძალზე იქ მოიყარა თავი სალხინოდ. დღეს  
ერთი იმ მშვენიერი, ტებილი-და-მყუდრო ღვინობისთვის სა-  
ლამობისა იყო, როგორიც ხშირად იცის ჩვენმა დალოცვილმა  
ქვეყანამ. ნოზაძის კალა ძალღობზედ მდებარებს და გადმოჭ-  
ყურებს დაზღა სოფელს. გვერდით უდევს ბუჩქნარი ტყე და  
ცოტა მოშორებით ძველი ნანგრევი ეკლესია, რომლის კედლე-  
ბიდგანაც აქა-იქ გამოიყურებიან კარგა მოზდილი ხეები და შე-  
უწყვეტლივი მტრედის ღუღუნი გამოსიმის. ჩამავალი მზე უხ-  
ვად ჭებნს თავის წითელ სხივებს და ჭანტასტიკურად ანათებს  
შემოდგომის გაყვითლებულ ტყეს, თეთრ ეკლესიის კედლებს და  
სიციცხლით სახეს გოგო-ბიჭების სახეებს. ესენი უკრავენ დაი-  
რას, «ბუჩქას» და დამა და კავალერი (ახალ-მოდურად) გაჭანე-  
ბულ ტყვეს უკლიან.

— ეგრე, ეგრე, გენაცვალე, შეუკვივლებენ ხალხე ბიჭები მო-  
თამაშებს, აგრე შენი ჭირიძე!

და მართლაც რომ სასიამოვნო წყვილი იყო ეს მოთამაშენი. ქალი მალაღობი, კოპწია, მისის ვარდივით გადაშლილ ლოყა-ტუჩებით; თეთრის სუფთა ჩითის კაბით და თავზედ ყვითელ ბაღდად-მოხვეული, რომლის ქვეშედგანაც ექვსი მსხვილი ნაწნავი დაშვებულიყუნ და ფეხის თამაშის შესაფერად ბუტებზე ცელქურად ჰხტოდნენ. ბიჭი ლომი, მხარ-ბუჭ გადაჭიმული, ახლად ულვამ-აყვავებული, პატარა კალმუხის გარბაზლით გვერდზედ წამოდებული; მოვის გულის-პირით, შავის ახალუხით და აქლემის-ყელის ჩოხით, ვერცხლის ქამარში კალთებ-ჩაკეცილი და წულა-საცვეთებით ლაზათიანად გაწყობილი. ესენი ემხით ერთმანერთს დასტრიალებდნენ. თედო ხანდისხან ადტაცებული ცდილობდა: სული როგორმე წამოეკრა ქუჩესთვის, მაგრამ ის მარჯვედ გაუსხლტებოდა ხოლმე ხელიდგან და ამით გამოიწვევდა გულითად სიცილს ამხანაგებისას.

ქუჩე იყო დედის-ერთა, მზითვიანა ქალი, ამის მამა გოგია აზნაურებს აღირებდა თავის გოგოს. თედო კი ერთი სხვა მხრიდგან გადმოკარდნილი ბიჭი იყო და ლექსა-პურს მოჯამავირობით შოულობდა. მთელ თავის ჯამბირს ეს თავის მოართვას ანდომებდა და ამიტომ დღემდის თავის ბედობაზედ გროში არსად გააჩნდა. ეს იყო საშინელი ყბედი, ლაზტანდაჩა და ამისათვის სოფელში ორ-ენა დაეჩქვა; პირველი მოჭიდავე, ჩინებული ზურჩის დამკვრელი და ამისათვის ყველა ღხინის და ჯვარობების მოთავე. ეს აგერ ერთი წელიწადია, რაც გოგიას ძმას, ამის კარის-მეზობელს, მოჯამავირედ დაუდგა და იმ დღიდანვე ლამაზ ქუჩეს გაუშიჯნურდა. ქუჩეც, რასაკვირველია, უგულოდ არ კვიდებოდა დარდიმანდ თედოს, მაგრამ საქმროდ კი რა საფიქრებელი იყო! ამას გულშიაც არ გვივლებდა. ეს პირველი საპატარძლო სოფელში ჯიბის-ფულით და ის მოჯამავი-

რე ბიჭი! მდიდარის გლეხის ამყობისთვის ეს შეუძლებელი იყო და ამისათვის თითქმის ყურს არც კი უგდებდნენ ამით დახლოვებას და სიცილად არ ჰყოფნიდათ თედოს მიჯნურობა.

რამდენიც ბინდმა მოატანა, ლხინი უფრო განსაკლდა, მოთამაშებებს თსოვნა აღარ უნდოდათ, ყველანი თავ-თავივად გამობოდნენ. ხშირად ქალი და კაცი ერთად თამაშობდნენ, ხანდახან ორი ქალი და მარტო კი იშვიათად ვინმე თამაშობდა დახვლდა, მაგრამ დიდი-ხნით არა. ასლა, შთავარემ იყუო ნელ-ნელა ამოსვლა და თავის მერთაღის შუქით დაჭყურა სასიამოვნო სურათი. გათავდა დაირა, გაიმართა «ცანგაღა.» გაუჯობდნენ ლექსებში გოგოები და ბიჭები ერთმანერთს. ცალ მხარეს ქალები დადგნენ, მეორესე ბიჭები. თითო მოლექსე აირჩიეს. ესენი ერთმანერთს გაუჯობდნენ ლექსების თქმაში და დახარხინნი ბანს აძლევენ. სიმღერა ქიშხით უფრო და უფრო ცხოვდებოდა, ხმები უფრო მაღლდებოდნენ და მთელ სოფელს გადასწვრივლებდნენ თავზედ. ბერი ედაძითილი, ბერი მოსუცებული მამა ბუტბუტებდა კერასთან ყმაწვილების ამ გვარ სიონ ცოცხლის სიჭარბეზედ, მაგრამ გაბედვით კი კერავინ ბედავდა ხელი მოეშალათ და ლხინი შეეჩერებინათ. შემოდგომის შუალამის სიცივემ კი უბოდიშოდ ძალზე მოუჭირა, სიყმაწვილის ადგზნებულმა სისხლმაც ვერ შეუძლო და ლხინი დაიშალა.

— გოგოებო, სთქვა ქუჩემ, მოდი სულ ბროლოსანში წაუვიდეთ პანტასედე.

— მართლა, მართლა! მოისმა კრთ-ხმივი თანხმობა.

— თითო ხარი შევაბათ ოჯახიდან, კრთი-ორი უჩუბი გაუშვით, საგაღი წავიდეთ, პანტაც მოკერიფოთ და ლხინიც ვნახეთ, დაუმატა ერთმა ბიჭმა.

— ვინც არა? ღმერთმა სუ გაუთენოს სვალ დილა, სოქვა ქუჩემ.

— კარგი, კარგი. გაუთენებისას ამ კალოსედ შეგვროვდეთ და მოადრებით გავუდგეთ გზასა. მართო ორიოდ უმფროსი უნდა წავიყვანოთ ვინმე.

— წავიყვანოთ, მამა. აი ნოზა-ურბი და სანაზა-ული, სიხარულითაც წამოვლენ და არც იყაყნებენ ჩვენს გიჟობასედ.

— ეკ თქვენ იცით, სოქვეს ბიჭებმა. ჩვენ კი ურბებს მოკამსადებთ.

— ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა!

— ძალი-ნებისა, წყილი გბენისა! გოგოებმა ერთი-ერთმან ერთს ბუტებში ჩაჭკრეს და დაჭროლდენ სოფლისკენ.

უნდა მოგასსენოთ, რომ სოფელი კარდის-უბნის ერთი იმ ბედნიერ გუთსეთაგანი იყო, რომელიც იშვიათად მაგრამ მოიზოვებინა კი ჩვენს ქუჩის სოფელითა მსახურებში. აქ სწოსვლებს ორმოცობადე სანკლამწითელ გლეხს სანატონე მამულსედონ უელად. სოფს ამათგანს სკუთარებაცა აქეს შექმნილია. თითქმის უგელანი ამ სოფელს მცხოვრებნი გაკეთებულდ გლეხები არიან, მრავალი ძროსა, სარბი და სსვა წვრილ-ფეხობა დატრიალებს ამათ სამოვარზე დასაზიანნი სის კდეულები ამშვენებენ ამ სოფელს და კვირახობით სუფთად ჩაცმული და მსაჩრული ქალგაცი ამტკარებენ საერთო კეთილ-მდგომარეობასა. გულ-მოკუბული გლეხები უმთურველად აქედენ თავიანთი რაფეს დედა-მინას და სწოფის ბედნიერებით სმარობენ თავიანთ ნამუშევარს. კარდის-უბნის გზა კურ გაუგელაი სომსისაგან, და ურბი საიდგომოდ და საშობაოდ თუ მოვა თავის ფართალ-ფურთლის ცასასალებლად კარდის-უბნელები დიდი-სნის გადმოსასლებულნი არიან და ამისათვის თითქმის მთელ სოფელს ერთმანერთში

მოყვრობა და ნათელ-მირონობა აქვს. ეს არის მიზეზი, რომ ქალი და კაცი მოურიდებლად, ერთად ატარებენ ღროს და ისე გატალ-ცალკეკებულნი არ არიან, როგორც ყოველგან არის მიღებული ჩვენში.

## II

ირაყრავა თუ არა, ნოზაძის კალამი ისეუ მოძრაობა აწყო. თუმიცა მზემ დაუყოვნებლივ თავი ამოჭყო, მაგრამ ხელის სისქე რთვილი, იღო და სიცივე ამის გამომ ძლიერ საგრძნობელი იყო. გოგოები წაფუთხულნი ძველ-ძულეში, ხელთათმანებთან, მობურხელიყვნენ საბძელთან და ბიჭები ურმებს ამზადებდნენ. ბოლოცსანი უზარმაზარი ტყუა. ამის დიდ-ჩაწილს ვაშლის და ჰანტის ხეები შეადგენენ და რადგანაც კარდის-უბანი მთაა და ვაზი არა ხარობს, იქ მცხოვრებნი უფრო მომეტე-ბულად არაყს ეწეობიან. ამისათვის ყოველ-წლივ მრავალ ჰანტა-ვაშლს ეზიდებიან საარაყედ. სოხელის ბოლოცსა აქვთ გამართული სასოგადოდ რჩიოდე საკოდი და ყველას რჯახსში თუ შურდს რტკა არა, ჰანტის რიგიანი არაყი ყოველთვის მოინახება. დღესაც თითქმის მთელმა სოფლის ახალ-თაობამ მიიღო მონაწილეობა ჰანტასე მგზავრობაში. ყველასე ბოლოც მოვიდა ქუჩე, ჯერ-უმარილ წასმული, ლეჩაქ-ურ-გადაგდებულნი. გოგოებმა ეს მამინვე შენიშნეს და ერთი-ერთმანერთს გადახედეს.

— ქა, რას გამოპრანჭულხარ, გოგო? უთხრა ერთმა იმთ-განმა, ჯვარობას ხომ არ მიხვალ, არ იცა რომ მთელი დღე ჰანტა უნდა ჰკრიფო?

— რაღა ვკრეფავ, უზასუსა ქუჩემ. მამა-ჩემი ჰანტის არაყს არ ეწეობა, მე მარტო სალხინოდ მოვალ-

— ჭა, ბენა და გული როგორ გაგიძლებს ისე ჯდომას, როცა დიდი და ჰატარა წაკურსული მუშაობაში ვიქნებით, უთხრა მეორემ.

— რას ჩამაცივდით, ჭა, თუ ჩემი გშურთ, თქვენც მოირთუნით.

— ურემი მზად არის, გოგოებო, გასწით, დაიყვირა ხარახაულმა. არაყი სომ ბლამად მოგაქვთ? უიმისოდ ბეგრს კერაფერს აგიკრეფთ.

— ბლამად არის, ნუ გეშინიან, მიუგო ერთმა ემაწვილმა ბიჭმა და სარებს შოლტი გაუტლამუნა. ურემები დაიძრენ და ეგელანი უკან გაჭყენენ. მეურმემ ურემული დაილიანა. ჯერ ეგელანი დიდ-ხანს გაჩუმებულნი მიდიოდნენ და თითქოს გულსა და თვალს ატკობდნენ ბუნების გაღვიძების სიმშვენსიერით, მერე ხელ-ხელა ღიღინი მოისმა და შემდეგ საერთო სიმღერად გადაიქცა.

წირვების დრო იყო, როდესაც ჩვენი ურემები შევიდნენ ბროლოსნის ტყეში. დიდებული იყო ეს ახოვანი ტყე ამ მშვენსიერ ტაროსში. აქ სრული სინუმე სუფევდა, ნიავიც კი არ შეარსებდა მალაღის ხეების ტოტებს. არც ერთი ფრინველი არ დასჭიკჭიკებდა ამ უდაბნოს და არ ამღებდა სიცოცხლის ნიშანს. ჰანტით და ვაშლით საკვსე იყო მთლად გაყვითლებული ტყე. ძირსაც გაყვითლებული მოთელილი ბალსაგო და ზედ ყვავილების მაგივრად ყვითელი ჰანტა და წითელი ვაშლი იყო გაშლილი. მგზავრებმა ერთი დიდი მუნა აირჩიეს და იმის ქვეშ ცეცხლი გააჩაღეს. ურემები გამოუშვეს და საუზმის სამზადისს შეუდგნენ. მალე დატრიალდა ორგოლი

დორის მწვანების სუნი და ყველანი ცუცხლს შემოუსდენ. ქალებმა მთელ-მთელი პურები გადმოყარეს ხალხსკედ; მაგრამ მოსარძეული ჭებრცხები, ყვითელი ყველები და შავი აჩუის ბოთლები აჭრელებდნენ ბუნებისგან გაშლილ სუტრას. ყველამ მადიანად გაუსვა სელი საგძალს, თითო-ოროლა ყანწი აჩაყიც გადუსკეს და შემდეგ მოწყვნიენ ხასს. ბუკრბ ითქვა ამ მთისა და ამ ხარისა. ადგომას თითქო აღაჩავინ აპირებდა. ყველას პირის-სასურვედ სარული კმყოფილებს იყო გიმონატული. მარტო ჭეხე იჯდა ბოლოს პირ-დადმეჭილი და გულის თანცქალთ თითქო რაღასაც ელოდებოდა.

— კარგია, შვილო, სთქვა ხარასაულმა და ფეხზე წამოდგა. აგრე რომ გახბათ, ე პანტა თითონ სო არ ჩაგუარიფუბათ გოდრებში?

ყველანი მსწრაფლად წამოსტნენ. ბიჭები აცოცდნენ სეებზედ დასაბურტყად და ქალები კრეფას შეუდგნენ. დიდ-ხანს იჭრიფა პანტა ბეჯითად, რამდენიმე გოდორი აიკსო პირამდის და სმა აჩავის დაუძრავს. ჭეხე კი უსაქმოდ აქა-იქ დაქსეტებოდა და დაუყენებლივ პანტას ვიჯვნიდა.

სამსრობამ მოატანა. მზემ ძალზედ გადიწია. ურმები რიგინად დაიტვირთნენ და მუშებიც გასწორდნენ წელში.

— ესლა კი კძარა, მე და ჩემმა დმერთმა! ყოჩაღად იმუშაკეთ, ჩემო გოგოებო, თქვენცა ბიჭებო, სთქვა ნოზაურმა. ახლა ლუკმა შეეჭამოთ და გავუდგეთ გზას, თორე დაგვიღამდებს და სიცივე ძლიან მოგვიჭერს.

— კძარა, კძარა, ნათლია-ჩემო. ახა ერთი სამსარი და მე რე უკვე რათ.

სამსრისთვის კიდევ ცუცხლი აპირაღდა და როდესაც გაწას შემოუსდენ, ჭეხე აღარსადა სჩანდა. ბუკრი იყვირეს, ბუკრი ეძე-

ზეს გაჩემო, მაგრამ ამაოდ. შეტი ღონე არ იყო, უმისოდ დასხდენ საკმელად. ამ ხელობად სუფრას ისეთი მსიარული შესედულობა აღარა ჰქონდა, როგორც დილას. ქუჩეს დაკლებს უნებურად ყველას აწესებდა. ყველანი ძალე აიშალნენ და გაუდგნენ გზასა.

— უი, დამიდგეს თვალები, მუსლებში იცემდა ნოზაური, რაღა ვასუსი უნდა მიეცე იმის თვალ-დამიდგარ დედას! ხომ მე მომიკითხება?

— არა, შენ რასე მოგიკითხება, ზეს? უზასუსა სარაზაულ-მა, ის ყოველთვის ატრე თავ-აწყვეტილია და ჩვენ რა ვქნათ.

— ნუ გეშინიანთ, აღამიანო, ის გზას არ დაჰკარგავს, ესლა გინ იცის, შინაცა ზის, დაუმატა მეორემ.

ამ ლაპარაკში ურძები ტყეს გასცდენ და ქუჩეს თავს წაადგნენ. ის წამოწოლილი იყო მსარხედ და თავის ამსანაგებს ელოდა. ყველამ იმის დანახვასედ შეჰკვივლეს და საყვედურით მიმართეს. «რა ღმერთი გაგიწყრა, რასედ გამოგვეპარე. ჩვენ გვეგონა, დათვებმა ხომ არსად გამოფაშვესო.»

ქუჩე ჩისტოკოპ-გვერდსედ მოქცეული, გაწითლებულის ღოყებით ზეპვირიალს თვალებით თავ-ჩაღუნული იდგა და ვასუსის მაგივრად ფიქრში იყო წასული, თითქო აქ არ იმყოფებოდა და იმას არ შეეხებოდა ეს სიტყვები. ამ ყაყანში და აღიაქოთში თავს წამოადგათ ორ-ენაც, რომელსაც დღევანდელ მოგზაურობაში არ მიუღია მონაწილეობა.

— გამარჯვება თქვენი, ბიჭებო! ჩემი ჭოტა მოზუერი ხომ არსად გინახვოთ, ჰა?

ამ კითხვასედ ვასუსის მაგივრად მოისმა საშინელი, გაუთავებელი სიტყვა. — გვინახავს, გვინახავს, ისმოდა თითო-ორიოდა სიტყვა და შემდეგ კიდევ გაუთავებელი ხარხარი. ყველას გვერ-

დები ეჭირათ ხელით და თვალებიდან ღაჭა-ღუპით. ცრემლები სდიოდნენ სიცილისაგან. თედომ და ქუჩემ ერთმანერთს გადასჯეს და მისვლენ, რომ საიდუმლო გაუცხადდათ.

— ვაი თქვენ და ვარაძი, გაჯავრებულმა წაიტუტუნა ორენამ და გაუდგა თავის გზას და დანარჩენი, სიცილისგან დაღლულნი, თავიანთსას.

მეორე დღესვე ეს ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო. განზნუნდა ერთი საშინელი ჭორაობა და ალიაქოთი. ვარდის-უბანი ამყობდა თავის კეთილ-ზნეობით და როგორ მოსდა, რომ მოთრეულმა მოჯამაგირე ბიჭმა ლაფი დასხსა მთელ სოფელს! რასაკვირველია, ეს ამბავი ქუჩეს დედ-მამასაც მალე აცნობეს. ამ დღიდან ქუჩე ალაჩავის უნახავს სოფელში. ამობდენ მამამ ისე სცემა, რომ ლოგინად ჩავარდა. ორენამ გოგიას მეორე დღესვე კაცი მიუგზავნა, მაგრამ იმან ქალის მიცემის მაგივრად მოკვლა დაუწირა. ამის შემდეგ ორენა გაქქრა სოფლიდან. ამობდენ, რომ მილიციაში ჩაეწერა და ომში წავიდა.

### III

დადგა გიორგობის თვე და გაიმართა სოფლის ქორწილები. ვარდის-უბანშიაც მოიყვანეს ორიოდ ჰატარ-ძალი და გაისტუმრეს რამდენიმე ქალი, მაგრამ არც ერთ ქორწილში საწყალი ქუჩე არავის უნახავს. ალები-ღამე დღეს მოულოდნელად სოფელმა შეიტყო, რომ გოგიას ქორწილი აქვს და ამდამ ქუჩეს ისტუმრებს. ვის აძლევს? როდის მოახერხს? ეს ვერკვინ შეიტყო. ბინდისას ჩაჩდახანნი ურემი, რიგინად მზითვით დადებული გავდა სოფლიდან და გაუდგა შარა-გზას. არც

მყრები, არც მეკვარე, არც მდადე არ მისდეკდენ ჰატარ-მალს და არც ვარაყიანი გვირგვინი ტოტები უმშვენებდენ კაბლუც კისერს. გვერდით უჯდა შუა-სნის კაცი, სშირ-ჭაღარა მორეული. ეს იყო ორმოც-და-ათის წლის ჭანძაკი, ნაჭკრიალი და ოთხის შვილის ძამა. სულ ეჭკეს თვეს არ გაეარა, რაც ეს კაცი დაჭკრიკებულყო, მაგრამ შვილების მომკლელად დედა-კაცი იყო საჭირა და ბედმა ქუჩესეღ მიასხეტა.

#### IV

გავიდა ეჭკსი თვე. ერთ მათის საღამოს, როდესაც წვიმას წინარად ყუყუნი გაუდიოდა კარდის-უბნის არე-მარესედ, გოგია და ნინო ცეცხლა-პირას ისხდენ. ნინო შეჭამანდს ზეღდა და გოგია ჩიბუხით ხელში გუსგუსა ცეცხლს შესტჭკროდა; იმის სახესედ რაღაც ჭმუნვა და მწუნსარება გამოიხატებოდა. ამ დროს მძიმედ შემოელა დიდი მუხის კარები დაწბასისა და ჩუმად შემოვიდნენ ორნი პირნი. ხელაში მასპინძლებმა ვერ გაარჩიეს სტუმრები და სტუმრებიც ხმას არ იღებდენ თავის გამოსაცნობლად. ნინომ სასჭაროდ სანთელი ანთო და საშინლად შეჭკვილა, როდესაც შუა-ბოძთან თავის თავ-ჩაღუნული ჭალი დაინახა და მასთან სახე განრისხებული სიძე. გოგიაც თვესედ წამოხტა.

— ეს რა ამბავია? ჭკითხა გოგიამ სიძეს.

— ეგ შენ უკედ უნდა იცოდე, ჩემო ბატონო, მანამ მე, მიუგო იმან. ღმერთმა ისე ხელი შენ მოგიმარტოს, როგორც მე შენ მომატყუე და ჩემის შვილების მოვალე იყავ საუგუნოდ. დღემდის პატროსანი ოჯახი შემიტყუებინე და კერასედ ცეცხლი

დამისხი. წაიბარე ეს შენი პატი დასანი ქალი. ეცადე კარგად მოალოგინო და თავანკარი არ დაუხიანო.

— რას ამბობ, რასა? ერთხმით შესძასეს ცოლ-ქმარმა. ქუხემ თავი უფრო ძირს დაღუნა.

— მზითუვი, განაგრძელა სიმე, რაც წამილია, უკვლხად უკან გაასკლით. მშვიდობით.

გოგია და ნინო გაცოცხლებული, პირებ-დაღებულნი იდგნენ და ვასუსსაც ვერ ასერსებდნენ. სიმე სასქაროდ გავიდა კარედ, შეასტა ცხენს და თვალის დასამსახებამდის მიიძალა სიბნელეში. ქუხე ბოძთანვე სჯდა, თვალბუნდ სული მიიფარა და მოჭყვას მწარე ქვითქვითს. ამისმა ტირილმა გამოიყვანა დედ-მამა ფიქრისგან და რთავენი ერთად მსეტებოვით დაეტაკნენ ქუხეს. როგორ? შურცსკენილი და თავ-ლათ-დასსმული ქალი უკან დაუბრუნდათ! რა უნდა ეთქვასთ ქვეყნისთვრს და რა პირით უნდა შეესკნათ მესობლებისთვის? გაცოცხლებული ამყობის დამცირებით, ესენი შეუბრალვლივ სტანჯავდნენ ქუხეს. პირი, სული, ნაწნაკები, ერთის სიტყვით, რაც კი სულ-ქვეშ მოხვდებოდათ, შეუბრალვლივ იბდღენებოდა.

— აი, შე რჯას-ქორო, შენა. შენი საჭმე ეგეტ ყოფა და ზრდიერს ამბობდი? გაცოცხლებული დრობლებს ჰყრიდა გოგია და გვერდებს უსელდა წიხლით.

— მოკვდი, მოკვდი, შე გაგჭყვილო, რად მიინდისა შენ ცხენილი, მოკვდი, ეუბნებოდა ნინო და ავლევდა კიკინებს.

გაჩუბებული, თუ გულ-წასული, ეგდო ქუხე მიწასედ და უსიტევოდ მტანდა გამსეტებულის დვიძლის მშობლებისაგან ტანჯვას.

ბოლოს, რადესაც გული რიგინად მოიოხეს, დააკლეს სული რთავემ და გულ-წასული გოგო ბოსელში შეათრის.

გამომსურეს კარები და დასსდენ კერასთან. ნინო მოჭყვა ღრიალს და გოგია თავ-პირში ცემას. ამ სმაურობაზედ მუ-  
სობლები შემოვიდნენ. დაიწყეს გამოკითხვა, ნუგეშის-ცემა და  
ქაღალა-სმივ წუწუნო. ერთ-წამზე მთელი სახლი პირამდის სახსე  
იყო მთელის სოფლის მცხოვრებლებით. დიდი და ჰატარა ცდი-  
ლობდა ნუგეში ეცა დედ-მამისთვის და ვაგლასი გადაეყარა უბედუ-  
რის შეიღისთვის. ერთს კაცს თქვანად არ მოსვლია ის აღამი-  
ნურად აზრი, რომ მიესედნათ ჰარ-მუცელ მომდგარ ქალისათვის  
და შემწეობა მიეცათ რამე. კარგა შეა-ღამისას დაიძლენ კარდის-  
უბნელები ამ მოულოდნელის ჯვარობიდან. ნინო და გოგიაც  
მაღე მიეცნენ ტებილს თუ არა, კარგ ლაზათიან მავარ ხვრინ-  
ვას და გერ გაიგეს, თუ რა დრამა ხდებოდა იმათ გვერდით.

როდესაც ქუჩე გონს მოვიდა, მიისედ-მოისედა და ჩასა  
თავის-თავი საშინელ სიბნელეში, წარეულ ნოტიო აღაგზედ, ჰა-  
ტარა სბორების და მოზვრების გვერდით. შორით ჯუჯუ-  
ტანიდგან მოხანდა შუქი და რაღაც სმაურობა ისმოდა. ამან  
გარტეულმა დაუგდო ყური და სივავლასით გაიგონა, რომ  
დიდი და ჰატარა საქოლავს უგებდა მას. არც ერთი მოხარ-  
ხლე, არც ერთი ნუგეშის-მცემელი მთელ სოფელში არაინა  
ქვავდა. ეს უნუგეშოდ მიწას დასკდა და ცხვირ-პირიდგან სის-  
ხლი წასქდა. სამის დღის ჰურ-უჭმელმა დღეს ორმოცი კერსი  
გამოიარა ცხენით, შედაც ეს უნუგეშო და ვაგლასი მდგომ-  
რეობა დაერთო, სრულიად წაართვა ძალა და კიდევ გულ-შე-  
მოეყარა. განთიადზედ ქუჩემ საშინელი ტკივილები იგრძნო.  
მთელს იმის გვამში ჯოჯოხეთი აღიგზნა და ცეცხლს უკიდებ-  
და. — რა კქნა? რა ვუშველო ჩემს უბედურ თავს, საცოდავად  
კვნესოდა ქუჩე და სიმწარით ხელებს იმტვარედა. თოკი მაინც  
მქონდეს, რომ თავი ჩამოვიღო და მოვარსე ამ გამოუთქმელ

ტანჯვას. მეუღლე ამდენი ჭირი ერთის წამის შეცდომისათვის. მეუღლე, მეტი აღარ შემიძლიან! მიშველეთ, ქრისტიანებო, მიშველეთ! ამ სიტუებზე კიდევ გული წაუვიდა. როდესაც გონზედ მოვიდა, ბოსელში მზის შუქი შემოდგარყო და ანათებდა ამის უწყალო მდგომარეობას. გვერდით ეგდო ზაწაწინა, გაღურებულნი ქმნილება და საცოდავად ჭკნაოდა. ეს გიჟივით დაათრინდა ზატარას, სასქაროდ მიიკრა გულზედ, ალერსით დაეკონა და ისევე სასქაროდ დაასეთქა ზღვეებზედ. ბავშვმა ერთი კი დაიკნაულა და საუკუნოდ გაჩუმიდა. სწორედ ამ დროს შემოაღო ბოსლის კარი ერთმა მეზობელმა ბებერმა და ყველაფერი დაინახა.

## V

ჭეხე ერთის სხათის შემდეგ უგრძობლად გამოიტანეს ბოსლიდგან. მთელი სამი კვირა ძაფზედ კვიდა იმის სიცოცხლე. ბევრი მწარე ღამეები გაატარეს გოგამ და ნინომ ამის გვერდით. ამათ მარტო ესლა იგრძნეს თავიანთი დანაშაული, მარტო ესლა გაიღვიძა ამათში მშობლიურმა გრძობამ თავიანთ საყვარელის ერთის შეილისადმი. მარტო ესლა გრძობდენ, რომ ესენი და ისევე ესენი იყვნენ მიზეზნი თავიანთ შეილის დაღუპვისა და თუ ამათი უსომო ამყობა. არა, ჭეხე იჭებოდა ბედნიერი და რიგიანი დედა-კაცი. მარტო ესლა გრძობდენ ამას და საყუადურით შესტიროდენ ერთმანეთს. მაგრამ გვიანდა იყო მათი სინანული. ამათი ზირმშო. შეილი იყო განწირული საზოგადოებისაგან და იმისი ცხოვრება საუკუნოდ დაფუშული. ჭეხე მოჩხა, მაგრამ ვაი იმ მოჩხენას, რომ იმას

დღე მოკლდა. რამწამს ფეხზედ ადგომა შეიძლო, კარდის-  
 უბნში ვიღასაც მეტადინეობით მობძანდა გამომძიებელი. ქუჩეს  
 ბავშვი საფლავიდან ამოიღეს. ეჭიმა შეამოწმა იმის ძალათი  
 სიკვდილი და ქუჩე, როგორც ბრალდებული, წარუდგა გამომ-  
 ძიებელს. ვინღა იცნობდა ამში ჯანით და სიკვლეუტით საუ-  
 სე გოგოს. ეს აჩრდილიც აღარ იყო იმ დედა-კაციას, რო-  
 ძელიც ამ ცხრისა თუ ჟთის თვის წინად სიცოცხლით სახსე  
 უკლიდა ცეკვას. ფერ-მიხდილი, ზურგში წახრილი, დაბინდუ-  
 ლის თვალებით ძლიავს-ღა იდგა ფეხზედ და წამ-და-უწუმ რორ-  
 ტმანებდა.

— დაჯექ, რადგან არ შეგიძლიან, უთხრა გამომძიებელმა.  
 რად მოიქმდე ეს საშინელი ცოდვა?

— იმიტომ რომ...

— რატომ? სუეველათერი სიმაჩთლითა სთქვი. ეგ დანაშა-  
 ულს შეგიძს-უბუქებს.

— იმიტომ რომ მე მინდოდა დავსჯილავიყავ, იმიტომ რომ  
 მე მინდოდა იმისთვის ამუცილებინა ჩემი ბედი და იმის: საკვლ-  
 ლით შემომეკლებინა ჩემი მწარე დღე. მე მინდა, რომ მომეკლათ,  
 ამ წუთი-სოთუელს მომარჩინოთ. მომკალით, ბატონებო, მომ-  
 კალით თქვენის ღვთის-გულისათვის. მე სიცოცხლე აღარ მინ-  
 და.

— არა, სუეველათერი უნდა სწორედა სთქვათ.

— მე მოკვალ ბავშვი. ამასზედ მეტს ვერას ვიტყვი და არც-  
 არა ძაქვს-რა სათქმელი. ჩამომაღრჩეთ, გვედრებით, ჩამომაღ-  
 რეთ.

მოწმებმა ეველამ დაამტკიცეს, რომ ქუჩემ დედა-მიწას და  
 ასუთქა თავის შვილი და ამითი მოკვლათ. იმასზედ, თუ რამ  
 მიიყვანა იქამდის, რასაკვირველია, ხმა არავის ამოუღია.

## VI

როცა ქუჩე თბილისს წაიყვანეს და ციხეში შეამწყვდიეს, ნინო და გოგია გაგიყვებულვიოდ გაცვივდენ ქალაქს, თან წაღეს რაც კი სულს აქეთ ებადათ. ბუკრსა სცდილობდენ შვილის განთავისუფლებას, მაგრამ ყველა ტყუილი-ღა იყო: მართლმსაჯულება შეუსყიდველია და ქუჩეს ათის წლით ციმბირი გადაუწვიტეს. სასამართლოს წალა სრულიად ცარიელი იყო, სულ ათი კაცი არ დასწრებია ამ საქმის გარჩევას. ახა რა ღიწს-საცნობი იყო საწყაღის გლეხის გოგოს ამბავი? ქუჩე რომ დიდის ოჯახის ასული ყოფილიყო, მაშინ ადვოკატები მჭევრ-მეტყველობაში ივარჯიშებდენ, მაშინ სასამართლო ბუკრს შემამსუბუქებელ საშუალებას მიიღებდა მხედველობაში! ესლა კი გოგიამ ვიღაცა საქველი ზატიოსნების «ადუქანტი» მოიწვია, რომელიც სასამართლოს წინ თართოდა და გამართლების მაგივრად თავის მომწვევლებისთვის შებრალვას თხოულობდა. შებრალვას! შებრალვას! აქედან, სადაც კაცის გული გაქვავებულია და სადაც სხვის ჭირი მხოლოდ გამართობელი საგანია! ქუჩე ტუსადის ტანისამოსით, თვალებზე შალ-ჩამოფაფხული უგრძობობად იჯდა. იმან ამ დღეს მართო ორჯერ აისკდა ძალა: ერთი მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებასედ გოგიამ და ნინომ ტირილი მოართეს, — და საშინელი იყო ეს გადასხედვა! ამ გადასხედვაში და მწარე ღიმილში გამოცხადდა სრული სიბუღუილი და ზიზღი იმის ამ დღემდის მიმევანთა ცრემლების ულაგობასედ და მოკრძობა. მაშინ, როდესაც ეს ორს შტივიან სადღათს ჩამოჭყავდათ სასამართლოს კიბესედ, აქ კუჩუკულში იდგა გაყვითლებული და გლეჯილის ტანისამოსით, ცალ-სულა უმაწვილი-ბიჭი და ხელ-

გაშეკრილი მოწყალებას თხოულობდა. ქუჩე გააყრუოლა. ეს ერთის წამით შესდგა, უნუგეშოდ თავი გაიჭნია და ესლა კიტრემლები კელარ შეიმაგრა. იჭნება წარმოიდგინა ის წამები, აღდესაც ესენი ზეცამდის ბუნდერნი იუენენ მარტო სიყვარულით და ესლა კი იმავე სიყვარულისა და ღამიანის სიბრყევის წყალობით უფსკრულამდის უბედურნი. ერთის წლის წინად სავსენი სინოცსლით, სიღამასით და სიჭახუკით ერთმანერთს შესტრფიალებდენ და გატის თვალს ატებობდენ, ესლა კი ღამსინჯებულნი იმავე სალხის მოწყალებით განიწირობდენ საზოგადოებიდგან ქუჩე წაიყვანეს. თედომ სწრაფად გაიწია იმის შესაყენებლად, მაგრამ სელსედ დაიხედა, მწარედ გაიღიმა და უნუგეშოდ თითქოს საყვადურით ზეცას შესუდა.

ქ. ბაბაშვილისა.

## რად არის «ზემსტვოლ» ანუ ერობა?

«ზემსტვოლს» (ერობას) რუსები ეძახიან მასწავლის თვით-მმართველობას. მასწავ, ე. ი. უფდი ან გუბერნია, ირჩევს თავისაგან რამდენსამე კაცს, რომელნიც მასწავის სახელით განაგებენ მასწავის საქმეებს: სსნიან სკოლებს, ავთიექებს, საავადმყოფოებს, ჰგზავნიან სოფლებში ექიმებს და ბებიებს, სცდილობენ საქონლის ჭირის მოსპობას, შიმშილის აცილებას, კალის გაწვევტას, გაჭყავთ გზები სოფლიდან სოფლამდე, ქალაქიდან ქალაქამდე, ერთის სიტყვით ერობა ზრუნავს ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის.

ამ გვარი სამასწავ თვით-მმართველობა არსებობს ყოველს განათლებულ ქვეყანაში და ღიხსება იმისი ის არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებმა უკედ იცინ თავიანთი საჭიროება და ამიტომ თვითონვე უნდა იზრუნონ თავიანთ ადგილობრივ საქმეებზე. უმადლესს მმართველობას უამისოდაც საკმაოდ მძიმე ტვირთი აქვს: ვალადა სძევს თვალი გაწვედინოს მთელ სახელმწიფოს და იმის საზოგადო მოთხოვნილებას.

ნუ იტყვით, რომ ხალხი მომზადებული არ არის თვით-მმართველობისათვისაო. ქვეყანაზე ისეთი საქმე არ მოიხიკება, რომლისთვისაც ერთბაშად შეიძლებოდეს მომზადებულ კაცების ჰოვნა. თვით საქმე ჰზადავს მუშაკებს. თუ თვით-მმართველობა არ არსესობს ჩვენში, რასაკვირველია, არც ამასთან შეჩვეული ჰირები გვეყოლებს, მაგრამ როგორც კი მოგვენიჭება თვით-

მმართველობა, ხალხიც გაიწვრთნება მისთვის, შეეჩვევა. თვით-მმართველობა ჭბადავს და აღსდის სოფელ სანოგადო სიკეთისთვის მოწოდებულ პირებს: რამდენთაში უნდა იყოს ურთიერთობა უხსნიან კაცს გონებას და სანოგადობრივ შრომას აჩვენებს. ერთი ჭკუა კარგია, ამბობენ რუსები, რომ ვი უკეთესი. თვით-მმართველობა გააღვიძებს ჩვენს მიძინებულს სანოგადობას და თავის საჭიროებისათვის აზრებინებს.

თვით-მმართველობა კიდევ იმით არის კარგი, რომ აწაფებს არა ჭფრავს და კანცელიარული საიდუმლოება არ უყვარს. ჩინოვნიკის მოქმედებას ცხადად ვერ შედგის სანოგადობა; ჩინოვნიკს ანგარიში შეუძლიან მოსთხოვოს მხოლოდ უფროსის ჩინოვნიკში, რომელიც შრომას იმყოფება და ღონისძიება არა აქვს თხიზლად ადგენოს თავლი თავის სელ-ქვეითის ქტევას და იმას ანგარიშის სინამდვილეს. არჩეული პირი კი სანოგადობის მსახურია. იმას თავს ადგენებს თავისუფლად ყოველი ადგილობრივი მცხოვრები. თუ ხალხს სძინავს, მწერლობა ხმაძალდა, შეუშინებლად აცხადებს არჩეულ პირის უგანობა ან უხნეო მოქმედებას. თუ ხალხი არ იღვიძებს, მმართველობას ხომ მაინც ესმის ეს ხმა და უურადლებას აქტებს ყოველ განონის დარღვევას. ერთის სიტყვით, აქ კრიტიკა თავისუფალია და მიუფერებელი.

ყველა ეს გარემოება მიღებული იყო მხედველობაში, როცა ევროპაში და სხვათა შორის რუსეთშიაც მმართველობა თავის მზრებში თვით-მმართველობა შემოიღო. მხოლოდ კავკასიაში და კიდევ სოგოერთა რუსეთთან შემოერთებულ ქვეყანაში მარტო ჭაღაჭაღა მიიღეს თვით-მმართველობა და მზრებმა კი არა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ მმართველობას სურდა ფთხილად ემოქმედნა და ხალხი წესები მხოლოდ

იქ შემოელო, სადაც თვით-მმართველობის აზრს მსურველად თანაუგრძნობდენ, ე. ი. შუაგულ რუსეთის გუბერნიებში. როცა აქ დამწითდებოდა ახალი სილი და იმის სიტყბების გემო ჩვენამდრე გადმოვიდოდა, მაშინ ჩვენშიაც ადვილად დაიბრუნებოდა «ზემსტოკო» ანუ ერობა (ასე ეძახის ჩვენი მწერლობა «ზემსტოკოს»). მას აქეთ აგერ თვრამეტმა წელმა ჩაიარა და რაკი ნაყოფი ახლის წესისა ცოტა საეჭვო გამოდგა, მართებლობამ კელარ განაგრცელა იგი სსვა მზრებში. შესდგა ცალკე კომისია, რომელმაც სახელმწიფო რჩევის წევრის კახანოვის ხელის-მომართვით უნდა განიხილოს მიზეზი, რის გამო ვერ იხეირთ თვით-მმართველობამ რუსეთის ნიადაგზე და რა უშლის ამის აუვაკებს. უნდა ვიფიქროთ, რომ კომისიას მხედველობაში აქვს მთელი რუსეთი და არა მხოლოდ ერთი ან ორი მიწის ნაწილი, რადგან მმართველობა ამ უკანასკნელ დროს სცდილობს მოსპოს წესების განსხვავება სახელმწიფოს სსვა-დასხვა გუთსებში. მაშასადამე, ჩვენდა უნებურადაც, ქართველობას დრო და ვითარება ერობას უახლოვებს. დროა ვიფიქროთ, რა პირობებით უნდა იყოს ჩვენში შემოღებული, რა ნიადაგზე შეუძლიან იხეიროს და აუვაკდეს.

ამ მოსაზრების გამო შარშან ახალ-გაზდობამ დაიწყო ლაპარაკი სათავად-აზნაურთა კრებაში და ამ კრებაში ამოარჩია კომისიები, რათა ეს საგანი შეემუშავებინათ და წარედგინათ საზოგადოებისათვის, მაგრამ კომისიებს კურჯურობით საზოგადოდ ეკელა კომისიების ბედი დაეტეო.

საქმე, რასაკვირველია, ესე უფერულად არ დაბოლოვდება ახალი სტუმარი კარებში გვიკაუნებს და ჩვენ უნებლად უნდა ვიფიქროთ მივიდეთ იგი თუ არა, ან თუ მივიდეთ, როგორ დავეხვედეთ.

ეს საგანი მეტად საყურადღებოა და ჩვენ ვერა რიგად გზას ვერ აუქმებთ. სჯობია გულ-მაგრად მივეკუბოთ და ეხლავე გაესინჯოთ იგი, რომ მერმე ამისთანა უსაფუძვლო საყვედური თავიდან ავიცილოთ. ჩვენზე არავინა ჭიფიჭრობსო, ჩვენი მდგომარეობა არ ესმითო, ისეთი განონები არსებობსო, რომელნიც ჩვენში ფესვებს ვერ გაიდგმენო და სსვ. და სსვ. ასეთს ცოდებას ხომ მაინც დაჩვეულნი ვართ, რადგან ეს ადვილია, თავს არ აკვატკენს და არც ტუბილ ძილს გაგვიფთხობს.

ზემოდა ვსთქვით, რომ რუსეთში ერობამ ვერ იხეირა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო, განათლებულ საზოგადოებას ბევრი იმედი გაუქარწყლდა და ეტვი შეეპარა ტულში, მართლა შეუძლიან ერობას რაიმე სიკეთის მოტანა თუ არა.

ამ გარემოებას შარშან ჩვენში ზოგმა მიაქცია ყურადღება იმისთვის, რომ ერობის უსარგებლობა დაემტვიციებინა თავდაზნაურობისათვის. ესევე გარემოება დააფიქრებს ბევრს სსვასაც და ამიტომაც ღიწს ამ საგანზე მოწილანარავეთ, რომ გამოკვასშვარავთ იმის მიხედვით.

რუსეთის ერობის საკლუდეკანებს მე, ამ წერილის დამწერმა, არ დავძალე და გულ-წრთელად ვუჩვენე მკითხველს ჩემს წერილში «რუსეთის ესლანდელი მდგომარეობა» (ბს. «ივერია», № IX, 1881 წ.), თუმცა ყოველთვის დიდ სიკეთედ მიმაჩნია ერობა და სსვას ყოველ-გვარი სამაწრო თვით-მმართველობა. ესლა აქაც გამოვთქვამ ჩემს აზრს რუსეთის «ერობის» სუსტ მხარეებზე. მხოლოდ ვიტყუო აქ იმას, რაც ვერა კოჭი ვრცლად პირველს ჩემს წერილში.

თუ ეს რაი წერილიც ვერ დააკმაყოფილებს ზოგიერთს ცნობის-მოყვარე მკითხველს, ჩვენ, გარდა გოლდფანოვის, სკალ-

დინის ღვასილნიკოვის წიგნებისა\*), ვთხოვთ წაიკითხოს ერთი პატარა წერილი ლ. პოლონსკისა (ის. გაზეთი «სტრანა», № 147, 1882 წ.), რომელსაც აქ არა ვთარგმნით სხვა-დასხვა მოსაზრების გამო.

ჩვენ ზემოდა ვსთქვით: ადგილობრივ თვით-მმართველობის პირველი ღირსება ის არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებმა უკეთ იციან ადგილობრივი საჭიროებანი და ამიტომაც უკეთ შეუძლიანთ ადგილობრივ საქმეების გამგეობა, ვიდრე შორიდაძი დანიშნულ წინაგნიებს. ეს არის ის უმთავრესი ტყუილ-მანიტუბა, რომლის ძალით მუცნიერებმაც იცნეს საჭიროდ უპირატესობა ადგილობრივ თვით-მმართველობისათვის მიუცათ.

მაგრამ ეს ღირსება ერობისა გამოდგა მისი უმთავრესი წილი, რაკი საიტუვა საქმედ გარდიქვა ჩვენ, რასაკვირველია, აქ მხოლოდ რუსეთზე ვამბობთ. ზოგან ევროპაშიაც, რასაკვირველია, ამ საგანს იგივე სიფათი დაემართა, მაგრამ იქ ისეთი დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია, როგორც რუსეთში.

\*) 1) «Десять лѣтъ реформъ» А. Головачева.

2) «Въ захоlustьи и столицѣ» Скалдина.

3) «Самоуправленіе» А. Васильчикова.

პირველი წიგნი შეეხება უმთავრესს წესებს, შემოღებულს განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე II-საგან და განარჩევს როგორც ღირსებას, ისე ნაკლებუნებებს, რომელიც დაახნდა ამ წესებს ათის წლის განმავლობაში. ეს თხზულება წერილ-წერილად იბეჭდებოდა ჟურნალში «Вѣстникъ Европы», 1871 წ.

მეორე თხზულება — სკალდინისა — ბევრად ჩამოჭავს პირველს, რადგან ესეც შეეხება უმთავრესს წესებს, ახლად შემოღებულს რუსეთში და გულ წრფელად, გამოცდილის კაცის თვლით სინჯავს ყოველ

რუსეთში, მეტადვე უკანასკნელ დროს, ერობის მოხელეებად გახდენ ისეთნი ჰიწინი, რომელნიც მთელ მზის სიჭირაებაზედ ვი აწა ვრუნავდენ, აწამედ იმ ორის-სამის კაცის სარგებლობაზე, რომელთა დახმარებით ამ მოხელეებმა, უმეტესებმა და აწა-სანდოებმა, სარგებლობის მომტემი აღაგები მიიღეს. ეს მოხელეები მით უფრო სავიშნი იყვნენ საღსის დღეგებლობისათვის, რომ უფრო კარგად იცოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლების ქასრავები და უკეთ შეეძლოთ დაეხმარათ საღსი იმ ორიოდ სასლობის სასარგებლოდ, რომელნიც უოკელ დონისძიებას ხმარობდენ აწათ ამოსარჩევად.

როგორ მოხდა ეს სამწესარო საქმე? როგორ მოხდა, რომ სამისრო გამგებლების არჩევა ჩაუვარდა სელში რამდენსამე კაცს და აწა მთელს მისწასა.

ამის მიზეზი უნდა თვით იმ წესდებაში მოკებნოთ, რომლის ძალითაც რუსეთში ერობა დაარსდა და რომლის შესწორებას ესლა ვასანოვის ვომისია შეუდგა.

ღირსებას და ნაკულევეანებას ამ წესებისას. ამ წიგნში იპოვით ბევრს ფაქტებს, რომელნიც ნათლად დაგონატვენ ერობის მდგომარეობას რუსეთში. ეს თხზულება წვრილ-წვრილად იბეჭდებოდა საუკეთესო რუსულ ჟურნალში „Отечественныя записки“, 1867 და 1868 წ.

მესამე თხზულება შესდგება სამის წიგნისაგან და შეეხება მხოლოდ თვით-მმართველობას, (ქალაქებისს და მაზრებისს) - აქ დაწვრილობით არის აღწერილი თვით-მმართველობა ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და რუსეთისა. ამ თხზულების დამწერი იყო ღრმად ნაკითხი და განათლებული კაცი. იმას ამასთანავე ჰქონდა პრაქტიკული ცოდნა, რადგან თითონ დიდ-ხანს იმსახურებოდა ერობაში.

სამივე თხზულებამ დაიმსახურა ერთნაივი ქება რუსეთის მწერლობისა.

ამ წესდების ძალით საერო კრების შესადგენად ირჩევენ დეპუტატებს შემდგომი დიწსობის მქონე პირნი.

1) ადგილობრივი მამულის-პატრონები, რომელთაც 200 დესეტიინდამ დაწეებული, ვიდრე 800 და მეტ დესეტიინდამდე მამული აქვთ, (ყოველ მაზრისთვის ცალკე ზომას დადებული; რაც უფრო ძვირობს რომელსაჲე მაზრაში მიწა-წყალი, მით უფრო ნაკლებ ზომას თხოვლობს კანონი), ან თუ მიწა არა, სხვა რამ უძრავი მამული აქვს, ან ქარხანა, ღირებული არა ნაკლებ 15,000 მანეთისა. იმ მამულის-პატრონებს, ვისაც ნაკლები მამული აქვთ, მაგრამ ამ ზომის მეტორმეტედის მქონე მანაც არიან, სხვა მცირე მამულის-შეპატრონებთან ერთად შეუძლიანთ ჰქონდეთ ერთი კენჭი, თუ ყველა იმათ ერთად შემოსენებულის ზომის მამული აღმოჩნდათ.

2) ქალაქში მცხოვრებნი, ვისაც ვაჭრობის უფლება აქვს, ან ვისაც აქვს ქალაქის მიწაზე ქარხანა, სავაჭრო ან სასელონონო განწყობილება, რომლის აღებ-მიცემა წელიწადში ექვსას თუმანს (6000 მან.) მანაც შეადგენს, ან ვისაც ქალაქში უძრავი საგუთრება აქვს, დაფასებული: დიდ ქალაქებში (10,000 მეტ მცხოვრებლით),—3,000 მანათად მანაც; წვირელ ქალაქებში—1,000 და 500 მანათად მანაც.

3) რამდენიმე სოფლის წარმომადგენლები ერთად ირჩევენ დეპუტატს, რომელმაც უნდა მონაწილეობა მიიღოს საერო კრების წევრთა ამოსარჩევად.

ამ გვარად საერო კრებას შეადგენენ: მდიდარი მამულის-პატრონები, ვაჭრები და გლეხობა. განათლებულ კაცისათვის კი, რომელიც უმეტეს ნაწილად ღარიბია, საერო კრების კარები იშვიათად იღება, ისიც იმისთვის, რომ უმეტეს შემთხვევების და გლეხების ყურ-მოჭრილი ყმა გახდეს.

ეს ნაკლუდეკანება რუსეთის მწერლობამ დიდი სანია შენიშნა და იმედია კიდევ, რომ კასანოვის კომისია მიიღებს მსგავსელებს.

მართლაც, რად უნდა გამოირიცხონ სხვებისგან ის ზირნი, რომელნიც არც გლეხებს კეთუნიან და არც შეძლებულ პირებს, ნუ თუ იმისთვის, რომ იმათ თავის განათლება გამდიდრებისათვის არ მოუხმარიათ! ნუ თუ საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა შეუძლიან მხოლოდ უმეტარ გლეხობას და მდიდრებს, რომელთ შორის განათლება ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ღარიბ თავად-აზნაურებში და ჩინოვნიკებში.

ადრევე ვიცო, რასაც: მიზანსუბუნ ამის წინააღმდეგ ჩვენი ანდრუჟაფარები და ის თერგ-დალეული რუსეთუბები, რომელთაც რუსეთში მეცნიერების მაგიერ დიდ-ქალაქების სიბრწყინვალე შესწავლიათ.

არა, ღარიბის კაცის ნდობა არა გვაქვს, იტყვიან ესენი. ვისაც თავის-თავზედ ვერ უზრუნია და თავისთვის ვერა შეუძენია-არა, ის მძიმე საზოგადო საქმეს თავს ვერ დაუდებს და საზოგადო ქონებას ვერ მოუვლის, რადგან საზოგადო ქონება, საზოგადო საქმე მეტს მოზრუნველობას მოითხოვს, ვიდრე კერძო.

ღარიბ კაცს კიდევ ერთი დიდი წუნი აქვს, ამბობენ იმის მოწინააღმდეგები. ღარიბ-კაცს არათეორი არა აქვს: არც შესაძენი და არც დასაკარგი, ამიტომაც იმას ინტერესი არა აქვს იზრუნოს ქვეყნის ბედნიერებისათვის. დეე კალაი გაჩნდეს, სახლები დაიწვას, საქონელი ჭირმა დაღუპოს, იმას ეს სულაც არ შეაწუხებს: მამული არა აქვს, სახლი არა აქვს, საქონელი არა ჰყავს. შეძლებულ კაცისთვის კი ძვირფასია ქვეყნის მშვიდობა და მუდროება, რადგან ქვეყნის არეულობა და უსადალი ყველაფრე მეტად მდიდარს არეკს და დასაზარალებს.

ეს სომ დიდი ცოდვაა, მაგრამ ამასე კიდევ უმეტესი ცოდ-  
ვანც თურმე სჭირს ღარიბ-ღატაკ კაცს. ეს ავი სული გაჭირე-  
ბაში თურმე ივიწყებს სამართლიანობას და სამართალს ისე  
სჭრის, როგორც მდიდარი ძვირფასი უბძნებს. შეძლებული  
კაცი კი ამყობ და არავის ემორჩილება. ის სსვას უბძნებს და  
იმას კი ბძნებს ვერავინ გაუბედავს.

არც აქ ღარიბ-კაცზე ითქვა, ითქვა ღარიბ განათლებულ  
კაცზე, და არა გლეხობაზე, რომელსაც მითომ ბუნებით შეთვი-  
სებული აქვს მორჩილობა და ღვთის შიშიც ნებას არ აძლევს  
ესე ურიგოდ მოიქცეს.

ზოგი გულ-ხვალი კაცი, — და ჩვენც იმათ რიცხვში ვართ  
— სცდილობს როგორმე გამოესარჩლოს ღარიბ განათლებულ  
კაცს.

ჯერ ერთი ეს მიიღეთ მსედველობაში, რომ ვინც საზო-  
გადო საჭმეებშია გართული, ის სშირად თავის საკუთარ საზო-  
გებლობას ივიწყებს და თუ თავის ქონებას არ დაჭყარავს, შე-  
ძენით მანც ვერაფერს შეიძენს. შეძლებულ კაცს კი, რომელ-  
საც ყოველთვის თავის შეძენასე უფიქრია, არც ღრო და არც  
ხალისი აქვს ქვეყნის სიკეთისთვის თავი გაიტყოს. მამასადაძე,  
არ უნდა ვთქვათ, — ვინც თავის-თავს ვერ უვლის, ქვეყნასაც  
ვერ უვლისო.

არც ის ითქმის, ღარიბ-კაცს თითონ არაფერი აქვს და  
ქვეყნის უბედურება ვერ შეაწუხებსო. ღარიბ-კაცს სოცხერ არა-  
ფერა აქვს სწორედ იმიტომ რომ ქვეყნის უბედურება აწუხებს.  
ამას გარდა, ნუ თუ საზოგადო უბედურება მარტო მდიდარს  
აუბედურებს, მაგალითად, სკოლების სიმცირე, უგზობა, შიმ-  
შილი, ჭირი ისე არავის არ აგრძნობინებს თავის სიმკაცრეს,

როგორც ღარიბ-კაცს, რომლის ინტერესი მართლაც, რომ ყოველ ურიგობას ჩქარა მოკლავს ბოლო.

აჩვენებს ის ითქმის, რომ მითომ ღარიბის კაცის შესუიდევა უფრო ადვილია, ვიდრე მდიდრისაო, რადგან რაკი ღარიბ-კაცს ქრთამის მადა გაესხნება, ღარიბი აღარ იქნება, ის მდიდრებში უნდა ჩაითვალოს, ის ერობაში დასასკუებლად ცენზსაც ადვილად მოიპოვებს. მდიდარ კაცებზედაც ზოგჯერ ითქმის, რაც უფრო მდიდრდება მით უფრო ხარბდებაო, ან თუ ხარბი არ ყოფილიყო, იქნება არც კი გამდიდრებულიყო. ამ გვარ კაცის შესუიდევა ყოველთვის შეიძლება, რაც უნდა გამდიდრდეს. ჭრანცუ-სები იტყვიან: *l'appétit vient en mangeant*, მადა ჭამის დროს გეხსნებაო.

სიტყვებს რომ დავანებოთ თავი და ისტორიასაც ვადა-ვაკლოთ თვალს, უფრო დავრწმუნდებით, რომ ქვეყნისთვის სიკეთე მარტო მდიდრებს არ მოუტანიათ: განათლებას და ჰე-ტიოსნებას ხშირად მონებში და ქოსებშიაც უპოვნიათ ბინა. მასხადაძე, როცა ამბობენ, რომ საზოგადო საქმე ერობაში რჩიოდ მდიდარს, ან გამდიდრების მოსურნე კაცს უვარდება ხელშიო, ჩვენ ეს ურიგობა თვით ერობას არ უნდა დავაბრალოთ. ეს იმის შედეგია, რომ არჩევანში მონაწილეობა მხოლოდ შეძ-ლებულ მემამულეს, ვაჭარს და უმეტარ გლეხს აქვს. მცირე ქო-ნების ჰატრონი, რაც უნდა განათლებული იყოს, საზოგადო საქმეებში გამოცდილი და გამოჭანკებული, მაინც სმა არა აქვს ერობაში.

ზოგს მასწავში მხოლოდ სამიოდ შეძლებული სახლობა მოიპოვება. ამათ ერთმანერთში ნათესაობა აქვთ, ერთმანერთს მხარს აძლევენ. ამას გარდა არის ათიოდ-თხუთმეტოდ სახ-ლობაც, რომელნიც შეგავშირებულნი არიან ძლიერ მემამულეებ-

თან, წაღვან ზოგი იმისაგან მიწას იღებს იკვანით, ზოგი პურს ყიდულობს, ზოგი—ტყეს და სხვ. ასე ოციოდ ხელ-მან-გარი კაცი შეიყრება მაზრაში და ესენი განაგებენ ყოველს საქმეს. გლეხები სიღარიბის გამო თავის საწყობით ვერ მიდიან ქალაქში. ისინი შემოხსენებულ ჰარტიას ქალაქში მიჰყავს თავის ხარჯით და ამ გულ-უხვობისათვის მოკლდინ იმისაგან. მადლობის გადახდას არჩევანში. ამჩიელებიც თითონ არიან და ასარჩენიც. თავიანთ შორის ზოგს დააყენებენ მომჩიე-მოსამართლედ, რომელიც იმათი ერთგული იქნება და სხვისთვის ვი, ღმერთმა იცის... სხვა არჩეული პირებიც ლაშანასავე დამღერიან თავიანთ ჰარტიას

უმასავეთა მე ერთგული შენი ვარ,

სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,

ათი გზა მაქვს, ათივე შენგან მოდის! ჯ სხვ.

ყოველი ამ მოსაზრების გამო, კიდევ და კიდევ ვიძეობრებთ, რომ საერო მშრომლების არჩევანში სმა მართლ შეძლებულ პირებს და გლეხობას არ უნდა ჰქონდეს. აქ მხედველობაში ქონება არ უნდა იყოს მიღებული. საჭიროა მიენიჭოს არჩევის უფლება ყველას, ვინც ვი ოც წელზე ნაკლებ სწისა არ არის და ვინც ორი ან სამი წელიწადი რომელსამე მაზრაში სცხოვრობს. ეს საკმარისია რომ ჩაითვლებოდეს ადგილობრივ მცხოვრებელ, რომლისთვისაც სასარგებლოა ადგილობრივ საჭიროების რიგინად დაკმაყოფილება. ასეთი განონი არსებობს ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოში და ძლიერ სასურველია, რომ იგივე შემოვიდეს ჩვენშიაც. მაშინ ერობას მოაკლდება ის ნაკლებეკანება, რომელიც ესლა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია იმის უნაყოფობისა.

ადრევე ვიცი, რასაც ამაზე მიზანუხებენ. თქვენის განონის

ძალით დიდი უმრავლესობა არჩევის კრებაში ეჩვენება უმეტესად ღ  
 ღარბი ხალხს, რომელიც ადვილად დაემორჩილება ორიოდ მდი-  
 დარ და განათლებულ თავის მოვარკველს და საქმე კიდევ ძველ-  
 ბურად წავაო, ალია გავა და მუსია შემოვაო. მოიგონეთ ნა-  
 პოლეონი როგორ ატყუებდა რამდენსამე მილიონ ხალხსაო.  
 ჩვენს ათასობად გლესსაც თავის ნაპოლეონი გამოუჩნდება  
 ბრწყინვალე ტუტებში ან ზარბაზ-კარბაზებშიო.

შეცდომა, რასაკვირველია, ყველგან შესაძლოა და მეტადრე  
 უმეტესად ხალხში. მაგრამ ჰატიოსანისა და უპატიოსნო კაცის  
 გარჩევისათვის დიდი განათლება საჭირო არ არის. დემონს-  
 თუ კაცისთვის ჭკუა არ წაუერთმეკია, ის თავის სასარგებლოდ  
 ადვილად მოსძებნის სინიდიისიან კაცს. გლესს ჭკუა არა აქვსო,  
 იტყვიან ზოგიერთნი; მაგრამ რომ იცოდენ ნათესოთ მსაჯულთ  
 ისტორია, რასაკვირველია, ამას აღარ იტყოდენ. არც ერთი  
 სასამართლო ისე სამართლიანად არა სჭრის საქმეს, როგორც  
 ნათესოთ მსაჯულებისა, რომელთ უმრავლესობა შესდგება გაუ-  
 ნათლებელ ხალხისაგან.

ამბობენ აგრეთვე, რომ ღარბი ყოველთვის მდიდრის  
 ხელშიაო და ამიტომ არჩევაში ღარბიც მდიდარს ირჩევსო. ამ  
 გვარ არის უსაფუძვლობაზე ზემოთ ბუერი ვილანაჩაკეთ და  
 აქ მხოლოდ დაკუთმებთ, რომ ამ მხრივ კანონი ღარბს მია-  
 ნიჭებს თავისუფლებას დაფარულ არჩევის დადგენით. ვის ირ-  
 ჩევს ღარბი კაცი—საიდუმლო იქნება ყველასთვის. მაშასადამე  
 იმას არჩევანში თავისუფლებას აძლევს კანონი და შევიწროება-  
 ზე აქ ლაპარაკი სრულებით არ უნდა იყოს.

ვიძეორებთ, რომ არჩევის წესი ერობაში უნდა გაუმჯო-  
 ბესდეს, თუ ერობას უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომელიც  
 იმას განათლებულ ქვეყნებში აქვს.

ერობას კიდევ ერთს დიდს ბრალსა სდებენ რუსეთში. იმან მოუმატა სალსს სარჯვი, უამისოდაც ძნელი გადასასადიო სასკელმწიფო სარჯვი ვერ გადაუნდა, ღარიბ გლეხობას და ერობის სარჯვისათვის საიღამ იშოვოს შეძლება.

ამ საყვედურში ძარბაღი მსოფლოდ ის არის, რომ ნამდვილად სასკელმწიფო გარდასასადი ძნელი ტვირთის სალსისათვის და ადგილობრივ საჭიროებისათვის ბევრი ფულის შეწირვა არ შეუძლიან გლეხობას. ეს ცხადდა სჩანს «ძმართებლობის მოაძიეში» გამოცხადებულ ანგარიშებიდანაც. მაგრამ ერობას ამ საქმეში არაფერი ბრალი არა აქვს. როცა იმან შიდალ გუბერნატორებისაგან საქმეები, თითო გლეხი წელიწადში იძლეოდა 17 1/2 კაპ. ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. რაჟერ ერობა შემოიღეს, დესიატინას (ნახევარდღიურს) დაედო სარჯვი იმავე საგნისათვის—ორი შაური (10 კაპ.), ასე რომ, დაასლოკებითა ვთქვათ, ამ საქმეში გლეხს მოუმატა სარჯვი ერთი-ორად ან ერთი-სამად.

მაგრამ მხედველობაში ესეც უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ბევრი არაფერი ძნელი გადასასადია და იმის სამხელე საგრძნობელია მსოფლოდ იმიტომ რომ ამას ვაძღა სასკელმწიფო სარჯვი დესიატინას სვდება 1 მან. 50 კ.—2 მან. 50 კ..

სუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ ერობამ თუ მოუმატა სარჯვი, საქმეც მეტი გაარბა, ვიდრე ძველებურმა პოლიციამ. ადრე რუსეთში სოფლებში ვერ შესვდებოდი ვერც ექიმებს და ქუდადშეკრებს, ვერც ბებიებს; ვერ ნახავდი საკმაოდ აფთიეკებს და საავად-მყოფოებს, ძლიერ იშვიათი იყო სასოფლო სკოლა, სასოფლო ბანკი ან პურის ძაღსია. ყოველ ამას სძირად შესვდებით ესლა რუსეთის იმ ნაწილში, სადაც ერობაა შემოღებული.

რასაკვირველია, ასეთი წინ-წაწევს მარტო ერობის საქმე არ არის, რადგან ისეთს ადგილებშიაც შესვლით ზემოსხეხულ დაწესებულებათა, სადაც ერობა არ არის. ეს არის უფრო განათლების გაკრძელების შედეგი. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ წესების შემოღება ადვილდება ერობის დასმარებით: ერობა უკეთ აკავშირებს ყოველ იმ ზონით, რომელთაც სურთ ადგილობრივ საზოგადოებას სარგებლობა მოუტანონ რამე.

მასსადაც ერობა თუ სარჯავს მეტს ფულს, კიდრე პოლიციის სარჯავდა, მეტსაც აკეთებს. უსაფუძვლად საყვედური, მითომ ერობას უყვარდეს უბრალოდ ფულების ფლანკვა. მართალია, ზირველ დროს ბევრი საქმე ჰქონდა იმას გასარჩევი, ბევრი რამ დასწავთული ნასკვი უნდა გამოესხნა და ბევრი ფულიც მიდიოდა გამგეობაზე. თითო «უბერნიის უპრავში» ექვს-ექვსი წევრი დასეუბდა და ყოველს იმათგანს 2,000—3000 მანათი ეძლეოდა. მაგრამ ჩქარა გათავდა ეს ყველაერი, და ესლა ზოგს გამგეობაში ორს-სამს წევრზედ მეტს კერა ნასკეთ.

ერობას რუსეთში სშირად გამოუჩენია დიდი კეთილ-სინი-დისიანობა ფულის ანგარიშში და უაინათიანად წაუყვანია ბევრი საქმე. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს ადგილს ჩემის წერილიდამ (ის «იუკრია» 1881 წ. № IX, «რუსეთის ელანდელი მდგომარეობა»):

რუსეთში ერობა იმცირებდა თავის სარჯს ამ საქმეებში, რომელზედაც ადრე სხვა-და-სხვა ჩინოვნიკები უსამართლოდ ბევრსა სარჯავდენ. მაგალითად, ნოვგოროდის ერობამ თავის მოვალეობა შესახებ აგოსტისა 24 ათას მანათით უფრო იაფად დასრულა კიდრე ტფესტის ჩინოვნიკებმა; სარატოვის ერობამ იმავე საგანზე მოიხმარა 93 ათას მან. მაგიერ, მხლ-

ლოდ 65 ათასი მან.; ბალაშოვის ერობა შეშას შოულობდა  
 ორჯერ უფრო იათვად, კიდრე ზოლიცია, და ბეკრი სხვა ამ-  
 გვარი.»

საზოგადოდ რუსეთში ერობას ბეკრს საუკუდურს უძღვნიან  
 ხარჯის მომატებისათვის და ჩვენშიაც ბეკრს ყვირნიან ამასე,  
 მაგრამ ეს წარმოსდგება უფრო იმიტომ რომ ერობა ხარჯში  
 მოხაწილეობას მიადებინებს გლეხების გარდა თავად-ახნაურო-  
 ბას და მოქალაქობასაც. ხარჯი ედება მიწებს და შენობებს, და  
 თუმიცა ეს ხარჯი, როგორც ზემოთ ვუხივენე მკითხველს, ძნელი  
 გადასახადი არ უნდა იყოს თავად-ახნაურობისათვის, მაგრამ ამ  
 ხარჯის წინააღმდეგ ბეკრსა ყვირნიან, რადგან «კეთილშობილს»  
 ადრე არაფერს არ ახდევინებდენ.

აი სად ბუდობს ის ძლიერი უკმაყოფილება, რომელსაც  
 ძველის დროის კაცები აცხადებენ, როცა ერობაზე ჩამკვარდება  
 ლაშარაკი. ესენი, რასაუკვირველია, ივიწყებენ, რომ რაკი ბატონ-  
 უმობა გადაკარდა, ადრე თუ გვიან, იქნება ერობა თუ არ იქ-  
 ნება—სულ ერთია, მაინც და მაინც ყველა წოდება გასწორდე-  
 ბა სასელმწიფო და ადგილობრივ ხარჯის გადახდაში. ესღა  
 რომ გლეხები მუშაობენ გზებზე, რომელზედაც ჩვენი ანდრეას-  
 რები და რუსეთუძეები დასეირნობენ, ამ გვარი კალდებულეობა  
 დაფასდება თუღად, რომელსაც გადინდის გლეხიც, თაფადიც,  
 ახნაურიც და მოქალაქეც. ბატონ-უმობის მზგავსს წესს მართე-  
 ლობა დიდ-ხანს ვერ მოითმენს, ეს კარგად უნდა ვიცოდეთ და  
 ამიტომაც ჩვენებური ბატონური სჯა არას გვარგებს, თუ არ  
 გვავნებს. მაგალითი ავიღოთ რუსეთის თავად-ახნაურობისაგან,  
 რომელმაც თითქმის ყველგან საერთო გრებაში მოიწონა შემო-  
 სავლის დაგვარად დაწინაურული გარდასახადი (ПОДОХОДНЫЙ

НАЛОГЪ). ამის შემოღებას აპირებდა მართებლობა ამ ათიოდ წლის წინად და დაეკითხა ახლს საერო კრებებს.

ერობას რუსეთში ცოტა უფლება აქვს და კალდებულება კი ბევრი, ამბობს რუსული უურხალ-გაზეთობა. ის ფულებს აგროვებს, რომ სხვამ თავისებურად მოიხმაროს, ამ შენიშვნის სიმართლე ჩვენც ვაღვიარეთ «ივერიაში», სხვათა შორის შემოსესებულ წერილშიაც «რუსეთის ესლანდელ მდგომარეობაზე.» მაგრამ არ შემოძლია აქვე არ გამოვსტუდე, რომ ბევრი რუსულ გაზეთების საყვედურთაგანი ამ საგნის შესახებ ყოველდღეს ათუთკვლავ.

პირველად ერობას რუსეთში უწყვეროდენ, როგორც პარლამენტს: საზოგადო სახელმწიფო საქმეებზე წარმოსთქვამდენ ხოლმე ხმოსნები მჭევრ-მეტყველურ «რჩებებს», რომლებშიაც უმეტეს გლეხებს მიაყრიდენ პარლამენტალურ ძრახვებს და ადგილობრივ საჭიროებას კი, საქმეს, ჩუმს მუშაობას, რასაკვირველია, ივიწყებდენ. ერთის სიტყვით სცდილობდენ ბაყაყი საზოგადოებას, რომელიც კრილოვის ზღაპარშია ნათქვამი. ასეთსავე ცდას იჩენდენ ისინიც, რომელნიც გატაცებულნი იყვნენ ახლად დაარსებულ ბანკების და აქციონერულ საზოგადოებებით და სურდათ ერობისათვისაც ეკისრებინათ რკინის გზების გაყვანა და ბანკების დაარსება. რაკი სურვილი ვერ აუსრულდათ ამ გაყ-ბატონებს და მილიონების სუნიით ვერ დასტკბნენ ერობის არე-მარეზე, ჩქარა გაუგრილდათ გული და სასაცილოდ განადეს ახალი დაწესებულება. რუსებს მათმა ბუნებრივმა გულ-საგსეობამ (широкая натура) ჩქარა შეაზიზღებინა ის მრავალი წვრილმანი საქმე, რომელსედაც უნდა ეზრუნა ერობას განონის ძალით.

რომ ასეთს შიზღს ჩვენშიაც არა ჰქონდეს ნიადაგი, ეს-  
ლაკ დავანებოთ თავი იმ უსაზღვრო ტუბილს მოლოდინებს,  
რომელნიც თან მოსდევენ ჩვენში ყოველ ახალს საქმეს (მოი-  
გონეთ მაგალითად საადგილ-მამულთა ზანკების ზირველი დრო  
ჩვენში).

სულ ძილის ბრალა, რომ ხან საშინელ სიზმრებსა ვხე-  
დავთ, მითომ ერობა დაგვაქცევს და დაგვანკლებსო, და ხან კი-  
ტუბილად ვოცნებობთ და ერობა ზარღამენტად მოგვეჩვენება.  
ორივე გვარსი სიზმრები მანებულა. სიზმრებით საქმეს არი-  
გებენ მხოლოდ არაკებში. გაგიღვიძოთ და ვიფიქროთ ჩვენს  
მომავალზედ, ვიფიქროთ სამაზრო თვით-მმართველობაზე, რად-  
გან ეს არის ერთი იმ საძირკვლის ქვათაგანი, რომელზედაც  
უნდა აშენდეს ჩვენი მომავალი დღე-გძელობა და ბედნიერება.

გ. ბაუმანიშვილი.

## წერილები

### ლორენსო ბენონისა.

(შემდეგი \*)

თ ა გ ო IV

ცუელი პროფესორი

უმჯავილები დიდად აფასებენ გვარიშვილობას და ჩამოძვ-  
ლობას, ამისათვის მასწავლებლის ვალთა უოკელის გზით ეცა-  
დოს, — ეს ნაკლულებანება დააშლევინოს. იშვიათია იმისთანა  
მასწავლებელი, რომ ამას აქცევდეს ყურადღებას და ეს ჩვენი  
ცუელი პროფესორი ამხედ ხომ სრულიად არაფერს ჭფიქ-  
რობდა. თითქმის ყველა ჩვენი სკოლის უფროსები ასეთები  
იყვნენ, გარდა მამა რექტორისა და პოქშიის პროფესორისა.  
საწყალს ჩვენ გმელ-ფებებთან პროფესორს ისეთი მახინჯი შე-  
ხედულება ჭჭონდა, რომ ერთი შესედევა საკმაო იყო ვაცს სი-  
ცილი ავარდნოდა. ბუნებას ის თითქო ჩვენს გასართობლად და  
სამახინჯოდ დაქებადა. ამ ვაცს არც რივიანი მიხვრა-მოხვრა  
ჭჭონდა, არც გემოვნება, რომ ამით მანც დაუფარა თავისი სი-  
მახინჯი. შირიქით, ამის უგებანი ლაშარაკი და მსჯულობა იმ

საგნებსედ, რომლებსაც არა ესმოდა-რა, სასაცილოდ ჰსდიდა-  
მას ჩვენს თვალში.

მე უნდა დაგისახელოთ ერთი იმის ნაკლულეკანებაც, რომელიც ამისთანა მასინჯ კაცს არ შეშვენოდა. იმის უცნაური ტანი დაფარული იყო გძელის მანტიით, რომლის მზგავსსაც იცემენ საზოგადოდ ძღვდელები იტალიაში; მაგრამ თითქოს თავის სიმანინჯის გამოსააშკარავებლად გძელ-ფეხებიანმა დაიწყო ჩაცმა მოკლე მანტიისა, იმისთანა შარვლისა, რომელსაც მუსლ-სედ იკრავდა და შავის აბრეშუმის ჩულჭებისა, — ეს მოდაში შემოიღო ერთმა ძღვდელმა, რომ სსკებისთვის თავის ლამაზი ფეხები ეჩვენებინა. ვერც ერთი დაწბანისული კაცი ვერ მოითმენდა იმისთვის შეხედნა და არ გაეცინა; ამ მოკლე მანტიას ში გძელ-ფეხებიანი შრომქსოარი სწორედ რომ ეყუდ-მოგლუჯვილ გაჭკატისა ჰგავდა.

გაკვეთილი ესლანჯ დაიწყო. გძელ-ფეხებიანი შრომქსოარი გათედრასე უნის, მოწაფეები რიგ-რიგად შემოდინან, ყველას სერთუგის კალთა აუწევია და შრომქსოარს ჰჯგვრებს სიარულში. ჰეტარა ხანს უკან ყველანთ დალაგდენ ტაგვეთილის მისაგებლად. ეს გაკვეთილი ყველამ კარგად იცოდა, — შეუცდრომლად, სიტყვასიტყვით. შრომქსოარი ძალიან აქებდა მოწაფეების სეზინად სწავლას, მინამდის ერთს ბეტს მოწაფეს არ შეეშალა და ჯგო-რივით არ გაჩერდა. ბატონმა გძელ-ფეხებიანმა წარბებზე შეიჭ-მუხნა. — «არა გცხვენინან, დაუევირა ამას, რომ ეგრე უკან რჩე-ბი შენს ამხანაგებს? მაგალითი იმათგან მანინჯ აიღე.» მოწა-ფეებს მხიარულება დაეცყოთ. «უნდა სათვალეები გაკვეთებინა» უთხრა ერთმა გაჩერებულს მოწაფეს. «გელავა მსხვილის ასო-ებით დაგიწერთ» სთქვა მეორემ. ბოლოს გაკვირვებულმა შრო-მქსოარმა შეამჩნია, რომ ყველა მოწაფეები ერთიან მხრისკენ

იყურებოდენ. გადმოიხუდა კათედრიდამ და ხასა კათედრაზედ, მოწაფეების პირდაპირ, მიგრული დიდი ქალაღდი, რომელსე-  
დაც მთელი ამ დღის ტაკვეთილი მსხვილის ხსოებით ეწერა. გაბ-  
რაზებუღმა აგლიჯა რს ქალაღდი, ნაკუწ-ნაკუწად დაფლითა და  
თავის წინ მოაწინა.

მასწავლებელმა თხზულებები მოითხოვა, მაგრამ რამოდეს  
მოწაფეში თორმეტს ძლივს მოემზადებინა. იგი გაჯანკრდა და  
ჭკითხა, რატომ არ მოემზადებიათო. ერთმა ხვევანმა ტირი-  
ლის ხმით უჩვენა თავის ლოყა, კბილის ტკივილისგან დასიე-  
ბული, რომელსაც ცოტა ხნის წინად არათვერი ეტყობოდა.  
მეორემ ხელი აჩვენა, ამომვარდა და შემიბრალო. მესამემ შეს-  
ვეული თითი აჩვენა... ვითომ და გაჭრილი მაქვსო. სოჯნიც  
ეუბნებოდენ თხზულება ავი მოგეცით და იქნება თქვენ თითონ  
დაჭკარგეთო. შეგირდებში ერთი არეულობა ატედა, საწყაღმა  
პროქესორმა ვერა გააწყო-რა და დაწყყო სწორება იმ თხზუ-  
ლებებს, რომელნიც ხელში ჭქონდა.

ამ თხზულებების სწორების დროს მოწაფეებმა პროქე-  
სორს უყრს არ უგდებდენ. ზოგს დასძინებოდა, ზოგი ლუწ-  
თუ-კენტს თამაშობდა, ზოგნი ერთმანერთს ეკიდებოდენ, ერ-  
თის სიტყვით საწყაღს პროქესორს ძაღლად არ აგდებდენ,  
ვისაც რა უნდოდა იმას სჩადიოდა. იგი იჯდა ჩუმიდ, მინამ-  
დის თავი ძალიან არ შეაწყინეს:— «ყმაწვილებო, უთხრა იმან,  
სწავლის დროს კერე უვირილი რა საკადრისია; მაგითი იმთაც  
უშლით, ვისაც სწავლა უნდა. ვისაც არ უნდა—უყრი მიგდოს,  
მე გუშინაც გთხოვეთ და დღესაცა გთხოვეთ, რომ გადასვიდეთ  
აი იქ,—და უჩვენა კლასის უკან დაწყობილს ცარიელს სკამებ-  
ზედ.

საწყაღს პროქესორს ჯერ ლაშარავი არ გაეთავებინა რომ

მთელი კლასი წამოიშალა და გადავიდა იმ სკამებზედ, რომლებზედაც იმან მიუთითა. ერთი საშინელი სიტყვი და ხარხარი ასტყდა მოწაფეებში. საწყალი პროტესორი კი მწუნარედ ჩაფიქრდა. არავის ეგონა თუ ის არა სტიროდა.

იმის ტანჯვა ამით კიდევ არ გათავდა. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. ზინიამ, გამოჩენილმა თავის ხუმრობით, ანიშნა თვალთ ამხანაგებს, რომ კათედრასთან მისულიყვნენ და თან წიგნებიც მიეტანათ. ზინიამ მასწავლებელს რაღაც სტრიქონი უჩვენა და სთხოვა იმის ახსნა. პროტესორმა წიგნში ცქერა დაიწყო. ზინიაც ამ დროს ელოდა: მარცხენა ხელში წიგნი ეჭირა და მარჯვენათი კი პროტესორს დასოცოლავებული ქაღალდი ესროლა.

საწყალი პროტესორი მოთმინებიდამ გამოვიდა. იგი გალორჯდა, ტუჩები აუკანკალდა, თვალები დაატრიალა, რომ დამნაშავე ეპოვნა. გძელ-ფეხებიანმა შენიშნა ღიმილი ერთ მოწაფეს, ჩამოვიდა კათედრიდამ და დაუწყო მას ცემა. — «მე არა ვარ, ზინია იყო!» უვიროდა მოწაფე. მერე მიუბრუნდა ზინიას, მაგრამ მოწაფეები მიეშველნენ მას. სკამები გადააბრუნეს, წიგნები გადაისროლეს, — ერთის სიტყვით დიდი აყალ-მაყალი ასტყდა.

ამა მინისტრი და ერთიც ზედათუდგული წაადგნენ თავს მოჩხუბრებს. გააშველეს კი, მაგრამ პროტესორს ტანისამოსი სრულიად დახეოდა. ზინია და მეორე მოწაფე მოსახანჩიებულ სტოლზედ დასვეს. ეს სტოლი ზურისა-საჭმელ ოთახში ყველაზედ ბოლოს იდგა, ამასზედ სხამდენ დამნაშავეებს ზურისა და წყალის ანაბარას.

## თავი V

რომელშიაც მეორე ჯილდო ექვს გარეთ დარჩა.

მე ეს-ეს არის გაიმბოთ დილის გაკვეთილის ამბები. სა-  
მის საათის შემდეგ, იგივე კლასი, სადაც წინად ერთი ალია-  
ქოთი იყო, სულ სხვა რიგ საყურადღებო სურათს წარმოად-  
გენდა. შეგირდები თავ-ჩაღუნულები ჩასცქეროდნენ წიგნებს და  
სულ-გებლ-დატყარილნი ახლაც ასაღს ამბავს მოელოდნენ; კლას-  
ში წესიერება სუფევდა. კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ ესენი  
ისევე ის მოწათენი იყვნენ, რომელთაც დილას ერთი აყალ-მყა-  
ლი ჭქონდათ. ის კაცი, რომელიც მსოფლოდ თავის კლასში  
ყოფნით ასეთს მუდროებას ატოვებდა მოწათეებში, დილისა  
აღწერისა.

ზატონი ლანტი, ჰროქესორი ლათინურის და იტალიუ-  
რის პოეზიისა, იყო ორმოცის წლისა. იგი ხმარობდა სათვა-  
ლეებს, სახეზედაც მშვიდობიანობა ეტყობოდა. მისი დიმიდი  
იყო ტკვიანური და მოხდენილი, სმა სუსტი და გემოიანი; იგი  
მოწათეებს ძალიან უყვარდათ. ვისაც უნდა რომ თავის მოწა-  
თეებში სიყვარული და სიხალისე იმისთვის მოიპოვოს, საჭიროა, თვი-  
თონაც ჰატივისცემით მოეპყრას მათ.

მაგრამ იქნება იმიტომ უყვარდათ მოწათეებს, რომ იგი  
სასულეირო წოდების პირი ზრ იყო. ის რომ მღვდელი ან  
ბერი ყოფილიყო, — მაშინ ეგრედვე მოძულეული იქნებო-  
და მოწათეებისაგან, როგორც სხვები, რადგანაც მღვდელი  
და ბერი ჩვენს სკოლაში სისულელის და მტარვალობის წარ-  
მომადგენელს ნიშნავდა. ამას გარდა ლანტის ჭქონდა ერთი თვი-

ნება, რომელიც მოწათგების სულსა და გულს იზიდავდა.

დაგუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას. მოვიგონათ თუ რა მოუთმენელად მოკვლადი ჰოეზიის კლასს, რომ თავადს გავეჯობებოდით. მე პირველად გაკმინჯე მასწავლებლების რეგული და დაკრწმუნდი, რომ თავადს ბევრითა ვჯობდი. კლასი დაიწყო თუ არა, მამინვე ავდექი და მოვასსენე ზატონს ლანცის: «თქვენის ნება-დართვით მე მინდა ერთს შეგირდს გავეჯობო.»

— შენ ისეთი ბევრითი სარ შენს სწავლაზედ, მითხრა ლანციმ ღიმილით, რომ მაგის ნებას გაძლეო. მაგრამ ვის გინდა გავეჯობო?

— თავადს.

თავადის სსენებაზედ იმან ღიმილი დაჰკარგა და იმის მაგივრად მოწყენილი სასე მიიღო. თავადი განსაკუთრებით ლანცის ჭყავდა ჩაბარებული; თავადი იყო მდიდარი, დიდის-გაციის შვილი. ამის მამა სშირად ჰპატიუობდა მას და ლანციც ძვირად აფასებდა ამ ყურადღებას. იგი ცდილობდა შეეკმინებინე, რომ თავადს ლანცის ვაჟობებოდი. რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ მითხრა: „გკმინოდეს, ლანციცო; შენ ვჯობები ძლიერს მოწინააღმდეგეს. მე გირჩევ მაგასევე კარგად იფიქრო.“

— ჩვენთანა არს ღმერთი! მიუგუე მე. ამ სიტყვებმა კიდევ ღიმილი მოჰკვარეს ლანცის და მითხრა: „თუ თავადსაც სურს ვაჯობებს, მე წინააღმდეგი არ ვიქნები.“

— თავადს არ შეუძლიან არ დათანხმდეს. გუშინ სალამოზედ მითხრა, რომ მაგას ჩემი არ ეშინიან.

— კიდევაც გიმეორებ, რომ არ ეშინიან! მითხრა ჩემმა მოწინააღმდეგემ, ჩემის ლაზარაკით გაბარებულმა.

— ეკ უფრო კარგი, ვუთხარი მე. მაშ შენ თანახმა სარ ვამეჯობო ყველა საგანში. მაშ სულ უგანასკნელ მოწათგედ ჩამ-

წერონ, თუ მე მჯობობ რაშიმე.

პროტესტის ცოტა არ იყო დამტუქსა ამ გვეხსნისათვის და მომავლანა, რომ სიმშვიდე არის ერთი უკეთესი ღირსებათაგანი. იმან შემოგვიკეთა დაგვეწერა ორის კვირის განმავლობაში ჭილოკლეტის სიკვდილზედ.

მე გადაწყვეტილი მქონდა არაფერი საქმე არ დამეწყო, სანამ კარგად არ მომეფიქრებინა. დათხოვნის ერთის საათის შემდეგ ვიფიქრე ჩემს სტოლზედ და ვფიქრობდი მასწავლებლისაგან მოცემულს საგანზედ. ორი დღეც არ გავიდა, რომ შემოგვეთილი თხზულება მზადა მქონდა, მხოლოდ თუთრად გადაწერა აკლდა.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემის თხზულებით გამოყოფილი ვიყავი.

თუმცა ძალიან ბევრს ვფიქრობდი მოცემულს საგანზედ, მაგრამ მანაც თავადის მეგობრობა შოწის რაღაც მოძრაობას ვამჩნევდი: წერილები და წიგნები ერთის ხელიდამ შეორის ხელში გადადიოდა. მე მხოლოდ მეცინებოდა ამ ამბავზედ, რადგანაც ამით მტკიცდებოდა თავადის სისუსტე, ის იყო უნდა თუთრად გადამეწერა, სიკვდილი ჭილოკლეტისა, რომ უცრად მივიღე წერილი ერთის ჩემის მეგობრისაგან, მწერდა მენასა იგი, რადგანაც ისეთი საიდუმლო რამ უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ წერილშიაც ვი ვერ მომწერდა. მე მაშინვე ცხვირზედ ხელი მივიფარე, ვიბრძოდა სისსლი წამვარდა მეთქი და ამ ნაიწის მოტყუებით გარეთ გასვლის ნება მომცეს. ჩემი მეგობარი იქ მიცდიდა. «რა ამბავია? კვითხე მას.» — «ის ამბავია, რომ თავადი შენს შესახებ ეშმაკურად იტყუა... ეს ნამდვილად ვიცი. დღეს დილით ჩვენის განყოფილების შეგირდს მოვასწარე, რადგანაც ის ერთის წიგნიდამ — არ ვი მასხოვს რა წიგნი

იყო—სწერდა ჭილაკლეტის სიკვდილზედ, ეს შეგირდი კოლარე-  
ტი იყო. ამას გარდა ბარელი ამ დილასუ ჩვენის წაღის კა-  
რებს ან მოშორებისა და თუგინდ დაგუნამლეუები, რომ ის გა-  
დასტემს თავადს გადმოწერილს თხზულებას.

ამ აწიის გაგონებისზედ გუელი სიბრძნისაგან ამენტო. ბა-  
რელი დიდი-ხანის თავადის ყურ-მოჭრელი ყმა იყო. მე მომა-  
გონდა, რომ ის თითქმის მთელს დილის გაკვეთილზედ ანა-  
ყოფილს და ამასთანავე ვნახე, რომ თავადს ჩუმიდ რაღასაც  
კლავანაკებოდა.

— რადგან ეგრეს, — დროს ნულან დაკვარვავთ, ვუთხარ ჩემს  
მეგობარს. პირველად უნდა გავიგოთ ვის ეკუთვნის ის წიგნი  
და შემდეგ უნდა ვცადოთ, რომ ხელშია ც ჩავიგდოთ.

— ვისია ის წიგნი — ეს აღვილი გასაკებია: — მე დაწმუნე-  
ბული ვარ რომ ის წიგნი პენუტისაა. მაგრამ როგორ ჩავიგ-  
დოთ ხელში, მაგისი ვი რა ვიცი.

— ძალიან საჭიროა ვია ის წიგნი ჩემთვის, ჩემო საყვარე-  
ლო. ანა სთხოვე და ან გამოსტაცე. გიმეორებ, ის ჩემთვის  
ძალიან საჭიროა. ყველაფერს მოგცემ, რაც ვი მე და აღ-  
ჭრელსა გვაქვს, თლონდ ვი ის წიგნი მომიტანე. კოროლდე,  
რომელიც ყვიროდა: «ჩემს სამეფოს უნდა ცხენში მივცემო!»  
კვინებ ჩემზედ ძალიან აღელვებული ან იქნებოდა. რავი ასე  
მნახა ჩემმა მეგობარმა, შემომთვინა, რომ თხოვნას ამისრე-  
ლებდა. ეტყობოდა ჩემი მეგობარი ძალიან მარჯვედ მოქცეულ-  
იყო, რადგანაც ორის საათის შემდეგ ძვირ-ფასო წიგნი მომი-  
ტანა და ხელში ჩამიდო. სინაწილისაგან ვინაღამ თამაშობა ან  
დავიწეე.

თავადიც თავის მხრით გასარებული იყო, რომ ჩუმიდ  
იშოვნა წიგნი, სიღამაც გადმოწერა შემოკვეთილი თხზულებას.

— ახა ზოგერთა შენი ლექსები წამიკითხე, შითხრა იმან დაცინვით, როდესაც სეირნობიდამ დაკბრუნდით.

— შეპირად არ მახსოვს, მიუგუე მე. თქვენ ძალე მოისმინთ იმ ლექსებს.

— ზომ არ გინდა ჩვენს სანაძლეოს ვიდრე დაკუმატოთ რა-მე?

— სისაძაგლეს არას დროს არ ჩავიდენ, მიუგუე მე:— დანაძლეებს ვიდრე, როდესაც დაწმუნებულხარ რომ მოიგებ— სისაძაგლეს.

— რა უდილობიანი ბძანდები, დმორომანი! სთქვა იმან სიცილით.

იმისმა თავ-ხედობამ სრულიად დამაწმუნა, რომ თხზულებას ნამდვილად წიგნიდამ გადმოეწერა. «კარგი მამ, ვთქვი ჩემ თავად: გაიბერე ბაყაყივით! სვალ გასკდები.»

დადგა განკითხვის საათი. შემდეგ გაკვეთილების მოსმენისა, ლანციმ თხზულებები მოგვეკითხა. მთელი კლასი აღელდა.

— ჩვენ პირველად თავადის თხზულებას წავკითხეთ, სთქვა პროქესორმა.

— თავადი წამოდგა ხეხედ და დაბეჯითებითა სთქვა:

— ძატონო, მე ჭილოკოლეტის სიკვდილი ურთიმო ლექსით დაწერე, რადგანაც ამ მძიმე საგანს იმისთანა ლექსი უფრო შეეფერებოდა.

— ბალიან კარგი, მიუგო ლანციმ ზ დაიწყო მალაღის ხმით კითხვა, მე ჩემად წიგნში ჩავიუერებოდი და დავწმუნდი რომ თავადს თავის თხზულებას სულ ამ წიგნიდამ დმოეწერა, ასე რომ ერთი წერტილიც კი არ შეეცვალა.

— ე! ე! ლორენცო, შითხრა პროქესორმა ჩვეულებრივის დიმილით წაკითხვის გაწყვეტის შემდეგ; ძალიან კარგის ლექ-

ხით აჩის დაწვილი... ისე კარგის ლექსით, რომ თუ შენ უკეთესად დაგიწერია, — მაშ თითონ აზოლონი იქნებოდა შენი შემწე — მიუარველი.

— არა მგონია, მიუუგე მე პირ-მოთხეობით. ლანცი ორჯერ დამატკერდა, თითქოს უნდოდა გაეგო ჩემის პასუხის აზრი და შემდეგ კიდევ განაგრძო კითხვა. მე მივეცი დრო რამდენიმე ხანი კიდევ კითხვით ის თხსულება, რომ თავადი ცოტა ხანს მანც დამტკობრიყო პრეტესორის ქებით, ბოლოს კი შემთხვევა ჩავიგდე: როდესაც პრეტესორმა კერ გააჩინა თავადის თხსულების ერთი ადგილი, მე წამოვდექი და ვუთხარი: «უკაცრავად კი, ბატონო, და თუ გნებავთ მე წავიკითხავთ მაც გაუგებარს ადგილს.»

— მაგით რა გინდა სთქვა, ლორენცო? მკითხა ლანციმ გავიერვებით.

— ისა, ბატონო, რომ ის ლექსები, რომელთაც თქვენ სელთ-ნაწერში კითხულობთ, მე აქ დაბეჭდილი მაქვს. ვახვენე წიგნი და დავიწეე კითხვა. ამ ამზავსედ საწყალს თავადს კინაღამ გული არ წაუვიდა.

— მომეცი წიგნი! შეჭვირავ პრეტესორმა და წარბები მოიჭმუნსა. როდესაც კოპიო და ნამდვილი ერთმანერთს შეადარა, პრეტესორი სიბრახისაგან გაწითლდა და უთხრა თავადს: «ანი უპატიოსნო და უსინდისო საქმე; შენი მუნხანაობა შენის მოწინააღმდეგეს წინაშე აჩის შეურაცხყოფა შენის პრეტესორისა».

ამ სიტყვებით პრეტესორმა თავადს უკანვე მიუგდო თხსულება.

თავადს ცახცახით და ცრემლიანის თვალებით უნდოდა თავის გამართლება.

— განუძღვი! დაუყვირა ლანციმ ბძანების სმით: რასაც კი იტყვი, უფრო გაადიდებს შენს დანაშაულს.

წამდენიმე წამი გავიდა, ვიდრე პრეტესორი დამშვიდდებოდა. როდესაც იგი დამშვიდდა, სთქვა: «ახა, ახლა ლორენცოს თხზულება ვნახეთ. ეს ჩვენ არაფერში მოგვატყუებს, უოკელთვის თავის ჭკუით მოქმედებს, და მან დაიწყო ჩემის ლექსების კითხვა.

ჩემმა ლექსებმა ისეთს აღტაცებაში მოიყვანა პრეტესორიც და მოწაფეებიც, რომ ერთხელ ტაშიც დაჭკრეს თორმეტმა ფილოსოფოსმა (ასე ეძახდენ ფილოსოფიის კლასის მოწაფეებს), რომელთაც გაკვეთილი ნახევარ საათით ჩვენსად ადრე გასთავებოდათ და ჩვენს სმაურობასად შემოაღეს ჩვენის კლასის კარები და ითხოვეს უურის გდების ნება, რაზედაც ლანცი დიდის სისარულით დათანხმდა. ჩემი გამარჯვება დიდი იყო და დიდდაც ვისინამოგნებდი თუ რომ ჩემი მოწინააღმდეგე არ შემზარალებოდა. იმას დაეღუნა თავი და ძლივს იმაგრებდა ტირილს. როდესაც კითხვა გათავდა ჩემს ქებასა და დიდებას ბოლო აღარა ჰქონდა. თავადმა ვეღარ მოითმინა, ადგა და კარზედ გავიდა. პრეტესორი ძალიან გაუწყრა მას და უნდოდა მისი დასჯა ამ მოტყუებისათვის.

— მე ტირილით შეკეტსოვე თავადი არ დაესჯათ.

— შენ ესლა ერთი-ორად გაიმარჯვე. შენ სულ-გბელი უოფილხარ და ეს უფრო ძვირფასია კაცისათვის, ვიდრე დიდი ნიჭიერება. მეც გისარულებ თხოვნას და თავადს აღარ დაესჯი.

ჩემი გამარჯვება, რომელზედაც აღარ ვილაშაჩაკვებ, სკოლის მატრიანეში ჩაიწერა; ეს ამბავი სკოლის გარეთაც კი გაიგეს ამ ამბისაგან გასარებული ალქრედ კინაღამ ჭკუასად არ შეიშალა.

## თავი VI

მუშტის დედა. — შეთქმულობა მომწიფდა. — მამა რექტორი.

სალამოზედ თავადი სრულად დამშვიდებული მოვიდა და დაუწყო საიდუმლოდ მოლაპარაკება ანასტასს, ბარელის და კიდევ ერთს თავის მომხრეს. ეჭვი არ იყო, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ რადსაც ჭიჭირობდენ; ისინი ჭიჭირობდენ ჩემს ჯავრის ამოყრას. თავადი ჯავრის ამოყურებად არავის არ დააგებდა.

იმავე სალამოს მე გამომიტხოვეს. ნახევარ საათის დასვენების შემდეგ, ვახშმის უკან, მე კიჭექი ოთახში სვამზედ და კელაპარაკებოდი ჩემს ამხანაგებს.

თავადმა რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა ჩემს ახლო გულ-ხელდაკრეფილმა, მხრებს იწვედა და თითქოს მუქარის თვალით მიყურებდა.

როდესაც თავადმა ამ ნაირად ამიარ-ჩამიარა, მე მოთმინებიდამ გამოვედი.

— რა გნებავთ, ჩემგან? დაუყვირე მე. — მკონია თქვენ ჩემი ჯობნა გინდათ. სურვილი კარგი გაქვთ: ვინ იცის, იქნება ლათინურის ლექსის წიგნში მადლობათ.

— დიდი საჭიროა ან შენი ლექსები, ან შენი პრეზა! მომიგო თავადმა. — განა მე ეც ცხოვრებისათვის გამომადგება! მე მინდა გავიგო, ჩვენ ორში რომელი უფრო ღონიერია. — მითხრა თავადმა ბაჭილობით.

ვევლამ იცის, მოწათგები როგორ აფასებენ ღონეს და მან-

მაცლობას. მუშტის კრივს უფრო ჰატისას სცემდენ, ვიდრე სწავლას. ამასი მეცა და თავადიც დაწმუნებული ვიყავით.

— ხელი იქით! დაუფუვირე მე და დავაშვებინე მოღერებული მუშტი.— არ ვიცი, ჩვენ ორში რომელია ღონიერი; მაცრამ ის ვიცი, რომ არის ერთი ვინმე, რომელიც შენსედა ერთი-ათად უფრო ღონიერია.

— მას შა გამოდი! წამოიძახა თავადმა.— შენ ესლაკე შეგეშინდა.

— შენ ჩხუბი გინდა, არა? მიუფუე მე.

— დიად, სწორედ ჩხუბი მინდა, მითხრა თავადმა.

— მზადა ვარ!

მუშტის-კრივში გამოთხოვა იშვიათი არ იყო სკოლასში, და ამას თავისი წესი და კანონი ჰქონდა, როგორც დუელს. ჩვენ ორნივე ამოვირჩიეთ სეკუნდანტები, რომელთ მოკალეობაც იყო საათისა და საკრივო ადგილის დანიშვნა. ჩემს სეკუნდანტებად იყვნენ, რასაკვირველია, პირველი აღჭრედი, მეორე ჭრედეკრივი. თავადის სეკუნდანტებად ანასტასი და ბერელი.

მეორე დღეს დილით ეზოში მოწათგებთ ორად ვაკიყვეთ ნით: ერთ მხარეს თავადი იდგა, მეორე მხარეს,— მე ჩემის სეკუნდანტებით. სეკუნდანტებმა დანარჩენ მოწათგებს სთხოვეს გაფანტულიყვნენ, რომ ეს ამბავი არავის შეეტყო.

საწყაღმა აღჭრედმა მომიჭირა წელზედ ხელცანსოცი, რომ სუნთქვა არ შემკროდა და ყოველ-გვარს დარიგებას მძღვედა.

ყური მაგდე, ლორენცო, გაშიძეორა იმან, ოთხჯერ თუ არ ვიცი ხუთჯერ,— ერთი კარგად შემოჭკარ აი აქ, სწორედ გულში, და იმ წამშივე მიწაზედ დაეცემა.

— ყველაფერი მზად არის! დაიძახა თავადის ერთმა სეკუნ-

დანტმა და ამ სიტყვების შემდეგ ორივე მხარე ერთმანერთში ავირიენით.

ჩვეულებისამებრ სვეუნდანტებმა კრივის ჰირობები გამაცხადეს. ჩვენ აკრძალული გვექონდა თავ-პირში შემოკვრა; უნდა ვცდილავიყვით მოჯიბრე იქვე წაგვექცია. ვინც ამ წესს დაადგებდა, ის დამარცხებული იქნებოდა. მაგრამ ჩვენ მანც ნება გვექონდა, როგორც გინდოდა ისე მოვექცეულიყვით, ოღონდ კი ერთ-ერთს წაგვექცია.

კრივი იქამდის უნდა გაგძელებულყო, ვიდრე ერთ-ერთი არ დამარცხდებოდა.

ამის შემდეგ სვეუნდანტებმა გაგვშინჯეს, რომ სხვა რამ იაწადი არა გვექონოდა. ჩვენ გავიხადეთ გურტკები და ხუთნახიჯსეღ დაგვექით ერთი-ერთმანერთსეღ.

ანასტასმა და ალფრედმა ერთ დროს შემოჭკრეს ტაში: ეს იყო პირველი წიშანი; ჩვენ ჩამოვედით, მთელი განყოფილების მოწაფეები მოცვივდენ და გარს შემოგვერტუნენ.

რამდენსამე წამს გასურებული კრივი გვექონდა, მაგრამ არც ერთ მხარეს არ გვეტეობოდა გამარჯვება; უეცრად თავადმა შემოძიქნა იფსი, წავიქცეთ და ისიც თან გადავიტანე.

— ეგ წესის წინააღმდეგია, დაიუვირეს ალფრედმა და ძრედურობმა. — თავადი დამარცხდა, ესლა კი გაკაშველათ.

— არა, არა, გაუშვით, შეჭყვირეს ანასტასმა და ბერელიძე. მე ისეთი გასურებული ვიყავი, რომ არათერს აღარა ვეფიქრობდი იმის მეტს, რომ როგორმე მეჯობნა. ჩვენ ხან ერთი და ხან მეორე მიწასეღ გვოწარობდით; მაგრამ ბოლოს ვიპოვე დრო, წამოვედქი ცალ იფსსეღ, მარჯვენა ხელით ვცდილობდი თავადის წაქცევას, მარცხენათი კი ვცემდი და თან ვუყვიროდი დამმორჩილებოდა.

ამ ბრძოლის დროს მოისმა ყვირილი: «პრეტეტი! პრეტეტიო.» თავადმა და მე ვიგრძენით მათხანის დარტყმა. ჩვენ ორივენი წამოვდექით ზეზე და ამით გათავდა მუშტის-კრივი. დაიწყო მასინ აყალ-მასალი. აღტრედი და ტრედერივი გაცსა-რებულები იძახდენ, რომ თავადს მე ვაჯობ; პირველად იმიტომ რომ თავადმა თქვებში შემოძვრა, რთხაც დაარღვია კრივის წესი; მეორედ იმიტომ, რომ მე ვჯობნიდი სწორედ იმ დროს, რა დროსაც პრეტეტი მოვიდა. ანასტასი და ბერელიც გაცსა-რებულნი ღაპანკობდენ, რომ თქვებში შემოძვრა დანაშაულობად არ ჩაითვლებოდა, იმიტომ რომ შემთხვევით მოუვიდა და წადგანაც კრივი ჩაიშალა, მასხადამე არც არავინ დამარცხებულა და არც არავის გაუძარჯვებიაო. თავადი, რომელიც საცოდავს სურათს წარმოადგენდა თავისის არეულის თმებით და დამეჯილის სახით, თვითაცა, რომ უსაბუდად მომივიდა თქვებში თქვის შემოძვრათ. რომ ამ ღაპანკვისათვის ბოლო მომიქცა მე ისე ვახვეს თავადს თავი, ვითომ-და მის თავის-გამარტლუზა დაგვიჯერე და ორივე მხარე დათანხმდენ ანასტასის სიტყვებზედ; «რავი ბრძოლა შეწყვიტეს, ჩუჩუც ერთი მიჯობს ნუ ბტუვის, რომ მე ვაპირებო, იმიტომ რომ ბრძოლაში ორივემ ერთხანით სიძამაცა გამოიჩინესო.»

ეს ამბავი იმით გათავდა, რომ მე და თავადი ვისხედით მოსახანნიებულ სტოლზედ წყლისა და პურის აძარს.

ახლა უნდა ვიამბოთ შედეგი ამ მუშტის-კრივისა და ან რა ყოფაში ვიყავით მე და თავადი ბრძოლის შემდეგ.

პირველი შედეგი ის იყო, რომ ამ უკანასკნელის დამარცხების უკან თავადი სრულიად გამოიტყალა. ყველას ვატიკსა სცემდა, და უშეტესად მე. ყოველს ჩვენს თამაშობაში ჩემი მხარე ეჭირა და ძნელს თარგმანებში მიშველიებდა სოლემე.

თუმცა ამ ბოლოს დროს ძალიან შეეუყვარდი, მაგრამ მანც ჯერ ჯერ კენდობოდი, რადგან მეშინოდა მასე არა დამი-გოს-რა მეთქი. მე იმის ჩემდამი პატივის-ცემას გულ-გრილად ვუყურობდი და ეს ძალიან სწყინდა.

რაც შეეხება ჩემს დანარჩენ ამხანაგებს, იმათზედ ჩემმა ორმა გამარჯვებამ ძალიან იმოქმედა. ამის შემდეგ დანარჩენულები წელში გაიმართნენ. თუმცა ქრთამს ისევე წინანდებულად იღებდენ, მაგრამ თავის ნებით არავინ აღარავის რას აძლევდა და არც არავის ემოწინილებოდა. თუმცა მოწაფეები კიდევ ემოწინილებოდნენ ანასტასის მტარკალობას, როდესაც ის მათთან იყო, მაგრამ როცა მოშორდებოდა, მაშინ თავისუფლად სუნთქავდნენ და უგმაყოფილებსაც აცხადებდნენ მასზედ.

აღჭრედ და მე ძალიან ვცდილობდით მოწაფეებში მონობა მოგვესპო და თავისუფლება დაგვენერგა. ჭრეღერიკის წყალობით ჩვენ მოვიმსრეთ ანასტასის ერთი ამხანაგთაგანი, რომელიც ძალიან ღონეს ჩემულობდა. ეს მოწაფე ჩვენთვის ძვირფასი რამ იყო, მაგრამ იმის მომხრობა ძვირად დაგვიჯდა. ჯერ ერთი ეს რომ აღჭრედს უნდა ეჩუქებინა იმისთვის თავის საყვარელი კალმის დანა, რომლითაც თავი მოჭკონდა, მაგრამ სასარგებლო საქმისთვის არც ის დაზოგა. მე, ჩემის ძმრიკ, პატიოსანი სიტყვა უნდა მიმეცა, რომ დაუწერდი თხზულებას, რომლისთვისაც ის ერთ-ერთს საჩუქარს მიიღებდა. საწყაღს ძალიან უნდოდა საჩუქარო მიეღო, რადგან დედა ამისთვის საათს დაჭვირობდა.

ასე ჩვენ ოთხნი ვიყავით და კარგი დაწყობილებაც ვკჭონდა. ჩემი ამხანაგებიც, პირველის განყოფილების მოწაფეები, უფრო მაჭვებდნენ და შეკლასა მპირდებოდნენ. ელ-ველ-დე, ეოკელ საათს ვსედავდით, ანასტასის მტარკალობას

და ჩვენც, რაც ძალა და ღონე გვქონდა, გეწინააღმდეგებოდით მას და ვცდილობდით იმის უფლების დაზღვევასა.

ჩვენი დაწყობილება ესეთი იყო: ჩვენს მომხრე პირველ განყოფილების მოწაფეებთან პირობა გვქონდა შეკრული, რომ საღამოსად, დანიშნულ დღეს, როდესაც ყველა მოწაფეები განშმიდამ ადგებოდნენ, ჩვენ და ისინი ერთად შევერდილევიანით ტალანში. იქ ჩვენს მომხრე მოწაფეებს უნდა დაეუვირათ: «აღარ გვინდა ანასტაზი! აღარ გვინდა მტარვალი!» მე და აღძრვდესაც იმათთვის ზანი უნდა მიგვეცა. მეჩე ჩვენი მომხრეები პირში გალანძლავდნენ ანასტაზს, დაუძახებდნენ მტარვალს, ქურდს და შეარცხვენდნენ ჩვენს განყოფილებას, რომ იმისთანა ვაცს გულგრილად ვუყურებდით. თუ ანასტაზს ცოტა კისერშიაც წაჭკრავენ, უფრო კარგი იქნებოდა. ეს იყო პირველ განყოფილების მოწაფეების მოკალება. დანარჩენი საქმე ჩვენ უნდა შეგვესრულებინა და გვეცხო ჰური სანამ თორნე ცხელი იყო.

დანიშნული დღე მოვიდა. საღამოს ოთხი საათი იყო და შეთქმულობის ასრულება რვა საათზედ უნდა მომხდარიყო. უცრად კარი გაიღო და გამოჩნდა მამა-მინისტრი. «ბატონო ლორენცო», მითხრა იმან: «მამა-რექტორს სურს თქვენთან ლაზარაკი.» ეს მითხრა და კარი გაიხურა, ამ სიტყვებმა ძალიან დამაღონა.

გაუუტუდე და ვუთხრა ჩემი განზრახვა!?!... ან იქნება უნდა დამარიგოს, რომ თავის დღეში არავისთან კრივი აღარ გავბედო? არა მგონია, თუ კრივის შესახებ მეტყვის რასმე, რადგან ეს გავლილი ამბავია. სწორე ვითხრათ, სინიდისი მტანჯავდა და ათას-ნაირს ჩემს დანაშაულზედა ვფიქრობდი, ამისათვისაც მამა-რექტორის წინაშე კანკალითა და ცხცხებით წავიდე.

მამა-რექტორი იყო ჰატარა ბებერი, სამოც-და-ათს წლამდის მიღწეული. იმის მოწითალო ჰარაგი, რომელსაც სულ გვერდზედ ისურვავდა, იმის ღაუღაჟა და დაკვირვლი ღოყები, იმის წითელი ცხვირი, რომელიც ბუნუნით სავსე იყო, სსს-ცოლო სსსეს სდებდა. თუძცა ესეთი სამაგელი შესახედავი იყო, მაგრამ მეფეც ან იქნებოდა ასეთი ჰატი-ცემული თავის ხალხისაგან, როგორც ეს ხვენ შორის იყო. დიდი ჰატივისცემამართო იმის განუსასღვრელი უფლების ბრალი ან იყო; ეს იმისაგან წარმოსდგებოდა, რომ ის იყო სახელოვანი, მშენიერის მიხვან-მოსვრის კაცი და მეცნიერებაში განვითარებული.

ბავშვების აღზდის მოვალეობა ცოტა ან იყო უცვლიდა მას ხსსათს: თუძცა კეთილი და მგრძობიარე გულის კაცი იყო, მაგრამ თავის მოვალეობას ძლიან სასტიკად ასრულებდა. რაკი ერთგული იყო ბავშვების აღზდის თანამდებობისა, იგი სთვლიდა თავის-თავს ჰსუხის-მგებლად წინაშე ღოთისა და საუგუნო ცხოვრებისა; ეს ჰსუხის-მგებლობა ჰსდიდა მას სასტიკ კაცად, როდესაც განმე საწმუნობას ურიგოდ მოიხსენებდა. თუძცა ხანდისხან ასეთი სასტიკი კაცი იყო, მაგრამ ხვენ ისე გუეურებდით მას, როგორც წინასწარ-მეტეველს მოსეს, როდესაც იგი ჩამოვიდა მთიდაში და დანახსა, რომ ისრელნი ოქროს კერძებს თაყვანს სცემდენ!

ამას გაჩდა მამა-რექტორი ძალიან ოსტატურად ექცეოდა შვირდებს. იმის მოქმედებას, განსაკუთრებით შვირდების დასჯას, რაღაც საიდუმლოება ჰვარავდა. მაგალითად, დასასჯელი შვირდი უცარიე გაჭჩრებოდა ხოლმე. რას უშვრებოდენ მას ან ვიცი; მხოლოდ მაშინ, როდესაც შვირდი უკან დაბრუნდებოდა, გავიგებდით, რომ საჭრობილეში მჯდარიყო. ეს იყო კენტიული წესი, რომელიც სკოლებშიც შემოიღეს.

მამა-რექტორი სძირად არ გვეხვეწებოდა და ამისათვის გვეხატებოდა იმის სასკვ. ის ღაზარაკობდა ცოტას, ძნელად თუ გაიცინებდა; არც არავის აჭებდა და არც არავის აძაგებდა. უგელას დარიგებს აძლედა. თუძცა ასეთი მოღრუბლული შესუ-დულობა ჰქონდა, მაგრამ ავად-მყოფთან სრულიად იცვლებო-და! იგი შეიქნებოდა კეთილის-გულის კაცი. რა მზრუნველო-ბას, რა მამობრივს გულ-კეთილობას იჩენდა სოლძე! თვითონაც ბავშვად გადაქცეოდა სოლძე, რომ ავად-მყოფი ბავშვი გა-ცინებინა; რა სიყვარულით და ალერსიანად ექცეოდა მას და როგორ უსრულებდა ყოველსავე გულის წადილს!

რა სასიამოვნო სახანაობისა იყო ეს კეთილი ბერი-კაცი ზინარების დროს, როდესაც მოლიძარის სახით, ცრემლიანის თვალებით და ალელგებულის ხმით ღოცულობდა თავის საყვა-რელის შეგიძრებისათვის. ამისთანა მამობრიული მზრუნველობა არ იყო ჩვენთვის დაფარული ღ ზეეს. მას მამასაკით ვუყურებდით.

ასეთი იყო ის კაცი, რომლის წინაშეც მე ესლა უნდა წაკმდგარეიყავ. სული ამიკანკალდა, როდესაც ორჯულ დაკურს-სუნე კარი.

— შემოდი, მიიხრა კიღამაც.

მე შევედი.

## თ ა გ ი VII

საპურობილო. — ჩემთან დაჭერილის ამხანაგის წყალობით სასო-

წარკვეთილება შეკარგება და იმედი შეიღევა.

სული, რომელსედაც მამა-რექტორი უძრავად იჯდა, შიდ-გმული იყო კედელთან, კარების ასლო, ასე რომ შესვლის

უძალევი გაცი მარტო იმის ნასკეპარ ჰირის-სასუს დაინასავდა. მე ძლივს გავბედე მამა-რექტორისაკენ მიხედვა. ჩემად მივედი და დავექი იმის წინ. იგი არც კი განიძრა, არც კი ეტყობოდა თუ ჩემი იქ ყოფნა იგრძნო; მაგრამ როცა მე მოვინდომე იმის ხელზე გოცნა, რომელიც მუსლზედ ედო, ნება არ მომცა და ხელი უკან წაიღო.

ამ დროს მე შექმელო დამეთვალა ჩემის გულის რაკი-რუვი. ცოტა სწის შექმდე მამა-რექტორის თითქოს გამოიღვიძაო, ხელ-ნელა გამოსწია სტოლის ერთი უჯრა, ამოიღო წიგნების სია, ჩემს წინ დასდო და მიჩვენა თითოთ:

«დაკარგული სამოთხე» მილტონისა.

მე სრულებით ავირ-დავირიე; მე ვნატრობდი იმ წამს მიწაში ჩამძვრალევიყავ, რომ ჩემი შიში დამემალა.

რამდენიმე დღის წინად, სუთშახათს დღეს, მამი-ჩემის ბიბლიოთეკიდან მე ავიღე პირველი ტომი «დაკარგულის სამოთხისა» იტალიურს ენაზედ და შევინახე ჩემს ყუთში, საიდანაც პრეპეტრი ან რომელიმე სკოლის ზედამხედველი ამოიღებდა ამ წიგნს. დახედე სტოლს და დავინახე წიგნი, რომლის წყალობითაც მე ესლა უნდა დაესჯილიყავ.

— მამ ეგრე, მოწყალეო სელმწიფეო, დაიყვირა იმან:— თქვენ გან მაგას არ მოველოდი, ეგრე უსდით მადლობას თქვენს აღმზდელებს მათის გულ-კეთილობისთვის? გან ამისთვის მოგცათ დემეტრეო, რომ თვალები აისვიოთ და ორმოში ჩაცვიოდეთ? დემეტრეო თქვენ ანგარში უნდა მისცეთ, როგორ მოისმარეთ დრო და თქვენ კი მაგ დროს უწმინდურის წიგნების კითხვაში ატარებთ! ნაცვლად იმისა, რომ თქვენს ამსახანებს კეთილი მაგალითი უჩვენოთ, თქვენ ვერცვლებთ მათში უწმინდურს სწავლას. ბისკოზა შენთან ანგელოზია! (ბისკოზა ეგელაზედ რუდ

მოწაფედ ითვლებოდა ჩვენს სკოლაში.) რა არის იმის ეშმაკობა შენს უწმინდურ სწავლასთან! იგი შენ, რომ მარტო მავ წიგნის წაკითხვა მომაკვდინებელი (რადგან ღმერთს ამ წამშივე რომ მოკვალი, (ღმერთმა ვი ნუ ჰქნას!) შენ უეჭველად საუფუნოდ დაიღუპებოდი? შეგიძლიან ამხედ გულ-გრილად იფიქრო, მოწყალეო სელმწიფეე? ან იქნება იქამდის გამეცნიერდი, რომ ქრისტის მოადგილის უცოდველობას უარსა ჰყოფ?...

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთის მწუნვარებით იყო წარმოთქმული, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა. მამა-რექტორის სკლები ისე უკანკალებდა ძელეგარებისაგან, რომ მეშინოდა დამბლა ან დამართნოდა. მე დაუფინსე ცრემლები, რომელიც ღოუბზედ ჩამოსდიოდა და დასდიოდა ტანისამოსზედ.

ამ ალელკულის სიტყვების შემდეგ, მამა-რექტორი დაეყრდნო სტოლზედ. რამდენიმე წამის შემდეგ უფრო განხარებული ღაზანაჰი დაიწყო. ვინც ვი შეხედავდა იმის სკლების ქნევას, არ იქნებოდა არ გაეცინა, მაგრამ მე ხეცოლს როგორ გაგებდავდი; იმის ღაზანაჰივადამ გავიგე მსოფლოდ ეს სიტყვები: მოკვლეობა, —სისუსტე, —საუფუნო ცხოვრება, —იმის დედა, —ბოლოს დარეკა წარი. მოსამსახურე შემოვიდა.

— გამოგსაგნე ჩემთან საზურობილის მტველი, უთხრა მამა-რექტორმა: — და უთხარი გასაღები თან წამოიღოს.

ამ სიტყვების შემდეგ თითქოს გულზედ მომეშვა. მე ისე შევწუხდი ამის მადურებელი, რომ მზად ვიყავ ცეცხლში ჩავარდნილ ვიყავ, ოღონდ ვი მამა-რექტორის ჯანაობა აღარ გამეგონა. მოისმა ფუნისა და გასაღების ჩხრიალის სმა. ეს იყო ნიშანი, რომ მოსამსახურე მოდიოდა. მამა-რექტორმა რაღაც ანიშნა მას და ციკად მითხრა: — კმარა. მე ვაკოცე სელზედ, და გაჩუმებული ვავეე უკან ტუსალების ყარაულს.

საშინელი რამ იყო საზურობილე, რომელშიაც მე შემიყვანეს. წარმოიდგინეთ ზაწაწინა ოთახი, დახალი და ნესტიანი, სადაც სინათლე მხოლოდ ზაწის ფანჯარიდან შემოდის. ეს ფანჯარა კიდეც ისე ძალზე იყო, რომ წვალებით უნდა ლეცხებულყოფიყო, თუ მინდოდა ცოცხალი მანის ცა დამენახა. ამ ოთახის მომართულობას შეადგენდა: ერთი ჩალის სკამი, ფიჭვის ზატარა სტოლი და ერთი კრანტი თავის ქვეშაგებით. ასეთი იყო ჩემი საზურობილე. მე არა მქონდა აქ არც წიგნები, არც ქაღალდი და არც სინათლე. ჩემი სასმელ-საჭმელი ზურვი და წყალი იყო. ამხანაგებად მყავდა ოაგები, რომელნიც იატაკზე დაწობდნენ და ხანდისხან კრანტზედაც აცოცდებოდნენ სოფელში. ქარს უფრუნი გაუდიოდა და ანძრევდა ჭიებისაგან დაფურთურობულს ფანჯრის სტაჟებს. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებაში უნდა გეოფილყოფილი!

ძალ-ძალ მიეგუდებოდი სოფელ ლოგინსკედ... იმ ამბავმა, რომელიც მოხდა მე და მამა-რექტორის შუა, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემსად. მაშ ასე, მე ძალიან დამნაშავე გეოფილვარ! მე ღირსი ვარ საუფუნო ტანჯვისა!... გული მიღელავდა ამისთანა სასტიკ გადაწყვეტილების გამო. ან რა არის საკრძალო ამ წიგნში? ჩემის აზრით—არაფერი. რომის ჰაზმა კი აკრძალა ამ წიგნის ვითხვა. განა მე იქამდის მივალწი, რომ აღარა მჯერა ჰაზმის უცოდველობა? ან იქნება ისეთი ურწმუნო გავხდი, რომ ამოდ ვცდილობ ეს ცოდვა მოვინახნიო? როგორ გავუტედე ამ ცოდვაში ჩემს მოძღვარს?... არასოდეს! უძვობესია მოკვდე! ის უსათუოდ არ შემინდობს ამ ცოდვას, და მამის რას იტყვიან ჩემი შედამხედველები? რას იტყვიან ჩემი ამხანაგები, როდესაც იმითან არ გეწიარები?

ეს ფიქრები დიდად მაწუხებდნენ. მერე ამ ფიქრებმა სხვა:

მიმართულება მიიღეს. როგორღა ასრულდება ჩვენი განზრახვა? ჩემი მომსრეები უჩემოდ გახედვდნენ იმ დიდ საქმის შესრულებას? რასაკვირველია, ვერა. მართალია აღტრედ მისცემს ღარიკებს ჩვენს ამხანაგებს, მაგრამ, ერთიც ვნასოთ, პრეტექტმა ის განზრახვა გაიგო და ჩაშალა. მერე?

მისთვის, რომ ძრახუები უბრალო ლაპარაკიდგანა აქვს ამოღებული, როგორც მაგალითად: «დათვი და მგელი შინაური ცხოველები არ არიან. ხსალი მასწავლებლები ახლა აქ არიან. ცხენი და ვირი შინაური ცხოველები არიან. ეს ქალი ჩემი დედაა და არის. გუავესთ თქვენ ცხენი ან ვირი? მათი მშობელი კეთილი გაცემი არიან.» ამ გარდა ძრახუებმა დაჭბადეს მთლად ხსალი «პრაქტიკული» მეთოდი. ჩემის აზრით, ეს წიგნი არის შედგენილი ზეიდენშტიკერის მეთოდით. აი როგორია ზეიდენშტიკერის მეთოდი—წიგნი განიხილება რამდენსამე პარაგრაფად ან კაკვეთილად. ყოველი პარაგრაფი იწყება რიგზედ ჩამომწერავების სიტყვებით, რომელნიც შეადგენენ იმ პარაგრაფის მასალას; იმის შემდეგ იწყება უცხო ენაზედ დამხადებულები ძრახუები; ამით მისდევს ისევე ძრახუები დედა-ენაზედ. ყველა ეს წინადადებათი ჯერ ძლიერ უბრალონი არიან და თანდათან ვრცელდებათ გრამატიკული მასალის შესაფერ; აქა-იქ გამოიჭეტიება რომელიმე ნაწილი გრამატიკისა თავის სისტემით—მიმოხვრა, კანკვლეობა და სხვა. არ შეიძლება, რომ ამის შედგენის დროს ავტორს სახეში არა ჰქონოდა ოჯენდორფის «მეთოდიც.» ეს კიდევ იმითი გაიჩეკვა სხუებისგან, რომ წყვილ-წყვილი წინადადებათი აქვს ყოველგან—ერთში ვითხვას და მეორეში პასუხი. ეს კიდევ თავისზედ უარესებს იმითი სჯობს, რომ ნახევარი პასუხი ვითხვასში გაიმეორება, რომ ერთი ჰვითხვას და მეორე პასუხს აძლევს და მასმასადამე უმწვილს უადვილებს, ხსალისებს და საქმეც უფრო მარჯვედ წავს. საუბედურად, ამ მეთოდით რიგინად კერ უსარგებელია ავტორს და «ცოცხალის» ძრახუების მაგიერ ჩაერთავს გაცვეთილი და მობეზრებული ძრახუები, რომელთ ნიშნითც ზემოდ იყო მოყვანილი. ეს მეთოდი შეეხება ენის მარტო გარეგანს ნა-

წილს; ცდილობს, ასწავლოს ენა იმოდენად, რომ უძაწვილი წაჭე შეიძლება თავისუფლად ლაპარაკს შეეხვიოს და წაიჭე შეეხება ენის სულისა და გულის, იმისთ ვი დარდი აწა აჭეს. მაგრამ ენის სკოლაში შესწავლის განსწავლავ ეს როდის, როგორც ჰგონოს ავტორის. ესეთი ენის შესწავლა აწის «სიტყვების დასურდავება» ერთის ენიდგან მეორეზედ: აჭა ქართული «მანეთი» მომეტი რუსული «რუბლ.» ისწავლოს ვი უძაწვილმა, როგორ იქნება ქართულად—**ВЕРХОМЪ, КОЛОКОЛЬНЯ, СЕРЕДА, ПОНЕДѢЛЬНИКЪ** და თუ წად ჰგონოს ამათ ესეთი სახელები, ეგ სულ ერთია, — ეცოდინებათ თუ აწა. ახალ ენების შესწავლის დიდმა რეპორმატორმა მაგერმა სთქვა: «ენის შესწავლა — ადამიანის სულის შესწავლა აწისო.»

რადგანაც ეს მეთოდი მართლ ენის გარეგან მხარეს შეეხება, ამისათვის ძლიერ ხჭარაცა სწავლობენ უძაწვილები უცხო ენას. ამას გვიმტკიცებს ჩვენ თვითონ ეს მისასკელ-მძღვანელო სადაც ვი ხმარობენ ამ წიგნს და მასწავლებელიც სინილისაინად ეპყრობა, არ შეიძლება, რომ შეგირდებს ერთის წლის განმავლობაში ჭიკჭიკი არ დაწყებინოს. თითქმის ის მოსწავლენიც ვი, რომელნიც მანც და მანც თავის ნიჭიერებით არ განიჭო ჩვეიან, ისინიც ასწობენ ჰირველ წლებში სიტყვების უშეუკებელ რიგ-რიგების დასწავლას, მაგრამ ეს სწავლა შეეხება მხოლოდ რიგ-რიგებს და სხვა რაფიერს. ამხუდა სთქვა ბუნეკემა: «ხშირად ხრულიად უნიჭო ბავშვები დიდს წარმატებას იხუნენ ენის გარეგან შესწავლაში და ეს წარმატება მათ უფრო თავად ხაჩინოა, რაც უფრო მასწავლებელი უხაროა. ამ გუარ ბავშვებს და მასწავლებელთ გონების მოთხოვნილება არ უშლის უმნიშვნელოდ სიტყვების გახუხირებას.»

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავართ

ადგილას ორის წლის ბავშვებს დააწყო ბინები. ხოლო სწავლას სხვა-და-სხვა მიზნების გამო, ამისთვის ადგილად შეხვედბა 94 ადამიანი სამის წლის ბავშვს, რომელმაც შეპირად იცის ბლომად, ამბები და ლექსები. ეს ამათა ლექსების ცოდნა შეეხება მართლ სიტყვებს, როგორც გაუგებარ ჩანს. თუ თქვენთვის ამისთანა გონებითი განვითარება სასურველია, ადვილად შეგიძლიათ მიაღწიოთ თქვენს წადილს ანამც თუ ბავშვებში, ანამც დიდ-როსებშიაც. აი იმისი მაგალითიც, როგორ ადვილია დიდებისთვისაც ესეთი ენის შესწავლა. გუტს-მუტსმა უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსში დაიწყო სამის (ფრანცუზულის, იტალიურის და ინგლისურის) ენის შესწავლა და აი ჩას ამბობს: «ზირკულად მიჭირდებოდა 10 სიტყვის დასწავლა, მაგრამ ამაღენიმე კვირის შემდეგ ძლიერ ადვილად გასწავლობდი 60, 100 და უფრო მეტ სიტყვას. სამისთვის შემდეგ თავისუფლად შექმნო ადვილის პროზის წავითხვა.» მე ამ მომენტისთვის უნდა იმისთვის ვი არა ვლავანაკობდი, რომ ვინმემ ღიშებდა ჩასთავა-ლას; არა, თვით ეს თავისებ ნაკლულებებია და არა ღიშებ-ბა. დიდი ხანია გაიძახის პედაგოგია—«ხელა იჩქარე», და რისთვის—თუ ვი ერთის წლის საქმეს ორ დღეზედ ავხონ-კლავთ. «ის მეთოდი ვი არ ჩრის უკეთესი, რომელიც ასწავლის ჩქარა, ანამც ის, რომელიც (ამისთანავე) ასწავლის სინამდვი-ლით და გონების განვითარებით.» მიროპოლსკი.

რადგან ავტორის მხლოდ ერთ-მხრივი პრაქტიკული წადილი აქვს, ამისათვის მეტად ბევრ სამუშაოს ამღვეს. მესსიე-რებს. ასე გგონია, მთლად ეს მეთოდი განგებ მესსიერებისათვის იყოს გამოგონილი. უმაწვილმა უნდა ასწავლას შეპირ-რად ერთ წელიწადში 1500 სიტყვა და 60 გვერდი პრეულ-დარეულ წინადადებანი. აბა ვარგად დაკვირდით, რომ ეგუ

ვიპტის საბუღალს» ამდგეს თითის ტოლს ზავს. მოიგონეთ, რა სთქვა ბენმა: «საუკეთესო მეთოდი ის არის, როდესაც ყოველს ახალს სავარჯიშოში მხოლოდ ერთი ან ორი ახალი სიტუვას ღ აწა შეტი.» აქ აღარ გამოდის გონივრული სწავლება, როცა ყოველთვის ზგანისძის ეს ერთად-ერთი სიტუვა— «ზეპირობა», «ზეპირობა» და «ზეპირობა»—ეს იქნება უფრო წრთვნა (дрессировка). შევირდი ყოველ-დღე სწავლობს ცრამდის სიტუვას და ერთი ამდენსაც დამსადებულ უკავშირო ჭრასებს, მაგრამ რა რჩება აქედან? ის, რაც სთქვა რუდგარტმა: «მოწაფის გონება არა მუშაობს; და ზავში უსათუოდ უნდა გაუგუნურდეს.»

ზეპირად სწავლა სრულებით უმნიშვნელოა იმისთვის, რომ ძალიან ცოტა ხანსა რჩება მესსიერებაში. უნდა ყოველ-დღე იმეორე ყოველი სიტუვა და ყოველი წინადადება. სწორედ ამისთანა მეთოდს უწოდებენ პედაგოგთაგანმა—, „უსულ-გულე მესანიერე ღონისძიებად.“ განა მართე მოსწავლეებზედა აქვს ამ მეთოდს ესეთი ცუდი გავლენა! არა ნაკლებ ცუდ გავლენას იჩენს პედაგოგებზედაც. ამ მეთოდით აღჭურვილი მასწავლებელი გარდაიქცევა ხოლმე მომაკვდინებელ მესანიშმად,—ტრიალებს მუდამ ენის გარეგნობაში, იმეორებს ერთსა და იგივეს ათი ათასჯერ და სდება გაჭვავებული პედანტი, ეკარგება გულის-ყური... და სულ რისაგან სდება ამდენი ცოდვა? იმისაგან, რომ ავტორი თავიდან იცილებს მომეტებულ შრომას. ან რად იშრომოს მეთი, როცა ნაკლების შრომითაც შეუძლიან განახორციელოს თავისი სურვილი?! ავტორი თავიდან იცილებს მომეტებულ ჯაფას და ვადადა სდება მასწავლებელს; ისიც თავის მხრივ მოწაფეს ავლებს და ტავში იხრავება ყველასაგან დაბრიყუებული უმანკო ქმნილება. „რაც უფრო მეტს შრო-

მასა და ხელოვნობას იხმარებს სახელ-მძღვანელოს შემდგენი, სთქვა გაუბილდმა, მით უმეტეს გააადგილებს მოსწავლის საქმესაო.“

ამ მეთოდს შეუძლიან დაუკარგოს უმაწვილს თვით-მოქმედი და მოსასწრებითი ნიჭი. არ ვიცი როგორ დაჰქვიფებია ავტორს, რომ ყოველივე სწავლის შექმნა მით უმეტეს ნაყოფიერია, რაც უფრო თვით-მოქმედია. აღსრულა კაცის ყოველგვარ ნიჭიერების განვითარებას. მას რა დასძავა მოსასწრებითმა ძალამ, რომ იმის გასასწავლად არ მოიზოკება არავითარი ვარჯიშობა და მთლად ენის შესწავლა დაგიმყარებიათ მესხიერებაზედ. მართალია, უმესხიერო ადამიანი ემგზავება უძირო ქვევრს, მაგრამ მოსასწრებით ნიჭს მოკლებული მოგაკონებს თუთი-უუშს, რომელსაც შეუძლიან უმნიშვნელოდ გაიმეოროს სხვისაგან ჩამახილი სიტყვები. რას ვაქნევ, რომ ვეროდე გინდ ოცნაირი ენა, თუ არ შეემდეგება თავისუფალი სჯა! მე მგონია, ვინც მოკლებულია მოსასწრებითს და თვით-მოქმედ ძალას, ვინც არ შეუძლიან სჯა, ის უნდა სწავლობდეს ყოველ ამას სკოლაში. ეს მეთოდი ვი არამც თუ ცდილობს, რომ შეუმუშაოს უმაწვილს ეს უზირველესი კაცის ნიჭი, არამედ თითქო განგებ უხმავს, რაც ბუნებისაგან აქვს მინიჭებული. ისეც ბევრი აქვს მესხიერებას თავის სავარჯიშო მასალა (ნამეტნავად უცხო ენის შესწავლის დროს) და რაღა საჭიროა, რომ ეს ბევრი უფრო გაავბევროთ, მაშინ, როდესაც საჩუბლობის მაგიერ შეგვიძლიან ვნება მოკუტანოთ. მაგრამა სთქვა: „ეს მეთოდი ავსებს მოწათვების ტრინს მრავალის ცნობებით წმინდა მესხიერის გზით. ეს მხოლოდ იმ კვარ ვირთათვის გამოდგება, რომელთაც ან არ შეუძლიანთ მოსასწრება, ან არ უნდათ.“

ამ მეთოდით უმაწვილს კვარება სწავლის სურვილი. სწავ-

და მამის აწის გონიერული, რომესაც სცდილობ უფრო მე-  
 ტი სურვილი აღუძრა ბავშვს სწავლისადმი; სწავლა მამის აწის  
 წესიერი, როცა მოსწავლეს შესისლებს მაგიერ უფრო ასა-  
 ლისებ. ან კი რა აწის თვით სწავლა, თუ არ სწავლისევე სურ-  
 ვილი? ეს კიდევ მოჭკონების ავტორს, რომ აქა-იქ ხაზრავს  
 წვრილ-წვრილი ამბები, მაგრამ ამ მსახივან ძლიერა სცოდნეს  
 წიგნი შეიცავს 52 ერთ-გვარ შარავრატს, რომელნიც შეადგე-  
 ნენ წიგნის უმთავრესს ნაწილს, და მართლ ეს გარემოებას საგ-  
 მარისია მოსახსრებლად, — თუ როგორ უნდა მიდიოდეს ამ  
 წიგნით სწავლების საქმე. უნდა ისწავლოს ეძაწვილმა ჯერ ღი-  
 ლებსავით ცალკე ჩამომწვრიებული სიტყვები, მერე რუსულ-  
 ძრასები და ბოლოს ქართულით თვით ძრასები უშინაწინსო-  
 გაცვეთილი და მობუნებული სულ მამსა და შეიღწეოდ, გარ-  
 სა და ღორსედ, მასწავლებელსა და მოსწავლესედ. და გძელ-  
 დებს ამ გვარ ძრასებიახი შარავრატები ერთის გვერდიდან მე-  
 რსედ. მისდევს ერთი შარავრატი მეორეს სრულებით შეუ-  
 ცვლელად. აუტანელი ერთ-გვარობა, მომაკვდინებელი თავის  
 მობუნება! ვადადის მასწავლებელი ერთის შარავრატიდან მე-  
 რსედ და მისდევს ხანხალით შარავრატს ბავშვი, არ კი ესაღი-  
 სება, მაგრამ რაა იქს? იწის, რომ, ვინც არ იგისრებს ამ  
 ჯვარტმას, ვერც ისწავლის რუსულს, გვიკვირს მხოლოდ ბ-  
 შვდაზოგის მოთმინება, მაგრამ ის თითქო სრულიად არც  
 კი სწავნავს ამ სიმსულესედ, კიდევაც ამშარტანობს თავის  
 ხისტემატურის მეოლოთ — რომ ჩქარა სწავლობენ ეძაწვილ-  
 ბა რუსულსაო. ძმას კი არა ფიქრობს, თუ როგორ სწავლო-  
 ბენ და რა ფასად უყვდებიან ეს სწავლა. ამ ძრასების გავლების  
 დაფასებას მხოლოდ ის შეიძლება, ვისაც უნახავს როგორ თავ-  
 შირის მტრულით დაეცემიან სოლო მე ბავშვები რასისსკებით აღ-

მონენილ პირველ ამბავს ამ. ჰანაგრაძეთა უდაბნოში. ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ვლასში ერთი მესამედი შევირდებისა სთვლემს, მეორე თავის—ბებიის ნაღაზანა კვებს უამბობს მეორეს და მხოლოდ ერთი მესამედი შესწავლის მასწავლებელს შიშით თვალ-დატყუტილად კომენსკი ამბობს: „ანა უნდა იყოფნა იმისთანა, რაც ბავშვს ან მოსწონს და სწავლის გავრძელებას ანიზლებს.“

ყველა ვინც კი დაიწყებს უცხო ენის შესწავლას, პირველადვე როდი მოტყუება სოლომე იმ ენაზედ ლაშარავს. ჯერ იმის შეუძლიან მხოლოდ გაიგოს სხვის ნათქვამი. რამდენისაგან გამოიგონია „მე შესმის ისინი რუსულად ანა ლაშარავობენ“ და ვიდრე ვადმოგითარებნით, რასაც ამბობდენ, მაგრამ თუ ლაშარავზედ მივარდა საქმე, ორ სიტყვასაც ვერ გადახამის რუსულად ერთმანერთზედ. რას ნიშნავს ეს? სუ თუ მარტო იმას, რომ ან ვარჯიშობდენ თავიანთ აზრის გამოთქმასში! ანა, უფრო იმას, რომ ჩვენ ვსწავლობთ ჯერ სხვის ნათქვამის გაგებას და ბოლოს ჩვენის აზრის გამოთქმასაც. მე არ შესმის ამის შემდეგ, რად ჩაუროთავი ქართული ძირაზები პირველ-დაწყებით კურსში. როგორ დავიჯერო, რომ რომელსაზე ვცტორის ანა ტყობდეს წაკითხული კომენსკის „სათუშველ-დადგინება“ „მოსწავლე თავდაპირველად ეჩვევა გაგებას და შემდეგში ლაშარავსაც“ მას ან ნება ტყობდათ, რომ ამისთანა საქმეს ეჭიდებოდენ, თუ არც კი იცნობდენ თავიანთ „მამას“, პედაგოგის შემოქმედს. უცხო ენიდგან თარგმნის დროს შეგვიძლიან მოსწავლეს მოკოთხუკოთ რამოდენიმე სისრულე, მასშინ როდესაც უნდა დაკვაყოფილდეთ სამშობლო ენიდგან ნაწავლების თარგმანით. როდესაც უმწვილი სთარგმნის რუსულიდგან, ინსტინქტიურად იყენებს სამშობლო ენის სიტყვებს, „სიტყვის მ-

გიერობას“, ფორმებს და სხვა. თავის ენიდგან თარგმნის დროს კი იგი ცდილობს მოიგონოს რუსულად ჯერ ვეკლას სიტყვები, მერე უნდა რიგზედ დააღაგოს, ერთმანერთს შეათანხმოს და სხვ. და ბუკრის რასმეს მიმდეკი ემაწვილი, სრულიად ხელ-ცარიელი რჩება. რჩება ხელ-ცარიელი მისთვის, რომ ჯერ არაფერი არ იცის ნამდვილის ცოდნით და ყოველივე თავის ცოდნაზე იჭვნეულობს. ცდილობს, წვალობს მოსწავლე გადასთარგმნოს, მაგრამ ამაოდ ეკარგება დრო, მოსაზრებითი ნიჭი და თვით-მომქმედი ძალა. აი, რაზედა სთქვა ლუკიემ: „უნდა მოსამზადებელ გურსივად გამოარიცხულ იქმნას თარგმანი დედა-ენივად, ეს გონების მოზაიკური მუშაობა.“

ზემოდ ჩვენ ამაღენჯერმე ვასხენეთ გრამატიკა. ავტორს გრამატიკის კანონები აუცილებელ საჭიროდ მიანჩნია, როგორც გამაადვილებელი მასალა ენის შესასწავლებლად და უძეტეს (?) ჩვენ სკოლებში. ეს გრამატიკული ნაწილი არის დასიშნული იმისთანა ემაწვილებისათვის, რომელთაც იციან კიდევ სამშობლო ენის გრამატიკა. ესეთი ემაწვილები უნდა მესამე წლის გურსში მოექცნენ! როგორ ჭგონია, ნეტავი, ავტორს? შეიძლება თუ არა მესამე წლისათვის (ორი წლის შემდეგ სწავლის დაწყობისა) იცოდენ რამე ემაწვილებმა გრამატიკივადგან? და თუ გგონიათ, რომ ეცოდინებათ, იმდენად ეცოდინებათ რომ გაიგონ შემდეგი თქვენი გრამატიკული ფრაზები? — „როგორ გაირჩევა ნათესავი არსებითთა სხელთა სქესით?“ ან ეს; „რუსული სხნის ზმნის მომავალს დროს შეადგენს განუსაზღვრებელი სქესი ზმნისა და მომავალი დროს არსებითი ზმნა.“ ახა რა შეიტყუთ აქედგან, ჩემო მკითხველო! ანკი რას გაიგებდით, როდესაც ერთ ადგილას სქესი“ „ნიშნავს „ПОЛЪ“ და

მეორე ადგილას იგივე „სქესი“ ნიშნავს „наклонение“.

აი ამ გრამატიკას უნდა მიუხედავად ორის წლის სკოლაში მიუ-  
კანილი ბავშვი ბავშვი. გრამატიკული ნაწილი არის, მეორე,  
დანიშნული იმისათვის, ყმაწვილებისათვის, რომელთაც იციან  
თავის ენის გრამატიკა. მაშ რაღა უნდა განმარტებანი—რცხვს,  
სიტყვის ნაწილს, ნათესავს, მიმოხუტას და სხვა? გრამატიკის  
ცოდნა ადგილებს ენის შესწავლასა, ბძახებს ავტორი. ძალიან  
არ გამოადვილებს ენის შესწავლას, მეორე რომელიმე სიტყვის  
ნაწილის განმარტება დავისწავლე რეპირად? ვარჯიშ თქვენს  
მხედ, თუ ამ გვარებით ამოუყურეთ ყმაწვილს შესწავლას; სომ  
უნდა ყველა ესენი ეგრეთვე მოუხელებელი დაიხეს და დაუძი-  
მოს შესწავლას, როგორც ამძიებს ქვები ზოგიერთა თქვისე-  
ლის გუქსა, გრამატიკა რომი ასწავლის მართლ-წერას და  
კითხვას, როგორც ამბობდენ უწინდელი (ზოგიერთა ეხლანდე-  
ლებიც) პედაგოგები, არამედ ის ორის ენის განახების ვრება და  
იმდენად შეუძლიან ისწავლონ შეგირდმა მართლ-წერა და ლა-  
რავი ამის შესწავლით; რამდენადაც შეიძლება ბავშვი სი-  
რულს, რომ ისწავლოს თანასწორობის ძირითადი განახება,  
—ამბობს ნედერი.

მეორე ბევრი ტვირთი ქვეს ავიღებელი ბავშვის ნაწი-  
გონებს ამ სახელმძღვანელოში—ავიდებულა უადგილად და უდ-  
როვოდ; ავტორს უნდა, რომ პირველს წელიწადსავე რუსულ  
ენის სპეციალისტები დახდენ ცხრა წლის ყმაწვილები. რატომ  
არ აკმაყოფილებს ორიოდ მცენარის და სხვაგვარის სახე-  
ბი და გსურთ უკუქვლად იქვე დააწყობინდეთ მებალობა, ავრ-  
ნომობა, ზოოლოგიობა და სხვა ისწავლეს რუსულად სახვი და  
მუნა? ეს არ აკმაყოფილებს, უნდა ისწავლონ დაყვანა, ჩადუნა, მუნა-  
ნი, თუღა, რცხილა, კერხვი, იფხვი, ქინძი, ოხრანუმი.

ისწავლეს — ძალი და ბუჩი? უნდა ისწავლონ კიდევ მანგი, თეოცხვერი, კვერნა, თსუნელა, ტილი, ბაღვინჯო!... რად გავიწყდებათ, რომ ის კი არ არის ბრძენი, ვინც იცის ბევრი; არამედ ის, ვინც იცის სასარგებლო და გამოასუენებელი. რად შეაკდებოდა, რომ პირველში უმაწვილებს არ შეესწავლათ შემდეგი სიტყვები: КОЛЫБЕЛЬ (ЛЮЛЬКА), МЕРТВЕЦЬ (ПОКОЙНИКЪ), ЛЕКАРЬ (МЕДИКЪ).. განა ეს ღვთის გამოა იქნებოდა, რომ შემდეგისათვის გადაგდოთ ეს სიტყვები: სიამშირი, სიდედრი, უვაკილი (ავად-მყოფობა), წითელა, სურდო, ხველა, მუცელა, გაცივება, მარცვალა (СЛОГЪ), გადამდები (სნეულება), ნიჭი, მესხიერება, უურად-მღებელი, ალიონი (Заря), ხვიხვიხი, ტანისამოსის ჩამოსხვიდებელი, უგუღმა ჩაცმა, ტანისამოსის გამოტანა, ჯარიმა, გარდახდვინება, დაუდგენელი (Нерадивый), შეუთავისებელი, წაკატი (Кирка), შესერი და სხვ.

სისტემა ამ წიგნისა არის სიტყვის „პირველ-მეორობა“ რომელი სიტყვაც უფრო სშირად იხმარება ხვეულებრივს დაჰარაკში, უფრო წინად უნდა ასწავლო ბავშვს; ვიდრე ის, რომელიც უფრო იშვიათად იხმარება. კარგი, მაგრამ მე მჭირდება ორი სიტყვა: წიგნი და წყალი, რომელი წინ უასწავლო და რომელი შემდეგ? მეტყვით — ორივე ერთად. ბატონი ბძანდებით, მაგრამ ამათთანა სიტყვებს გინდ ეხლავე ასს დაგისახელებთ, ისინი? ისინიც ყველა ერთად? საჭიროა კიდევ ორი სხვა სიტყვა, ორივე აუცილებლად საჭირო: ერთი უფრო სშირად იხმარება უბრალო დაჰარაკში, მეორე უფრო იშვიათად რად უასწავლო ჯერ პირველი და მერე მეორე, როცა პირველი თვით დაჰარაკში სშირის ხმარებით ისეც კარგათ დახსომდება ბავშვს. ერთის სიტყვით, რომ დაგცქერი ამ სისტემას, მაგონდება ზოგიერთა მოსამსახურე, რომელიც ცდი-

ლობს თავის ბატონის წიგნები წესიერად დასწავლას და დიდ-  
 ზატარაობით, კი დასწავლას ხოლმე. აი, ეს სისტემა აქვთ ავ-  
 ტორებს „კითხვები“ გაცხადებული სახელ-მძღვანელოში, მაგ-  
 რამ ესეც კერ არის წესიერად შესრულებული. ანბანის შესწავ-  
 ლაშივეკი ნახვით შემდეგ სიტყვებს: *Іуда, Юрій, Іеремія,*  
*парца, щипцы, щиты...* სუ თუ ყველასეც ხშირად ეს  
 სიტყვები იხმარება ჩვენს სკოლებში? რომელი გვერდით  
 გნებავდეს გადაშალე და ყველგან შეხვდები ამისთანა „უსის-  
 ტემა-სისტემას“.

ამ წიგნის ჰორიზონტით იფურცელსეც არის მოთავსებული  
 რუსული „ბუკვარი“, როგორც ეძახის თვით ავტორი. ბუკ-  
 ვარი იწყობა „ა“-ნით; ეტყობა ეს ასე ყველასეც ადვილი  
 ყოფილან და სხვა ასოებისათვისაც ჰორიზონტი ელემენტი. მარ-  
 თალიან, ყველა ანბანი ამ ასოთი იწყება, მაგრამ სწავლებაც შეიძ-  
 ლება თუ არა, რომ ამ ასოთი დაიწყოს (რუსულის ენისა)?  
 კერძოდვე სისტემას კერა ნახავს ვაჭი ამ ბუკვარში, ისე არის  
 ასოები ერთმანეთში აწყული. ჰორიზონტი ასე არის „ა“ და  
 ბუკვარე „ო“ კერა ასწავლის „ტ“ და შვიდის ასოს შემდეგ  
 „ი“; ხუთის გავუეთილის შემდეგ ასწავლის „რ“ და კერა  
 კი არ უსწავლებია „შ, Г, В, И, Ф“. რუსულ ასოებ ქვეშ  
 ქართული ასოები უწყობს გამოთქმის სასწავლებლად; ისე რომ  
 მასწავლებელი საჭირო აღარ არის, მისცე რაღაც საჭე აქვს ან-  
 ბანის შესწავლაში მასწავლებელს? კერა არ უსწავლებია რუსუ-  
 ლი ნიშნები (Ъ, Ъ) და ამასეც სავარჯიშოები კი წინ შეგ-  
 ხვდებათ. კითხვის მეხანიში სულ უბრალოა. იმის შესამუშა-  
 ვებლად მოთულებული აქვს ყოველ-გვარი ქართული და რუსული  
 სახელები, როგორც მკვლევართან: „Датико, Цакола, Ша-  
 ро, Кайхосро.“ უნდა რუსული ასწავლოს ამისთანა სახე-

ლებით: „Coco, Кола, Кико, Мито, Шаша, Ванო, Васо“ და სხვა და სხვა. ანბანშივე ნახავთ მრავლობით რიცხვს: „лампы, машины, казармы, флейты“ და სხვ. ... შეკვდებით იმისთანა სიტყვებზე, რომელნიც ემაწვილმა არ იცის — „щиты, щипцы, флейты, Юрій.“

წერა სომ, რაღა ჩინი უნდა, ადვილია და ადვილი ამ სასკელ-მძღვანელოთი! შეეჭკვე გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ უკვლავ ქართული კინც ლამაზად სწერს, სწორე ასოებს: სხავს, რადგან ქართულის წერის კანონი ამას მართხონო. ეს გაიგეს უკეთესმა პედაგოგებმა და თავიანთ სკოლებში ისე ასწავლიანო. უკეთესმა ვი არა, მე რომ ნება მქონდეს, იმითანა პედაგოგებს ერთ დღეს არ დავაუყენებდი სკოლებში. იქნება არ იცოდეს პატივ-ცემულმა ავტორმა, რომ უკვლავ წერას თავისი საკუთარი კანონი აქვს! ნეტავ ვიცოდე, როგორ აწერებდა თათრებს რუსულად. ისინი სომ უკუღმა სწერენ. ვაი რუსულის წერის ბრალი თქვენს ხელში!

ავტორი ამბობს წინასიტყვაობაში: სასკელ-მძღვანელოს აკლდა ბუკვარი და მასწავლებლები ძალა-უნებურად უკვლავ ასოებს ერთბაშად ასწავლიდენ ემაწვილებსაო და ესლა ვი ეს ნაკლულე ვანება შევამო. ძალიან დიდი შრომა მიუძღვის ბ. ავტორს ამ ბუკვარის შედგენაში და თუ ჩვენ ვერ შევიძელით ამის მადლობის გადახდა და ვერ დაგუფასეთ ამოდენა ღვაწლი, მომავალზედ მიგვიგდა.

აქ უნდა ძალა-უნებურად შეესწავილო ჩემი საუბარი, რადგან დრო და გარემოებანი მკტ ნებას არ იძლევიან. მე პოდიშს ვიხდი ამისათვის ბ. ბ. მასწავლებლებთან, რომ ნახე-ქარხედ მკტს უფრადლებოდ ვსტოვებ. ესეც იმისთვის ვილა-პარაკე, რომ ზოგიერთა მასწავლებლებისათვის მეჩვენებინა, თუ

ჩამოდენა ვნება მოაქვს ამ სახელ-მძღვანელოს სარგებლობის მადგობა. მე რომ აქ ყველა შეცდომას გამოვდგომოდი, დამჭირდებოდა ისეთ ჭეშმარიტებათა დამტკიცება, რომელთაც დამტკიცება აღარ ეჭირებათ. მე მინდოდა, რომ აქვე ჩამოდენიე სიტყვა მომესხენებინა რუსულის სწავლებაზედ უწიგნოდ (კალანდა-რაშვილისა), რადგანაც ამ წიგნს დიდი ზიანი მოაქვს; მაგრამ ეს საუბარი შემდგომთვის გადავლოთ.

ქუთათური ბორჯა.

## პოლიტიკის მიმოხილვა

საფრანგეთი გამბეჯას სიკვდილის შემდეგ. — ალზას-ლორენი და მისი მთავარ-მმართველი. — ეროვნული მოძრაობა ევროპაში და ევროპის გარეთ: ირლანდია და ავსტრო-ვენგრია; ეგვიპტე და ინდოეთი.

საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციის დროს ერთ საღამოს გამოჩენილს აკტირისას რაშელს უნდა ეძღვნა თეატრში მარსელიეზა, ის მარსელიეზა, რომელმაც, როგორც ლუიზიანი ამბობს, რამდენიმე ბრძოლა მოაგებინა რესპუბლიკის ჯვარს სხვა-და-სხვა სელმწიფეების შეერთებულ ჯარებთან ომის დროს. რაშელი რესპუბლიკის წითელ თავსასურავით მოართული, სამფრანკანის დროშით ხელში, დადიოდა თურმე აქტიორების ოთახში და იმეორებდა ამ შესანიშნავის ლექსის სიტყვებს:

«აღსდგეთ შვილსო მამულისანო!»

უეტრად საშინლად შეჭვივლა და გულ-წასული დაეუბნო ერთის აქტიორის ძელავს. ამ საომარის ლექსის მომღვაწდი, რამდენიმე ათასის სულის საბრძოლველად წამქეზებული აქტირისა... თავს შეეშინებინა.

სწორედ ასეთი საჭმე დაემართაო საფრანგეთის წარმომადგენელთა პალატის, ამბობენ სამზღვარ-გარეთელი გაზეთები, როდესაც ერთის კვირის შემდეგ გამბეჯას დამარცხისა პრინცმა ევროპ ნაპოლეონმა თავის მანიჟესტი გამოაცხადა და ამით შეშინებულმა პალატამ ერთი თვე სული კვლავ მოიღვა ჭ მიღ-

ში თუ ფხიზლად ვაჩივის კედლებზედ გაკრული მანიჩესტი ელანდებოდა.

კარგი შედარებაა და სამართლიანიც: ესლა რომ გამბეტას თავის საფლავიდან წამოეხედნა, შეეჩიზლებოდა წარ-დაცემული რესპუბლიკური შარტია, რომელიც მალალის ხმითა ჭყვირის რესპუბლიკის ძლიერებაზე, მის ძველრად დამყარებაზე და ისე კი იჭყვია თითქო თავის სიტყვები თითონვე არა სჯეროდეს და ხმას უფრო თავის გულისთვის, ვიდრე სხვის დასაჯერებლად, იძალავდეს.

მანიჩესტის გამომცემი პრინცი გადაყენებულ ნაპოლეონ მესამის ბიძა-შვილია; თავისი უმაწვილ-კაცობა უკანასკნელში და «სანამოდ დროს გასატარებელ» ადგილებში დაუღუკვია, თავის ზიზა-შვილის ტახტიდამ ჩამოგდების შემდეგ, რესპუბლიკასაც მიმსრობია, მაგრამ, ესლა, ამ სიბერის დროს, გახსენებია თავისი ვკარიშვილობა და საფრანგეთის ხალხს უჭადაკებს რესპუბლიკამ კერაფერი გიშკელათ, რესპუბლიკური მმართველობა უკანონოა და საფრანგეთსა ლუშავსა. კანონიერი მმართველობა ის არის, რომელსაც თითონ ხალხი პირდაპირ ირჩევს და მე ვარ მქონე იმ სახელისა, რომელსაც შვიდმა მილიონმა ტრანცუზუმმა თავის თანაგრძნობა გამოუცხადა. პრინცი ნაპოლეონის პლემბისციტზედ დაპარაკობს და ის კი აღარ აკონდეხა, რომ მას აქეთ დრონი და გარემოებანი შეიცვალენ. მასინ ნაპოლეონი საფრანგეთის ბრწყინვალე ტახტზედ იჯდა და ქვიშასზედ უძრავლესნი მისნი მოხელენი ძალით თუ ნებით აკრავდენ ხმებს საფრანგეთის ხალხში. ვაი იმას, ვისაც უარის თქმის სურვილს შეატყობდენ! ესლა? ესლა ამავე მოედანსზედ გამოდის ვილაც მივიწყებული პრინცი, რომელსაც იჭნება ასსა და კრასსზედ მეტი თანამგრძნობელი არც კი ჭყავდეს, ისინიც

იმისთანანი, რომელთაც მასთან ერთად დრო გაუტარებიათ, უჭეიფნიათ.

მასხარული რჩევა მისცა სატირულმა გაჩეთმა მარიავანში მმართველობას: საპოლიციის მანიქესტის თაობაზე ერთის ამის ატეხას ისა სჯობს, მის აკტორს გულზედ, ბურგზედ, კვერდებზედ ხავის მანიქესტის რამდენიმე კვებზედ იგი ააწვთ და შარკის ბუღვარზედ ისე ატაროთ. მასხარული რჩევა, მაგრამ ხშირად მასხარულს რჩევაში, სახეგარა მანც სიძარცვად. ამას მსგავსად არ მოიქცა წარმომადგენელთა პალატა, უბრალო საქმე რომასე მეტად გასვიდა და ერთმა წევრმა აწრი შეიტანა: საფრანგეთიდან განიდევნონ ყველა ჩამომავალი იმ კვართა, რომელთაც ვი დესმე საფრანგეთში უმეფნიათ. ამ აწრმა ასტეს დიდი ბასი როგორც პალატაში, ისე სენატში, გამოიწვია სამინისტროს დამხობა და ბოლოს თუძა მიღებულ არ იქმნა, მანც ისე იმეჭმედა საზოგადოების მიძარცვებაზე, რომ ახლად შემდგარმა სამინისტრომ ეიულ ძეგრის ჰრესიდენტობის ქვეშ სამსახურითად დროსოვა ყველა ხამეოვ კვარეულობის სამომავალს. სენატი რომ არ შეხვედროდა, პალატა ისეთს გულზედ იყო მოსული, რომ აწც ერთს საფრანგეთის ხელმწიფის სამომავალს საფრანგეთის მიწაზედ ფეხს არ დადგმენებდა.

რას მოიგებდა ამითი საფრანგეთი? ნუ თუ შიში თავიდან ასცილდებოდა. რას კვების. სასხარო ჭეშმარიტებად გადაიქცა ეს აწრი, რომ დევნულნი და წამებულნი უფრო მეტს თანაგრძნობას მოიპოვებენ ხალხში, ვიდრე იმისთანანი, რომელთა მოჭმელებს უფრო აწვინ არ უგდებს. გულციუობა უფრო თავისუფლად წარმოთქმულის სიტყვის ხვედრია, ვიდრე ფარულად წარმოთქმულისა. პრინციპი რომ საფრანგეთის სამ-

ზღვრებს გარეთ გაედევნათ, ამით ვასა მათ მიიშენებოდა მო-  
 აკლდებოდათ? პირიქით, უფრო მოემატებოდათ. გრძი შამბო-  
 რი თუ ავსტრიაში სტროკრებს, რას აშაგებენ იმის მომსრუ-  
 კლერკალები, ან ვინ უწევს მძარტებლობას იმათთანა წინააღმდე-  
 გობას? მართალია, საზოგადოებრივი და მესამე, როგორც  
 იმპერატორის ტახტი დაიდგეს, საფრანგეთშივე იყვნენ, მაგრამ  
 მასინ ისეთი ძალა ქმნდათ სულში, რომ მათი უკანონო ქვე-  
 ვა ამ ძალას უნდა დაბრალდეს და არა საფრანგეთში ყოფნას,  
 სუ მისცემდა რესპუბლიკური მძარტებლობა სურც ერთ პრინცს,  
 ამ ძალას სულში, ყოფილიყვნენ ისრადვე უზინარნი, — როგორც  
 მანიჩესტის წინად იყვნენ და რესპუბლიკას არაფერი შიში არ  
 მოელოდა, თორემ ესლას, რესპუბლიკელთა მოუხერხებლობის  
 წყალობით, დეკონიქმა პრინციბმა იმდენი თანამგვრძობი იმოკ-  
 ნეს, რომ უწინ სიზმარშიადა არ მოელოდებოდათ.

თუ პოლიტიკური მოსაზრება და რესპუბლიკის გაფთხი-  
 ლება არ ამართლებს რესპუბლიკელების ქვევას, ეს ქვევა მასინ  
 უნდა შურის-ძიებას დაბრალდეს. რესპუბლიკა შურს უგებს სო-  
 გიკრთა იქნება სრულიად უბრალო პრინციბს, — ისე, როგორც  
 საზოგადოებრივი მესამე შურს უგება რესპუბლიკელებს. უღირსი  
 სწავლა უღირსის მოძღვრისაგან მიღებული! მას შთელი ერთი  
 თვე საფრანგეთის პარლამენტმა საქმეებს თავი დაანება და ბა-  
 სობდა მხოლოდ ველურის გაცის შესაფერ კრძნობასჯედ. ამოდ  
 აშობდა სენატი პრინციბს თავი დავსებოთ, რას ვერხით იმათ,  
 რომელთაც სხვა ბრალი არა აქვთ-რა ვარდა იმისა, რომ პრინ-  
 ცად დაბადებულანო; ამოდ ურჩედა — დავსაჯოთ მხოლოდ დამ-  
 ნაშაგენიო, საფრანგეთის წარმომადგენელთა პალატამ თავის  
 უსაბუთო შიშით გამოაშკარავა თავის უძლეულება და ლაქი წას-  
 ცხო გამბეტსაგან ხანდაკემეკ რესპუბლიკას. ჯერ «არ ვასცვე-

თათი დეპუტატებს ის ფეხ-საცმელი, რომლითაც მისდევდნენ გამბეტას კუბოს» და თავიანთ მოუფიქრებლობით დაამტკიცეს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ემინიანთ კედელზედ აკრულ ქალღდებისა, რომელთაც გამბეტა გვერდზედ ისე აუკლიდა, რომ შესედავაც კი არ ეღიარებინა.

\* \* \*

ჩვენს წერილში «ლონ გამბეტა» ავხსენით ის მიზეზები, რა მიზეზებითაც გამბეტას სიკვდილი უფრო ალზას-ლორენს უნდა ენაღვლა და როგორ დაეტყო ეს ნაღველი. ეტყობა იმოდენა დეპუტატების გაგზავნას გამბეტას დამარცხის დროს და ალზას-ლორენის ძეგლის შავად შემოსას შეუფუცხუნებია ლერმანიის მმართველობა და მეტადრე ალზას-ლორენის მთავარ-მმართველი ლენკრალი მანტიჩელი. დიდი ხანი არის რაც ეს გენერალი დანიშნა ამ ძალად შეერთებულ ქვეყნის მთავარ-მმართველად და დანიშვნის უმაღლე შესცვალა უწინდელი პოლიტიკა. უწინ ძალად უღილობდნენ ალზას-ლორენის შეთვისებას, მანტიჩელმა მოიწადინა ნებით დაეყოლება, უარ-ყო ძალდატანება: ყველას ტკბილად ექცეოდა, ყველას ნუგეშად აძლევდა, უნდოდა ხელ-ხელა შეეჩვია ალზას-ლორენელები გერმანიის მფლობელობას. მხოლოდ ერთ საგანზედ მტკიცედ იდგა ეს სახელმწიფო კაცი: ალზას-ლორენი საუგუნოდ გერმანიისა უნდა იყოს. მაგრამ ალზას-ლორენელები ყველათვე დაუთმობენ და ამ ერთს პირობაზედ კი კერძო დასთანხმდებიან.

რაკი ვერ გასჭირა ქლესაობით მოქმედებამაც, რაკი ალზას-ლორენმა საფრანგეთის სიყვარული გულისდამ ვერ ამოიღო და არ დაიშალა გერმანიის პარლამენტში იმისთანა დეპუტატების გზავნა, რომელნიც განუწყვეტილად ჩივიან თავიანთ სამშობლოს გერმანიასთან შეერთებას, რაკი საჭმე იჭამდის მიწ

ვიდა, რომ ერთმა ალზას-ლორენის ეპისკოპოსმა, მთავარ-მმართველისაგან იმპერატორის წინაშე, მისდა უცოდნელად, ორდენისათვის წარდგენილმა, უკანვე დაუბრუნა ეს ორდენი იმპერატორს, — მთავარ-მმართველმა კვლავ მოითმინა და ალზას-ლორენის დელეგაციის წინაშე წარმოსთქვა ითქმ თავისი გულის აღსარება. ის აეკედრიდა ალზას-ლორენელებს მათ ჯიუტობას, ჭრავი სხვა იარაღით ვერას გახდა, მოაგონა, რა საშინელება მოეღოს მათს ქვეყანას, თუ საივრანგეთმა და გერმანიამ კვლად ომი ასტეხეს კართანერთთან. თქვენი ქვეყანა შეიქნება ომის კვლად და არც ერთს ვუთხეს ორის მებრძოლ სახელმწიფოსას ისეთი ვაება და უბედურება არ მიადგება, როგორც ალზასსა და ლორენსა. აქვე დაუმატა მეომარმა ენერჯილმა, თითქმის იმის დასამტკიცებლად, რომ მე და ჩემს მოგავსს ჰრუსიის ენერჯილს ომისა არ გვეშინიანო.

«ომი გინდათ! დიდა ბატონი ბძინდებით! მე სალდათი ვარ და ომი სალდათის ბუნებაა. მე მიანდა ვიგემო ვიდევ მალაღი გრძნობა ბრძოლის კელზედ მბძსებლობისა. მართლა ღვთიური გრძნობაა, როდესაც იცა, რომ მტრის ტყვიას შეუძლიან ყოველს წუთს წაგაყენოს წინაშე უივლის სამსჯავროისა, იცა რომ ბრძოლის დასასრული, ბედ-ილბაღი შესის სამშობლოსი ჰყიდა: შენის ენის წვერზედ!»

სუ გაგიკვირდება, მკითხველო, რომ მეცხრანმეტე საუგუნის დასასრულს ადამიანების სისხლის ღვრასზედ ლაშასაკობდენ და შიგ არაღაც ღვთიურს გრძნობას ურეკდენ. სად ღვთიური გრძნობა და სად მომაკვდინებელ ტყვიებისა და ყუმბარების ჩუჩუნია! სუ გაგიკვირდება, — ამიტომ რომ ამ სიტყვებს ჰრუსიელი ენერჯილი ამბობს და ჰრუსიელმა ოღონდ თავის ჯარები მარჯვნივ და მარცხნივ ლაშასად ერობაშად მოატრიაღოს,

ყოველი ადამიანური გრძნობა მოუსპოს, პირუტყვებსაცით დაგემოს და მხოლოდ მაშინ ჩასთვლის თავის-თავს ღირსეულ მამულის-შვილად.

ეს არის მიმართულება ბისმარკის პოლიტიკისა, ამისათვის მიუჭტევიათ მთელი თავიანთი ყურადღება გერმანიის სასულდო-ფო კატებს. უზარ-მზარ ღვესავით ჩამდგარა შიგ კეროზის შუაგულში ერთ კატსავით მოქნილი გერმანიის უთვალავი ჯარი და გასრქერის ქვეყნის ოთხსავე კუთხეს, სად უფრო ადვილია უგრად ქოროსავით თავს დატემა და ნადავლის შოვნა. რაგი შუაგული შეიარაღებულია, კეროზის განაპირა მდებარე ქვეყნებიც იძულებულნი არიან თითონაც შეიარაღდნენ, რომ მზად იყვნენ ყოველს შემთხვევაში მტრის თავიდან ასაცილებლად და, თუ გასემოებამ მოიტანა, თავზედ დასაწყემად. ამ გვარად მთელს კეროზას თავის საუკეთესო, უღონიერესი შვილები ჯარში ჭყავს ომის დროსაც და მშვიდობიანობასაც უქმად, უწარმოებლად. ყოველ წელიწადს, ყოველ სასულდოფიოსს აურიცხველი სიმდიდრე აკლდება ამ წეს-წყობილების წყალობით.

მაგრამ ძაფი მუდამ ერთ-მხარეს გრძნის ვერ აიტანს, ერთხელაც არის გადმოიგონება და მათ უფრო მალე მიიღებს პირველს სახეს, რაც უფრო ძლიერ არის დაგრესილი. ასეთს შეიარაღებას ველარ აიტანს კეროზა; ერთხელაც არის, — მალე მოვა ეს დრო — სასულდოფიოები პირობასს შეჭკვრენ, რომ მოსპონ მუდმივ შეიარაღებული ჯარი და იყოლიონ მხოლოდ მილიცია მტრის მოსაგერებლად და შინაურ მშვიდობიანობის დასაცველად.

ეს უკანასკნელი წყობილება კეროზის საუკეთესო მამულის-შვილთა მოავარი არის. თვით გაყოფილებულ პრუსიის პარლამენტშიც დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ესრედ-წოდებულმა

პროგრესისტების პარტიამ, რომლის პროგრამაშიც პირველი ადგილთაგანია უჭირავს სამუდამო ჯარის მოსპობას და მილიციის დაარსებას. არა შემთხვევას არა სტოვებს ეს პარტია, რომ მმართველობას წინააღმდეგობა გამოუცხადოს, როდესაც კი ლაპარაკი იმ წესებზედ ჩამოვარდება, რომელთაც ისეთი განცალკევება ჩამოაგდეს პროსიის ხალხსა და ჯარს შორის. მმართველობაც სან რა ღონეს იგონებს, სან რას, რომ ამ საქმის გამგებლობა მარტო თითონ მოიგდოს ხელში და პარლამენტზე აღარ იყოს დამოკიდებული. წლითი-წელს მატულობს პროგრესისტების მნიშვნელობა გერმანიის პარლამენტში და ამ უკანასკნელს ხანსაც დიდი უსიამოვნება მიაყენა ამ პარტიამ მმართველობას, როდესაც იმაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი—უნდა გადაიხადონ ოპიტიკებმა სათემო გადასახადი, თუ განთავისუფლდნ ამ გადასახადისაგანაო. ეს ამბავი წვრილმანი ამბავია, მაგრამ შესანიშნავია იმის დასამტკიცებლად, როგორ ყოველს წვრილმანს შემთხვევას იყენებს პროგრესისტების პარტია და აგონებს მმართველობას, რომ ყოველი ჯარის-კაცი ისეთივე მამულის-მვილია, როგორც სხვა და ყოველივე უფლება და ვადებულება მამულის წინაშე საერთო უნდა იყოსო.

\* \*

უმთავრესი საბუთი ამოდენა ჯარის ყოლისა ევროპის სახელმწიფოებში წელან გამოკტოვით, არ დავასახელებთ. ეს არის ის ეროვნული მოძრაობა, რომელიც სახადსავით მოედო არათუ მთელს ევროპას, ფრთხილად და აძრიკასაც. თითქმის ყოველს სახელმწიფოს ჰყავს რომელიმე ქვეშევრდომი უცხოური ჯ ამ ერს შეკავება უნდა მეტადრე მამინ, თუ თავის ეროვნობის თავისუფლებას მოიწადინებს. სხვა-და-სხვა მთავრობებს, რასაკვირველია, არ გამოუპარათ ეს მოძრაობა და ყოველს ღო-

ხესა ხმარობენ, რომ იგი თან და თან არ გავრცელდეს და ქვეშევრდომს ერს თავისუფლების სურვილი უფრო მეტად არ ჩააგონოს. ამის ერთი უმთავრესი ღონე არის სამუდამო ჯარი. მართლაც, რას იზამს ინგლისი, მაგალითად, თუ მთელი ინდოეთი აჯანყდა თავის ორასის მილიონის ხალხით და თავისუფლება მოიწადინა. რას იზამს ვატარა ინგლისი თავის მილიონით ამ უთვალავ ხალხთან. წარმოსადგენადაც კი საზარტა ამისთანა ამბავი ინგლისის სახელმწიფო კაცებისათვის.

სასოგლო ლაპარაკს თავი დაკანებოთ და მაგალითები მოკნახლოთ, ან კი რა საჭიროა მონახვა, აიღეთ რომელიც გინდათ ნომერი გაზეთისა და წავიკითხეთ უცხო-ქვეყნების ამბავი: ირლანდიელები იმ დრომდე არ დასცხრებიან, ვიდრე სრულს თავისუფლებას არ მოიპოვებენ თავიანთ კუნძულისათვის, კენგრიში შესდგა ვატარა, რომელიც ცდილობს კენგრიის ცალკე სახელმწიფოდ გადაქცევას. დანიელები უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ მათ ქვეშევრდომებს პრუსიელები განემეცებას უჭადიან, ჩეხებმა უნივერსიტეტი გამართეს, სადაც სწავლა ჩეხურს ენაზე იქნება. რუმინები, ბოლგარები, სერბიელები... ჩეროკორელები... რუმუნები... ერთის სიტყვით ყველა და ყოველი ცდილობს თავის კრებობა დაიცვას და მისი კვალი არ ამოშალოს ქვეყნიერების ისტორიაში.

ირლანდია ირლანდიელებს! კენგრია კენგრიელებს! გაიძახიან ევროპაში და მათ შორიდან ხმას აძლევენ თუ ისე ძალღის ხმით არა, ჩურჩულდით მაინც სხვა ქვეყნების ხალხნი: კვიპტე კვიპტელებს! ინდოეთი ინდოელებს!

ეს უკანასკნელი ძარაჲ მკითხველს სიტყვის მასალად მოუგანილი არ ეგონოს: ზი რა წავიკითხეთ ეს არის ეხლა მიღებული გაზეთის ნომერი:

«ერთს გავრცელებულს ინდიულს გაზეთში დაბეჭდილია წერილი ერთის იქაურ ძვერლისა, რომელიც ინდოეთში საუკეთესო ძვერლად ითვლება. წერილი ამბობს, რომ ინდოეთი თვით ინდოელებმა უნდა განაგონ, რადგან ასის წლის გამგებლობა ინგლისისა მავნებელი გამოდგა: სიღარიბე დღითი-დღე უფრო გავრცელდა და უკიდურესობამდე მიაღწია. უკვლავ ფასებმა ერთი-ორად აიწიეს და მეშის ფასი კი უწინდებური დარჩა. ინგლისის სამართალი ხალხს მეტად ძვირად უყვდება. ავარჯობამ, საშინლად იმატა, რადგან ინგლისის სსსამართლები ინდოეთს არ გამოადგენს. ხარჯი სსსტიკად იკრებება, თუნდაც რომ მოუსავლიანი წელიწადი იყოს... ჩვენ გვინდა რომ ინდოეთი ერთს თავისუფალ სასელმწიფოს შეადგენდეს და მმართველად ინდოელნივე წყავდეს!»

თუ მეტსრამეტე საუკუნეს ორთქლის საუკუნე ჰქვიათ, შეიძლება ერთი სახელი კიდევ მოემართოს და ეროვნობათა განთავისუფლების საუკუნე დაერქვას.

## შინაური მიმოხილვა.

შორიდან თითქო ვართ რანიმე — მცირე ნუგეში — ორი ნაკლი — ჩვენი გულ-გრილობა — საიღამ დაგვჩემდა — უწინდელი ძალ-ღონე — ახალი სენია — ადვილი მიასხდომია — ორ-პირი მაგალითი — ჩვენი უღონობა — რად ვიქელებით — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — მისი ყოფა — გარეული და შინაური — საგუ-ბურნიო კრება — ახალი ღერბი.

შორიდან რომ შემოგვხედოს უცხო კაცმა და შენიშნოს რომ ჩვენ «თავად» — ახლა ურთა საზოგადოებაცა გვევსეს ღარიბ-თა მოსწავლეთა შემწეობისათვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, ქართული დრამატული საზოგადოებაც, საკუთარი საადგილ-მამულა ბანკებიც, კაზეთებიც და ეუწინა-ლებიც, მწერალნიცა და მკითხველებიცა, — ყოველივე ეს რომ შენიშნოს, იფიქრებს ამ საქართველოს ეს არა უჭირსაო, ცნობიერს ცხოვრებაში წილი ჩაუდგია, სიკეთის და განვითარების გზასზედ თვენი მკვიდრად მოუკიდებიაო. რასაკვირველია ცოდვას იქნება ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მცირე ოდენად მაინც სახუგემოდ არ მიახნდეს იმას, ვისაც ჩვენის ერისა და ქვეყნისთვის გული შეჭსტეკვა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ ყოველს ამას საძირკველი და ნიადაგი რომ შინაურულად გაკუ-სინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ რაღაც აკლიათ, არიან და აღარც არიან. ერთი უდიდესი ნაკლი იმისთანა თვისებისაა რომ სხვაზედ არის დამოკიდებული და არა ჩვენზედ. ბევრიც

რომ თავი კედელს ვახლოთ ამას ჩვენგან საშველი არა აქვს რა, თუ საერთოდ ყველას არ ეშველება. მეორე უდიდესი ნაკლი კი ჩვენ სულთა არის, ჩვენის მიზეზით არის, თუმცა იდუმალი კავშირი კი აქვს პირველ დიდ ნაკლთან. ეგ მეორე ნაკლი ჩვენი გულგრილობაა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვიხდება, რასაც კი საერთოდ, საყოველთაოდ ფერი ადევს.

საიდან დაგვიჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული საყოველთაოდ საქმეს? რამ დაგვიბია თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც «ჩემობის» ფერი ადევს და არა «ჩვენობისა»? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებინებინებოდა, მაშინვე სულს გავაფეთხებდი და ჩვენი ერი მტკიცესავით აიგვებოდა დედამიწის სურვილად. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვეველობა მარტო იმში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჭკონდა სახეში და მერე „მე“ უამისოდ, ავი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდებოდა ხლამე, მაშინ ყოველი ვატი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა.

ამით უფროს საკვირველი, მაიდან შემოგვეპარა, და საიდან შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უკემურმა „მე“ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს ბძახებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ. ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წავგახდინა ეს? ეგ სენი ახალი სენია და საიდან არის მოსული, ვისგან დახურვილია? — ეგ ადგილი მისახდომია იმისგან ვისაც უძლეო

რო „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალ-გულოვანი «ჩვენ.»

ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც შემთხვევით ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უჭრის, სწულავს, ათხსნიან, გზავს უჩვენებს და სულს ართმევს ჩვენი გულ-გრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითვეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ჭკა ჭკაზედაც ხუ იქნება.

თუ შემოხსენებულნი საზოგადოებანი ფშით სახეგემონი არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერთს სურვილი ხელახლად «ჩვენობას». თუნი ადგემკვინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის მიწვევით არიან თუ რამოდენად ძლიერი დღეს ჩვენში თვითვეულობა, განცალკევება, განხედ დგომა და საკუთარი «მე.»

თვითვეული ის საზოგადოება, თუ განხეთი, თუ ყურნალი რჩიოდე ვაწის მხნობით, ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ სულ-დგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიღამ ჭყავთ. ყველა სხვა გულ-აყრილია, თითქო ამ ერისა, ამ ქვეყნისა არ იყოს. ეს ამბავი იმოდენად უღონოთა ჭხდის ყოველს ჩვენს საზოგადო დაწეობილებას, რომ დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჭქელავს დაუსჯელად და იმიტომ ჭქელავს, რომ ქომავად და მოსარჩლედ მარტო რჩიოდე ვაწისა და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამოდლები არავინ არის.

თუნიდა ავიღოთ მაგალითად «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.» დამტკიცებული წესდება აქვს, მთავრობისაგან მიწვეული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგალითობ

იქონიოს თავისი სკოლები, იმ სკოლებში მთელი სწავლება მო-  
 აწეოს დედა-ენის შემწეობით, მინიჭებული აქვს უფლება მი-  
 ღოს თავის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელ-  
 საც თვითონ სოფლის სასოგადოება თავისი ყრილობის გა-  
 ნაჩენით მას მიანდობს. ყოველივე ეს უფლება მინიჭებული  
 აქვს უმაღლესის მთავრობისაგან და წარმოადგენთ ერთი სკო-  
 ლა კანონის ნება-დართვით დღეისამდე არსად არ გაუძრთავს  
 ბათუმის გარდა. ეს სამწუხარო ამბავი განა იმ მიზეზით არის,  
 რომ თვითონ წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება  
 წარმაცობდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ მთელის ორის და  
 სამის წილობით დადის სკოლის გასსნის თაობაზედ წარდგე-  
 ნილი ქალაქი ერთის სამწერლობადმე მუორქში და ამ სიარულს  
 ბოლო არა აქვს.

ჟერ აქამომდე ბ-ნი გუბერნატორი სასოგადოებისაგან წარ-  
 დგენილს სოფლის განაჩენს სკოლის გამართვის თაობაზედ ამ-  
 ტვიცებდა. ორი ამისთანა განაჩენი უკვე დამტვიცდა: მაგრამ  
 რა? ახლა სხვა მხრივ გამომუხნდა სასოგადოებას დაბრკოლება  
 და არც ერთი სკოლა, იმ განაჩენებში მოსსენებულნი, დღესაც  
 კანონიერად ნება-დართული არ არის, თუმცა ერთი მათგანი კი  
 არსებობს. ამასვედ გამართულს მიწერ-მოწერას ბოლო არ მო-  
 ელა და მოელება შემდეგშიაც ოუ არა, ეგეც არ ვიცით: ამ  
 დაკვიანებას კიდევ როგორც იქნება გავუძლებდით, იმიტომ, პირ-  
 კული, რომ ჩვეულები ვართ ზე მუორე იმიტომ-რომ ვიცით ჟერ  
 სამწერლობებში რკინის გზები არ არის დამართული ფენ-აჩქა-  
 რებით სიარულისათვის. ჭირი ეს არის, რომ ბ-ნი გუბერნა-  
 ტორი უწინდელე აღარ ამტვიცებს სოფლის ყრილობის განა-  
 ჩენებს, კიდევ წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება  
 სხვა გზით ნება-რთვის არ აიღებსო სკოლის გამართვის თა-  
 ბაზედ.

ბახუდაძე. მაგრამ ამ გზის გავლა საზოგადოებას გაუძნელდა და დღეს ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ამ სანატრელს და ბედნიერს ყოფაშია სკოლების გამართვის შესახებ. ვინ არის პატრონი? ვინ არის ხმის ამომღები?

ამბობენ, თ. დუნდუკოვს ელიანო, რომ ეს ამბავი დაწყებულით აცნობონ და იმედს ნუ დაკვარავთ, რომ მასმან მანც იქნება ეშველას ჩვენის საზოგადოების საქმეს.

ყოველი ეს დიალ სავულისხმოს და თუმიცა სატკენია, მაგრამ საწყენი ვი არ არის. რა ვუყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გასჭრა. ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოგვაცნობდა დედინაცვალზედ, მაგრამ მეტად გქელის და იმის ამბავი შორს წავა.

შარშინ მასში საგუბერნიო ვრებამ თავად-ახსნა-ურობისად ბუკრი ასეთის დიდის მნიშვნელობის საგნები აღძრა, რომ ჩვენ სიხარულით თუგზედ აღარ ვდგებოდით. რადგანაც ის საგნები მეტად რთულნი იყვნენ და მართლად დიდის მნიშვნელობისანი, ვრებამ ამოიჩინა ვამისიები, კამისიის წვერნი და ვალად დასდო იმ საგნების ვრცლად ვარჩევა, გამოკვლევა და თვითვეულო მათზედ შედგენილი ვრცელის მოსახეების წარდგენა ისე ვრების წინაშე. ახა აქ რა ღარი და ხაზიღა უნდოდა მაგრამ ჩვენმა ბედ-მავლობამ აქაც თავისი ჭქმნა. რას იზამ? ხომ ვრებაც თვითონ ჩვენა ვართ, რომ ვუბერნიის მარშალიც ჩვენი ვაცნია, ხომ აქეთ-იქით მიწერ-მოწერაში ვაბმა საჭირო არ იყო. მაგრამ რას ვხედავთ? არც ერთი ვამისია დღეს აქამომდე თავის საქმეს არ შეჭსდგომია, თუმიცა სოგოერთს მათგანს ძალიან მოკლე ვადაც ჭქონდათ ვრებისაგან მიცემული. რატომ? იმიტომ-არამ საგუბერნიო ვრების გადაწყვეტილობას ჯდმასრულებელი არა ჭყვანდა. ვინ არის აღმასრულებელი? ვისი იპირდაპირი მოკვლეობას ებ აღსრულებს? ვუბერნიის მარშლისა. ჩვენის თვითონ, ზ-ნს ვუ-

ბერნიის მარშალს, რომელსაც ჩაბარებული აქვს კრების გადაწყვეტილებანი, უნდა შეეყარა თვითკუელის კამისიის წევრნი და ეძინა: გუბერნიის კრებამ ამა და ამ განაჩენით ამოგარჩიათ თქვენ, მოგანდოთ ესა და ეს საქმე, ესა და ეს კადა დაგინიშნათ. გთხოვთ, ამოიწიოთ თქვენ შორის თავ-მჯდომარე და შეუდგეთ საქმეს კრების გადაწყვეტილებისამებრ.

ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა ეს არა ჰქმნა და თუ დღეს კამისიები უქმად არიან, ამის მიზეზი ეს განსვამთ. ამის მაგიერ ბ-ნმა მარშალმა თვითკუელს წევრს ამ ინკარში ცალკე ქაღალდი გაუგზავნა და ქაღალდში მოისხენა, რომ თქვენს საქმეს შეუდგითო. სარჯარ ყოფაში ჩაგდო თვითკუელი წევრი ამ ქაღალდმა. თვითკუელმა წევრმა ცალკე უნდა იმუშავოს, თუ მოელმა კამისიამ? არავინ არ იცის. აზრით, რასაკვირველია, მოელმა კამისიამ ერთად, მაგრამ ვინ არიან სხვანი წევრნი, ქაღალდში თურმე მოხსენებული არ არის. მოდი და შეიძულ ერთად შევრა იმათი, რომელნიც აღარც ვი გახსოვს ვინ არიან. აი ამირან გუელში მდებარდა, უმანო ბანი უთხარითო, ეს საქმე დაქმართათ სწორედ კამისიების წევრთა. რა ჰქმნან? სად მოიყარონ თავი? რაგონ მოიყარონ? ვის სახელით მოიყარონ? ვინა და ვინ მოიყარონ?—ესენი ყოველნი საკითხავია და მოხსუსე ვი არავინ არის. მოდი და ისაქმე ამისთანა ჰკეყანაში. ვისა აქვს უფლება შეჭყაროს წევრნი ერთად? უფლებაც რომ ჰქონდეს ვინ ვის სახელით და რა კაცი მოიწვიოს. ამ ყოფაშია ეს ჩვენი საკუთარი საქმე ჩვენი საკუთარის კაცების ხელში! სხვას რას უნდა ვამდუროდეთ, რას? ჩვენ თვითონ რომ ჩვენს საქმეში ასე ვიჭრებით, ერთი ვიღაც გარძიანელი უგეთსად რად მოგვეჭრება!

კიდევ ვიტყვი: ღმერთო, უარესისაგან გვიხსენ!...

25 ამ თთვეს ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა მოიწვია გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომ სელმწიფის დაკვირვებების დღისთვის საჭირო განკარგულება მოახდინოს. გადასწუვიტეს, რომ მიერთოს სელმწიფე იმპერატორს ქართული ხონისა კერცხლისა ზურ-მარლით თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან. თვითონ ხონის მოდელი და დასატულობა ჩვენს ვახუთ. ხონის როგორც ჩვეულებრივი ხონისა, ხოლო დასატულობა ძალიან მოგვეწონა: შუა-გულს თბილისის გუბერნიის ახალი ღერბია, ჯერ დიდი შავი ჯვარი, ზედ შატრა ოქროსი, რომელიც აქედ-იქიდან ორ ქელავს უჭინავს და ამ ჯვართით ის ორი კლავი ჭსთრგუნავს მოვარესა. ოთხ-კუთხივ ოთხი ღერბია და თავზედ გვირგვინი. გარშემო ამ ღერბს საბრტყელი აქვს რგულად, საბრტყელზედ მშენიერი ჩვენს, ძველებური ქართული ხრახნილია; ამისთანავე ხრახნილით არის მოფენილი მთელი დანარჩენი ხონისა. თუმცა ამ დასატულობას აზრი აქვს, მაგრამ ბევრს ეოცა და ჭსთქვა: ჩვენ ჩვენი ღერბი გვჭონდა და ეს ვინ გამოგვიცვალაო და რად გამოგვიცვალესო. ამასვედ სან-გრძლივი ბასსი გამართულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა ამ ბასს ჩვენ არ დავსწრობივართ.

# განცხადებანი.

მომავალს 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამითა და წესით, როგორც აქამდის  
გამოდრიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ სოგიერთ ახალის თანამშრომლებისა და სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავლის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცუდილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დაჩნებან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალაკინის პრინციპალის, თ. ივ. კ. მუსხანსკის სასახლეში, კაფის ქვემოთ.

ქუთაისში: — ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.

ბათუმში: ლევ. მჭედლიძეილთან, საკუთარს სასახლეში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ დაწესებით უნდა მოითხოვონ გაზეთი ВЪ Тифлисе. ВЪ редакцію газ. „ДРОЭБА“

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: — — — — —	9 მან.
ნახევარის წლით — — — — —	5 „
სამის თვით — — — — —	3 „
ერთის თვით — — — — —	1 „

სხვა ჯადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. სკვადრი იყოფა ხელის-მომწერმა გაზეთის დაბრუნებისათნავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. კთხოვით აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ მელიქიშვილი.

საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

«**შ რ მ შ ა**»

მომავალს 1883 წელს

გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა:

ქუთაისში: რედაქციაში, თბილისის ქუჩ., ქუთთოკის  
სახლში.

თბილისში: შავკრძოვის სასტუმროში.

გაზეთის ფასი: წლით—შვიდი მან., ექვსის თვით—ათ-  
სი მან., სამის თვით—ორი მან. და ხუთი შაჟური.

საფორტე აღწესი:

**Кутсаиъ, въ редакцію газеты «ШРОМА.»**

«**ი შ მ ღ ი**»

ქართული სალიტერატურო და საზოგადოებრივ ჟურნალი.

1883 წელში

გამოვა იმავე შრომარაზობით, სივრცით და მიმართულებით, რო-  
გორც აქამდის გამოდიოდა, და ახალის თანამშრომლების დას-  
მარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ხანკვარ წლისა—  
4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომ-  
რისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში—მხოლოდ რედაქცია-  
ში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შუქლიანთ დაიბარონ ჟურნალი ან  
აღწესით:

**Въ Тифлисъ Въ редакцію грузинскаго журнала «И медц.»**

რედაქტორი და გამომცემი

მინ. ბურგენიძე

„ივერიის“ ჟონალი

მ. პ. ლადიანს. — თქვენი შოკმა მართის წიგნში იქნება და  
ბეჭდილი.

ქორტოხას. — — თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

ლესურელს. — — თქვენი ლექსები ურიგო არ არის, რადგან  
პირველი ნიმუში, თუმცა დაბეჭდვის ღირ-  
სად კერა კრანით.

პ. მ. შვილს. — შონსარის „ნაწივეტი“ არ დაიბეჭდება.

ბ. მ. — აას. — — თქვენი ლექსი „ირაკლის სურათისადმი“  
გრძნობით არის დაწერილი, მაგრამ ლექსი  
სუსტობს და არც სოციურთი პოეზიულად  
შეთსუული სახეები უხდება; ამიტომ კერა  
გბეჭდავთ.

სილოვანს. — — მეტად კარგი საგანი, ზვილით თქვენის ლექ-  
სისთვის. სად კე. აღი, სად მისი სიყუა-  
რული და სად „ივერია!“

სამ. მ. — აიას. — — თქვენი ლექსი არ იბეჭდება.

ი 383

1883

განცხადება.

ამა 1883 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა. შეიდი მანათი.

სეფის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვიჩის შროსპეტრზედ (ბუფვარო) ონანოვის სასახლეში № 9 ჯაგროთვე შვევრდოვის სასახლეში.

ქალაქს გარეშე სეფის-მომწერთ წერილი ჯ. ფეფელიძეს ადრესით უნდა გამოეგზავნოს:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუყვდება, კონსოეთ, მალე აცნობოს რედაქციას.